# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№244(12619) 17 ოქტომბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

## პალერმოდან მჭედლიძისთვის თვითმფრინავს გზავნიდნენ

»» 5



# ბრავო!

## კუპერს და ნაკრებს

### პროგრესის ფაქტორები

ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან

»» 4



## უიღბლობა და სასიამოვნო რეალობა

გია ტუხაშვილი

»» 3



## მომავლის ქვაკუთხედი

კუპერი ეძებს და პოულობს: **საქართველოშიც არიან ფეხბურთელები**

მერაბ მამულაშვილი

»» 2

# Нов позор в Грузия

## პლამენ მარკოვი, შეიძლება, თბილისურ ფრეს შეეწიროს

»» 6

# რით და რატომ აჯობა ტოპმიოლერს კუპერმა?

გერმანელს **2 წელი** დასჭირდა...

...არგენტინელს **2 თვე!**




მოსაზრება »» 5

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

# ახლა უფრო მეტად დაგვაფასებენ...

## ბულგარეთმა გაგვიძლო. მოგებაც მალე მოვა

ბულგარელებთან მატჩში ალექსანდრე იაშვილმა უდიდესი სამუშაო გასწია. „კარლსრუეს“ თავდამსხმელი ხან მარჯვენა ფლანგზე, ხან მარცხენაზე და ხანაც ცენტრში ირჯებოდა. საინტერესოა, რა აზრისაა გუშინწინდელ თამაშზე და საერთოდ, ჩვენს ნაკრებზე, მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო ფიგურა...

**- საუბარი საერთო შეფასებით დავიწყოთ...**

- ვფიქრობ, გულშემატკივარმა ჩვენი თამაშით ისიამოვნა. მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. ერთადერთი, რაც დაგვაკლდა და რაც ჩვენს თამაშსა და შრომას დააგვირგვინებდა, გოლი იყო. არადა, ბურთის გატანის არაერთი შესაძლებლობა გვქონდა. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, მოგებას ვიმსახურებდით...

**- მაინც რა დაგავალათ კუპერმა?**

- ჩვენი მიზანი იყო, მეტოქისთვის ხელი შეგვეშალა, რათა თავისი თამაში არ ეთამაშა. მწვრთნელმა მოითხოვა, ბულგარელები რაც შეიძლება შორს ყოფილიყვნენ ჩვენი კარიდან. ასევე, მწვრთნელის დავალება იყო, ბურთით რაც შეიძლება სწრაფად გადავსულიყავით მეტოქის ნახევარზე და საგოლე მომენტი შეგვექმნა.

**- ბულგარეთმა თბილისში ძალიან ცუდად ითამაშა. მხოლოდ საქართველოს ნაკრების სანაქებო გარჯაა ამის მიზეზი?**

- დიახ, ჩვენი გუნდის გააზრებული მოქმედებების გამო, ბულგარეთმა ვერაფერი გააწყო. უბრალოდ, მეტოქე ვაიძულეთ, რომ სწორედ ისე ეთამაშა, როგორც ითამაშა, თორემ მატჩამდე ბულგარელები აცხადებდნენ, რომ მხოლოდ მოგება უნდოდათ, ფრეს არასასურველ შედეგად მიიჩნევდნენ. ფეხბურთს ორი გუნდი თამაშობს და ორივეს თავისი მიზანი აქვს. ვერ ვიტყოდი, რომ სტუმრები მობილიზებულნი არ იყვნენ, მაგრამ ჩვენ მათ შანსი მოვუსპეთ.

**- მოედანზე ძალიან დიდი სამუშაო გასწიეთ, ფლანგებზე, ცენტრში... ყველგან იყავით...**

- უმჯობესი იქნებოდა, მოგვეგო და მაშინ ნამდვილად ბედნიერი ვიქნებოდი. რაც შემეძლო, გავაკეთე... მარტო მე კი არა, მთელმა გუნდმა თავი გადადო. თითოეულმა ფეხბურთელმა მაქსიმუმი გაიღო.

**- ბულგარეთის ნაკრების არაერთი ფეხბურთელი გერმანულ ბუნდესლიგაში თამაშობს და მათ კარგად იცნობთ. საინტერესოა, რა თქვეს მატჩის შემდეგ?**

- გაოცებულები იყვნენ - არ ელოდით, თუ საქართველოს ნაკრები ასე ძლიერად ითამაშებდაო.

**- კვიპროსთან მატჩიდან სამ-ოთხს დღეში ჩვენმა ნაკრებმა ბევრად უკეთესი თამაში აჩვენა. როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე შეძლო ეს გუნდმა? ვითომ მარტო მონდომებით ?**

- კვიპროსთანაც ძალიან გვინდოდა მოგება, შანსები მაშინაც გვქონდა, მაგრამ... როგორც ბულგარეთთან ვითამაშეთ, კვიპროსთანაც ასე რომ ყოფილიყო, მეტოქე ვერ გაგვიძლებდა და შაბათს 3 ქულას ავილებდით.

**- გამოდის, რომ ბულგარეთმა, უბრალოდ, გაგვიძლო...**

- მართლა გაძლებაზე იყვნენ. იმდენი საგოლე მომენტი გვქონდა, ბარე ორ-სამ თამაშს რომ ეყოფოდა. ბულგარელებმა კი ერთი-ორჯერ დაგვირტყეს. მეკარე ლომაიას გარდა, თითქმის ყველა ფეხბურთელს საგოლე მომენტი ჰქონდა. ბულგარეთმა გაგვიძლო და ბურთი არ გაუშვა. ერთი რომ გაგვეტანა, მერე კიდევ მივაყოლებდით.

**- ფაქტია, კუპერის ხელში ნაკრები მატჩიდან მატჩამდე უმატებს, მაგრამ შესარჩევში ჯერ არ მოგვიგია...**

- ესეც მალე იქნება. ფეხბურთში რწმენა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. გვჯეროდა, რომ ბულგარელთა დამარცხება შეგვეძლო და ამიტომაც ვითამაშეთ ასე კარგად. იმისიც გვჯერა, რომ ჯგუფის მეტოქეებზე არანაკლები გუნდი გვყავს. ყოველთვის ამ განწყობილებით უნდა გავიდეთ მოედანზე და მოგებაც მალე მოვა.

**- მაინც რა დაგვაკლდა მოსაგებად? მხოლოდ იღბალი?**

- ფეხბურთში გამართლება ბევრს ნიშნავს. შეიძლება, მოგებას აბსოლუტურად არ იმსახურებდე და მატჩის ბოლოს ერთი „ბრმა“ გოლით მოიგო. ასეც ხდება ხოლმე. დღეს სამ ქულას კი ვიმსახურებდით, მაგრამ გოლი ვერაფრით გავიტანეთ... ამ კარგ თამაშს არა ერთი დადებითი მხარეც აქვს...

**- რას გულისხმობთ?**

- ფეხბურთელები უფრო მეტად დარწმუნდებიან საკუთარ ძალებში, მეტოქეებსაც ჩვენი მეტი რიდი ექნებათ... ერთი სიტყვით, ახლა უფრო დაგვაფასებენ. თბილისში სამ ქულას ველარ დაგეგმავენ... ეგრე არ არის.

**დავით ცაგაძე**

მომავალი

# შესანიშნავი შვიდეული

## კუპერი ეძებს და პოულობს: საქართველოში არიან ფეხბურთელები!

**ექტორ კუპერმა** მართლაც რომ გარისკა - ბულგარეთის ძლიერ ნაკრებთან ძირითად შემადგენლობაში ხუთი ფეხბურთელი ეროვნული ჩემპიონატიდან დააყენა, სულ კი შვიდი ათამაშა: ძირითადში **გიორგი ლომაია, უჩა ლობჟანიძე, ლექსო კვახაძე, ბექა გოცირიძე** და **ლუკა რაზმაძე**, შეცვლაზე კი - **დავით ოდიკაძე** და **გიორგი მერებაშვილი**. არგენტინელის ასეთი გადაწყვეტილება არა მარტო სარისკო, ავანტიურისტულიც კი ჩანდა.

ჩვენი ჩემპიონატი არ არის მაღალი დონის; გუნდების და მოთამაშეების საერთო კლასიც უკეთესის სურვილს გვიტოვებს. ეროვნული ჩემპიონატიც, ევროპული ლიგების შემდეგ, თვალისმომჭრელი სანახაობით ვერ გამოირჩევა. ტემპიც მოიკოჭლებს და სანახაობრივი მხარეც.

ასეთი პირველობიდან ეროვნული ნაკრების ძირთად შემადგენლობაში ხუთი ფეხბურთელის დაყენებას, კუპერის დარად, ბევრი ვერ გარისკავდა. ეს კიდევ არაფერი, 18-კაციან სამატჩო განაცხადში, ბულგარეთთან, საქართველოს ჩემპიონატიდან 11 მოთამაშე (!) იყო. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც თავდამსხმელი ბექა გოცირიძე დაასახელეს.

ასეთი რამ მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისში ხდებოდა, მაგრამ მაშინ თითზე ჩამოსათვლელი ლეგიონერები გვყავდა.

მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვიტყვი, ბულგარეთმა თბილისში საუკეთესო ფეხბურთი ვერ აჩვენა. ევროპელ ლეგიონერებს თავი არ მოუკლავთ და სახლში მათთან ფრეს ეროვნული ზეიმის საბაბად ნუ გამოვიყენებთ. საფეხბურთო ზეიმამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია, ეროვნული პირველობიდან ხუთი მოთამაშის მოწვევის ფაქტი და ის, რომ თითოეული კარგად გამოიყურებოდა, ილუზიაში გადავარდნის საფუძველს არ უნდა გვაძლევდეს. თუმცა დამაიმედებელი ნამდვილად არის.

კუპერის დაუზარლობისა და სელექციური ალღოს წყალობით, აქაურ ჩემპიონატშიც მოხერხდა სასარგებლო ფეხბურთელების მოძებნა. ამ ბიჭებმა, 90 წუთის განმავლობაში, ბულგარეთის ნაკრების წევრების უმკაცრეს მარწუხებში მოქცევა, პრესინგით თამაში მოახერხეს, რაც ქართველებს ზეობის პერიოდშიც გვიჭირდა. თავისთავად ცხადია, საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, თამაშებს სისტემატურად ასეთ დონეზე რომ ჩაატარებენ, მერე ვიტყვით, რომ ბულგარეთი შემთხვევითი არ იყო და რომ მაღალი კლასის მოთამაშეები გვყოლია. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში მოთამაშე ქართველებს არც ერთი მათგანი არ ჩამოუვარდება. უბრალოდ, მათი მსგავსი სავარჯიშო პირობები და გარემო სჭირდებათ.

ჩვენს ჩემპიონატში, სადაც არ არის სამედიცინო მომსახურება, სავარჯიშო პირობები, აღდგენითი პროცედურები, ასევე - ევროპის საშუალო დონის კლუბთან თამაშისა და კლასის ამაღლების საშუალება, მაინც გამოჩნდნენ ასეთი სასარგებლო ფეხბურთელები და მთავარს გავუსვათ ხაზი - ეს მართლა გასაოცარია.

ეს არის ჩვენი ნაკრებისა და ფეხბურთის რეზერვი, რომელსაც კუპერი **იოჰან ბოსკამპის** ენთუზიაზმით, ეძებს. ის კარგი ფსიქოლოგი ჩანს კვიპროსთან ჩაგდებული მატჩის შემდეგ, ლობჟანიძეს შანსი კიდევ მისცა და იმედებიც არ გასცრუებია. ასე მოექცა მანამდე მეკარე **გიორგი ლორიას**, თუმცა „დინამოს“ მეკარე ჯერ სანაკრებო დონისთვის ფსიქოლოგიურად მზად არ აღმოჩნდა.

ფეხბურთელის მიმართ გამოვლენილი მტკიცე ნდობა, მისთვის თავის გამოჩენის შანსის ბოლომდე მიცემა - ეტყობა, კუპერის თვისებაა: მოთამაშეს არავითარ შემთხვევაში სხვისი თანდასწრებით არ გააკრიტიკებს, რადგან საამისო ტაქტი და ადამიანობა ჰყოფნის. სხვათა შორის, თამაშის ბოლო წუთებზე გიორგი მერებაშვილს გვარიანადაც „შეუღრინა“, მაგრამ პრესკონფერენციაზე თბილად ახსენა.

კუპერმა გარისკა არა მარტო ეროვნული ჩემპიონატის მოთამაშეების დაყენებით, არამედ ამ ძალზე გაბედული სათამაშო



დუეტი შვიდეულიდან: ლიბჟანიძე და გოცირიძე

განლაგებითაც (4-3-3). მსგავსი ჩანაფიქრი **კლაუს ტოპმიოლერისთვის** კრახით დასრულდა: საფრანგეთის ნაკრებმა თბილისში სამფორვარდიან საქართველოს „ფილტვების ანთება“ აჰკიდა, ჩვენი ფლანგები აიკლეს და იოლად დააჩოქეს. ნახევარდაცვამ უზარმაზარ სამუშაოს თავი ვერ გაართვა. ამის შემდეგ, ტოპიმ 4-3-3 სასწრაფოდ დაივიწყა და გაცილებით ფრთხილ ტაქტიკურ განლაგებებზე გადაერთო. თქვა კიდეც, - ამ ტაქტიკის შერჩევა დიდი შეცდომა იყო, საამისოდ საჭირო ნახევარმცველები საქართველოს არ ჰყავსო.

ამ ტაქტიკას და მით უფრო პრესინგით თამაშს დიდი ძალა, გამძლეობა და შრომისუნარიანობა სჭირდება. სამი კაცი ნახევარდაცვას აკონტროლებს. საჭიროების მიხედვით თავდამსხმელებმაც დაცვაში უნდა დაიხიონ, რაც ჩვენთან ყოველთვის პრობლემა იყო.

მწვრთნელის დავალების შესრულება წარმოუდგენელი იმიტომ ჩანდა, რომ ლევან კობიაშვილისა და ზურა მენთეშაშვილის გვერდით, გამოუცდელმა ლუკა რაზმაძემ ითამაშა. არადა, სამეულმა უზარმაზარი სამუშაოს გასწია.

ერთი სიტყვით, 15 ოქტომბერს აშკარად გამოჩნდა, რომ ჩვენს ჩემპიონატში რეზერვი არსებობს და მისი ათვისებით გაცილებით ძლიერი ნაკრები გვეყოლება. მას შემდეგ, რაც უფრო მეტი თანხა ჩაიდება, მოსამზადებელი და აღდგენითი პირობები გაუმჯობესდება და მოთამაშეებს, უცხოელებთან ხშირი თამაშით, კლასის გაზრდის საშუალება მიეცემათ, შესაძლებელი გახდება საშუალო ევროპული დონის ნაკრების ჩამოყალიბება - ანუ, რეალურად, ქართული ფეხბურთი არ მომკვდარა, ტალანტები კვლავ იბადებიან; უბრალოდ, მის განვითარებას უსახსრობა უშლის ხელს.

ვფიქრობ, 2010 წლის ჩემპიონატზე გასვლის ილუზიურ შანსზე არ უნდა ვიოცნებოთ. ამას სჯობია, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდის ჩამოყალიბებაზე ვიფიქროთ.

მიზანი რაც უფრო რეალისტური და ოპტიმალური იქნება, მწვრთნელი უფრო მშვიდად და ნორმალურად იმუშავებს. კუპერმა კი უკვე აღმოაჩინა ის გადაგდებული ქვა, რომელზეც ქვაკუთხედი აშენდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ლუკა რაზმაძესთან

# ვიტ ჯორჯიამ კარგად მომამზადა

**კუპერის აღმოჩენა** - ლუკა რაზმაძე გორელია. პატარა გორი დიდიაო - ეცინება „ვიტ ჯორჯიის“ ლიდერს, რომელიც დიდ ფეხბურთში „გაგრის“ ამჟამინდელი მწვრთნელის, ვოვა ხაჩიძის რეკომენდაციით მოხვდა.

ის თავის დროს ელოდა და კუპერის ხელშეწყობითა და საკუთარი მონდომების წყალობით, ხალხმა უცებ გაიცნო. გორულ ვაშლზე გაზრდილმა ბიჭმა იმდენი შეძლო, რომ ბულგარეთთან მატჩში ნათამაშები თავდადებული, აზრიანი და აგრესიული ფეხბურთის გამო, მაყურებლის ტაში და პატივისცემა დაიმსახურა.

ლუკა ძველებურად თავმდაბალი და მოკრძალებულია. მის საუბარში სიტყვას „მე“ ცვლის სიტყვა „ჩვენ“. ვინ იცის, იქნებ ყურადღებიანმა კუპერმა მის თამაშშიც გუნდური სულისკვეთებისთვის საჭირო მშრომელი ბიჭი დაინახა?!

**- ლუკა, ნაკრებში სადებიუტო შეხვედრებმა გადაიარა. ალბათ ემოციებს უკვე დაიცხრობდი და შენი თამაში შეაფასე.**

- ჩემი თამაში რა სახსენებელია, როდესაც გუნდმა ითამაშა კარგად.

**- გუნდის თამაშს სხვები შეაფასებენ...**

- რა გითხრათ, თამაში ძალზე კარგად აეწყო. ვფიქრობ, ბულგარეთს ყველა სათამაშო ნიუანსში ვაჯობეთ, მომენტიც ბლომად შევქმენით და საწყენია, ასეთი მოსაგები თამაშიდან, მხოლოდ ქულა რომ დაგვრჩა.

**- მომენტების გამოყენებას კლასი სჭირდება, თქვენ კი ისე ნერვიულობდით...**

- მე მგონია, ნაკრებმა კლასიც აჩვენა. საკუთარ თავზე არ ვამბობ, თანაგუნდელებს ვგულისხმობ. ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ ვფიქრობ, ეს უკლასობაზე მეტად, უიღბლობის ბრალი იყო. თან, მათმა მეკარემ რომ ითამაშა, ასეთი თამაში იშვიათია...

**- ბულგარეთის ნაკრებიდან მარტო მეკარე მოგეწონა?**

- ბერბატოვი ტელევიზიით ნანახ თამაშებში მომწონდა, თბილისში კი რა გითხრათ? ან სხვა ვინ იყო გამოსარჩევი? ჩვენებმა გაცილებით ლამაზად ითამაშეს.

» 3

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-ბულგარეთი. მიმოხილვა

# უიღბლობა და სასიამოვნო რეალობა

ადრე „კარის გაჯახუნება“ ვიცოდით: თბილისში რომელიმე გრანდი ჩამოვიდოდა და აუცილებლად უნდა გაგვემწარებინა; ისიც ხშირად ყოფილა, როცა მეტოქეს ქულები სჭირდებოდა და ჩვენ კი თავისუფლად გვითამაშია და შეხვედრაც სტუმართათვის არასასურველი შედეგით დასრულებულა. თანაც, უმრავლეს შემთხვევაში, ეს ყველაფერი შესარჩევი ციკლის ბოლოსკენ ხდებოდა; აი, ახლა კი ადრევე გამოვაჩინეთ „კლანჭები“ და მსოფლიო რეიტინგის პირველ ოცეულში მყოფ ნაკრებს, უხეშად რომ ვთქვათ, გადავუარეთ! და, მთავარიც - ბულგარეთის ნაკრებთან შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენს უპირველეს გუნდს, მართლაც, მწვრთნელი ჰყავს! ახლა, მთავარია, **ექტორ რაულ კუპერს** მუშობაში ხელი არ შევუშალოთ და დაწყებული საქმის გაგრძელების საშუალება მივცეთ. ბოლოს და ბოლოს, თურმე, შესაძლებელი ყოფილა ისეთი უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა, ვისაც სასურველი ფეხბურთელების სიას (?) არ გადასცემენ და ვისაც საქართველოს ნაკრები... სატრანსფერო პოლიგონად არ წარმოუდგენია; უფრო მეტიც: ვინც, ფაქტობრივად, მუდმივად თბილისში იცხოვრებს და საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე სიარულს არ დაიზარებს! მოკლედ, რამდენი ხანია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მიმართ საქებარი სიტყვები არ მიგვიძღვნია და არგენტინელი მწვრთნელის ჩვენთან ჩამოყვანით ახლა მადლობის მეტი რა გვეთქმის!..

...ადრეც აღვნიშნეთ: სულაც არ ვღიზიანდებით, კუპერი ქართველ ჟურნალისტებს ახლოს რომ არ გვიკარებს-თქო; თანახმა ვართ - აკეთოს თავის საქმე უხმაუროდ და ნაკლები ილაპარაკოს (ბაქი-ბუქი ნამდვილად არ სჩვევია); აი, ახლაც, ბულგარეთთან მატჩის მერე, ხომ შეეძლო საპრესკონფერენციო დარბაზში მედიდური გამომეტყველებით შემოსულიყო, მერე კი საკუთარი თავის ქება-დიდება დაეწყო: ნახეთ, რა შემადგენლობა ავირჩიე, ცვლილებებიც გამოვიცანი, მეტოქეც გავშიფრე და საერთოდაც, მე ვარ, ვინც ვარო! არადა, აუცილებელი ეტიკეტი რომ არა, ალბათ, სულ არ აპირებდა შემოსვლას: იჯდა თავჩაღუნული და ხშირად იმეორებდა 15 ოქტომბრის საწყენ რეალობას - მეტოქეს კი ვაჯობეთ, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ და ვერ მოვიგეთო; არა უშავს - გოლსაც ბევრს გავიტანთ და გამარჯვებებიც მოვა; იმიტომ, რომ ჩვენმა ნაკრებმა თანამედროვე ფეხბურთის თამაში ისწავლა და, ბოლოს და ბოლოს, ილბალიც ზურგს ყოველთვის ხომ არ შეგვაქცევს? ჰო, 15 ოქტომბრის საღამოს რაც ვიხილეთ, ამას უილბლობაზე მეტი ერქვა; რა თქმა უნდა, ყველა სახიფათო მომენტი გოლით რომ დასრულდეს, ეს „ნაღდი“ ფეხბურთი არ იქნება; მაგრამ როცა მეტოქის კართან, სულ ცოტა, რვა-ცხრა სახიფათო მომენტს შექმნი, იქიდან ერთი ან ორი ხომ შეიძლება გოლით დასრულდეს? ამ დროს კი ბევრად გამოცდილი მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა მეტოქემ ორ-სამჯერ შემოგვიტია და კინაღამ გოლიც გაგვიტანა. არა, წაგება ამ შეხვედრაში, მართლაც, მეტისმეტი უსამართლობა იქნებოდა - მატჩის წინ აშკარა ფავორიტად შერაცხული მეტოქე, ვითომდა, კლასის ხარჯზე რომ აპირებდა გამარჯვებას, საქართველოს ნაკრებთან ფრესაც არ იმსახურებდა! კარგია, რომ ბულგარელთა დამრიგებელმა **პლამენ მარკოვმა** ობიექტურად შეაფასა მატჩი: მეტოქემ აშკარად გვაჯობაო. სტუმართა მთავარ მწვრთნელს არც იმის თქმა მორიდებია, რომ თავის ფეხბურთელები ერთობ უმოტივაციოდ თამაშობდნენ. ანუ, უფრო „ქართულად“ რომ ვთქვათ, ბულგარელთა წამყვანი ფეხბურთელები... ფეხებს უფრთხილდებოდნენ. შესაძლოა, ასეც იყო, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, თუ როგორ მოახერხეს ჩვენმა ფეხბურთელებმა **დიმიტარ ბერბატოვის, სტილიან პეტროვისა და მარტინ პეტროვის** წინააღმდეგ „სწორად“ თამაში.

ზემოთაც აღვნიშნეთ ჩვენების მიერ „თანამედროვე ფეხბურთის“ თამაში; შესაძლოა, მატჩის გარკვეულ მონაკვეთებში მეტოქეს მკაცრი პრესინგით ეთამაშო, მაგრამ ბულგარელებთან ჩვენებმა, ფაქტობრივად, 90 წუთის განმავლობაში



მოახერხეს! თანაც, პრესინგი, ხშირ შემთხვევაში, მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდანაც (!) იწყებოდა და ამით სტუმრებს დაცვიდან შეტევაზე სწრაფად გადმოსვლის საშუალება მოვუსპეთ. კიდევ ერთი დადებითი მომენტი ჩვენი ბიჭების ერთობ ხისტი თამაში იყო - თანამედროვე ფეხბურთში ბურთს იოლად არავინ მიგალებინებს და ჩვენების უშიშარმა თამაშმა სტუმრები, ცოტა არ იყოს, შეაკრთო კიდეც. ისე, რატომღაც გვგონია: ოპტიმალური შემადგენლობით რომ გვეთამაშა, დიდი ანგარიშითაც შეიძლებოდა გამარჯვება. **კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, მათე ღვინიანიძე, რატი ალექსიძე** - ნამეტნავად სერიოზული დანაკლისი იყო; **ლევან ყენია**? როგორ გვჭირდებოდა ამ ჭაბუკის ზუსტი და ეშმაკური პასები? ანდა, ჩვენს მეორე იმედს, **ლევან მჭედლიძეს** პირველ ტაიმშივე ტრავმა რომ არ მიეღო, არავინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა. ნურც **მალხაზ ასათიანს** დავივიწყებთ: იმედია, ბოლო წლების ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოთამაშე და ნაკრების თავკაცი ერთმანეთში „კაცურად“ ისაუბრებენ და ძველ წყენას დაივიწყებენ. ამათ გარდა, ნუ გამოვრიცხავთ, რომ მომდევნო მატჩებში კუპერმა კიდევ სხვა სიურპრიზებით გაგვაკვირვოს: ეს კაცი არც სახელ-გვარს აქცევს ყურადღებას, არც ძველ დამსახურებას და, რაც მთავარია, არც სატრანსფერო ინტერესს!..

ახლა კი შევეცდებით, საქართველოს ნაკრების ცალკეულ რგოლებსა თუ კონკრეტულ ფეხბურთელებზე ვისაუბროთ.

კუპერი საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს დაესწრო და ჩვენს ნაკრებში მეკარის პრობლემაც გადაიჭრა. ზედიზედ ორი მატჩია, ნაკრების ფეხბურთელებმაც, მწვრთნელებმაც და ქომაგებმაც იციან, რომ ჩვენს კარში დარტყმული თითქმის ყველა ბურთი... გოლი აღარ იქნება! **გიორგი ლომაიამ** სავსებით დამსახურებულად დაიბრუნა პირველი მეკარეობა და, ალბათ, დიდხანსაც არ დათმობს. ბულგარეთთან მატჩშიც დამაჯერებლად გამოიყურებოდა და ერთ ეპიზოდში აშკარა გოლისგანაც გვიხსნა, როცა სტილიან პეტროვის დარტყმა მოიგერია.

კარგი მატჩი ჩაატარა **უჩა ლობჟანიძემ** - „ზესტაფონის“ ახალგაზრდა მცველმა კუპერის ნდობა გაამართლა და კვიპროსთან აშკარად ჩაგდებული შეხვედრის მერე, სრული რეაბილიტაცია მოახდინა. ჰო, ბევრი მწვრთნელი სხვაგვარად მოიქცეოდა - იტყოდა, ფეხბურთელმა ვერ ითამაშა და სხვა ამიტომ ვამჯობინეო. თუმცა კუპერი კარგი ფსიქოლოგიც ყოფილა - ლობჟანიძე ისევ ძირითადში დააყენა და ამ ახალგაზრდა და უნერვო (მეტოქეთა ავტორიტეტებს რომ არ ცნობს) ბიჭმაც თავის ფლანგზე არავინ გააჭაჭანა. იგივე შეგვიძლია ვთქვათ **გიორგი შაშიაშვილზე**, ვინც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. შაშის ჩინებული თვისება აქვს - დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში. თანაც, შეტევებში ჩართვაც უყვარს და ამიტომაც აღმოჩნდა ორჯერ ხელსაყრელ პოზიციაზე. ძალიან მოგვეწონა **ლექსო კვახაძე** - „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანმა ისე ითამაშა, თითქოს საქართველოს ჩემპიონატზე უსუსტეს მეტოქეს ეპაექრებოდა. კვახაძე თავდაჯერებული იყო, პოზიციურადაც სწორად თამაშობდა და, რაც მთავარია, ბურთი ყოველთვის ზუსტად და დროულად „ამოჰქონდა“. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით **ლაშა სალუქვაძეზე** - ყაზანის „რუბინის“ ასევე უნივერსალი მცველი ნაკრებში პირველ და მეორე სეზონს არ ატარებს, თუმცა რამდენჯერმე პოზიციურადაც შეცდა და გადაცემების სიზუსტეშიც მოიკოჭლებდა. რაც შეეხება ნახევარდაცვას, უნდა ითქვას, რომ სამივე ჩვენმა „საყრდენმა“ დიდებულად ითამაშა. **ზურაბ მენთეშაშვილი** მკაცრად ცენტრში მოქმედებდა და, როგორც ყოველთვის, ახლაც უაღრესად სასარგებლო იყო. ისე, ბევრისთვის მოულოდნელად, მენთეშაშვილი ჩვენი ნაკრების შეუცვლელ ფეხბურთელად იქცა და ისიც სასიამოვნო სანახავია, რომ მეტოქის იერიშების ჩაშლის გარდა, საკუთარი გუნდის შეტევებშიც ხშირად რომ ერთვება. მისგან ოდნავ მარჯვნივ **ლუკა რაზმაძე** თამაშობდა - კუპერის კიდევ ერთი აღმოჩენა! რაზმაძე ისე მალე გაუშინაურდა ნაკრებს, თითქოს მეორე მატჩს კი არა, ორმოცდამეათე შეხვედრას ატარებდა. ახლა, მთავარია, რომ მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს და სანაკრებო გამოცდილებასთან ერთად, საშემსრულებლო ოსტატობასაც დახვეწს. გუნდის კაპიტანზე **ლევან კობიაშვილზე** ახალი რა უნდა ვთქვათ - ნაკრების ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა თავისი მაღალი კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცა! ეგ კი არა, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ნაკრებში კობის ოპტიმალური პოზიციაც მოუძებნეს. ზედიზედ მეორე მატჩია, ნაკრებს ჭეშმარიტი ლიდერი ჰყავდა და ეს ფაქტი მით უფრო მისასალმებელია, რამეთუ ამ ბოლო დროს კობიაშვილს საქართველოში კრიტიკოსები მოუმრავლდნენ.

ისე, როგორც მენთეშაშვილისა და კობიაშვილის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი ნაკრები, იგივეს ვიტყოდით **ალექსანდრე იაშვილთან** მიმართებაშიც. ამ დაუღალავ უნივერსალს რა პოზიციაც არ უნდა მიანდო, მაქსიმალურად დაიხარჯება. თანაც, იაშვილი-ფეხბურთელის ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი თვისება გუნდური თამაშისადმი დაქვემდებარებაა.

ზღაპრული მატჩი ჩაატარა მეორე ნომინალურმა გარემარბმაც - **ბექა გოცირიძემაც**. სანამ მოედანზე იყო, არნახული ჟინით იბრძოდა და, მართლაც, გაანამა სტუმართა მცველები. ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში **დავით ოდიკაძეც** - დროის სულ მცირე მონაკვეთში რამდენიმე ფლანგური რეიდი თუ გამჭოლი გადაცემები რომ მოასწრო. სამწუხაროდ, უფრო მეტს ველოდით **გიორგი მერებაშვილისგან**. საქართველოს ჩემპიონატის, მართლაც, გამორჩეულ და დიდი პოტენციის მქონე შემტევს აქტიურობას ვერ დაუწუნებდით. პირიქით - ენერგიულად ჩაერთო თამაშში და რამდენჯერმე მწვავედ შეუტია მარცხენა ფლანგიდან. სამწუხაროდ, ორ-სამ ეპიზოდში ინდივიდუალურად სცადა ფონის გასვლა, ამ დროს კი პარტნიორები უფრო ხელსაყრელ პოზიციაზე იმყოფებოდნენ. ეგ, არაფერი - მერებაშვილი ახალგაზრდაა და კიდევ ბევრი აქვს დასახვეწი. რაც მთავარია, უშიშარია და ნებისმიერი მეტოქის მოტყუებაც შეუძლია; მოკლედ, ნაკრებისთვის მუდამ საჭირო კაცი იქნება...

...შესაძლოა, ბევრს არც მოსწონდეს კუპერის ერთფორვარდიანი ტაქტიკა, მაგრამ მწვრთნელმა უკეთ იცის - ვისთან როგორ ითამაშოს. ლევან მჭედლიძე ისეთი განძი გვყავს, ბევრი ვერც იოცნებებს; თანაც, ვითომც არაფერიო - 18 წლის ბიჭი უკვე სერია A-ში თამაშობს! ერთადერთი, რაზეც ვნაღვლობთ, უილბლობაა - ხშირი ტრავმები დასჩემდა და ახლაც მძიმედ დაშავდა. თუმცა, სანამ მოედანზე იყო, ნამდვილ თავდამსხმელს რომ შეშვენის, ისე გამოიყურებოდა. ნაკლებად ეფექტური იყო მის ნაცვლად შეცვლაზე შემოსული **დათო სირაძე**; თუმცა მეორე ტაიმში „საფირმო“ თავური რომ დაარტყა, ბულგარელებს ველარც **გიორგი პეტკოვის** თავგანწირული თამაში უშველიდა (სტუმართა მეკარეებმა ხომ ყველამ თბილისში უნდა „გაიგიჟოს თავი“ - პეტკოვმა, სულ ცოტა, ხუთი-ექვსი „მკვდარი“ ბურთი აიღო). თანაც, ჩვენი აზრით, სირაძე უფრო პროდუქტიული ორფორვარდიანი ტაქტიკის დროს მიგვაჩნია.

დაბოლოს, ჩვენი ნაკრების თამაშში დანახულ ერთ ნაკლზეც: ალბათ, დროა ვისწავლოთ, რომ ბურთი უკან, რაც შეიძლება ნაკლებად დავაბრუნოთ. დანარჩენზე ზემოთაც ვთქვით და კიდევ გავიმეორებთ: საქართველოს ნაკრები ნელ-ნელა ემსგავსება გუნდს, თანამედროვე ფეხბურთს რომ თამაშობს!..

**გია ტუხაშვილი**

« 2

# ვიტ ჯორჯიამ კარგად მომამზადა

**- სიმართლე ითქვას, ძალიან მოულოდნელი იყო, ეროვნული ჩემპიონატიდან ძირითად შემადგენლობაში ხუთნი რომ მოხვდით.**

- კუპერი ჩემპიონატში ხალხს ეძებს. ეს აქაურებისთვის უდიდესი სტიმულია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი დადის ჩვენს სტადიონებზე, გვაკვირდება და ნაკრებში მოხვედრის არანაკლები შანსი გაგვიჩინა, ვიდრე ევროპაში მოთამაშე ქართველებს. ეს სტიმული ჩვენს ჩემპიონატსაც აუცილებლად დაეტყობა - ყველა უფრო მონდომებს. მიხარია, აქაურებმა იმედები რომ არ გავუცრუეთ.

**- სანაკრებო და საქართველოს ჩემპიონატის დონეზე თამაშები, აბსოლუტურად განსხვავებულ ტემპსა და რიტმში მიმდინარეობს. ამ განსხვავების დაძლევა პირდაპირ სანაკრებო მატჩში ძალზე რთულია.**

- სხვათა შორის, თუ დამიჯერებთ, არც ისე რთული აღმოჩნდა. ტემპს ყველანი ავყევით და თამაშის ბოლომდე გავძელით. ნაქცევაზე არც მე ვყოფილვარ და არც დანარჩენები - ვინც საქართველოში ვთამაშობთ. გუნდი ერთსულოვანი გახლდათ და ამ მოტივაციამ ძალები გაგვიათკეცა. თუმცა მართლა იმდენი ვირბინე, დაღლა მხოლოდ გასახდელში ვიგრძენი.

**- ალბათ, საქართველოს ჩემპიონატში ამდენი მოძრაობა არც დაგჭირვებია...**

- აქ უამრავი რთული შეხვედრა გვინევს, მაგრამ სისწრაფეები და სამუშაოს მოცულობა ბევრად ნაკლებია. საქართველოს ჩემპიონატში ამდენი არასდროს მირბენია. სხვათა შორის, ნაკრებში თუ ბოლო წუთამდე გავძელი, „ვიტ ჯორჯიას“ დამსახურებაა - ფიზიკურად ძალიან კარგად გვამზადებენ. პირველად ამას უეფას თასზე „სლოვანთან“ მატჩის შემდეგ მივხვდი. ვიცოდით, სლოვაკები ფიზიკურად ძლიერები იყვნენ და მაინც მოვუგეთ. ამან იმხელა სტიმული მოგვცა, „ავსტრიასთანაც“ მოვიგებდით, მაგრამ ომმა შეგვიშალა ხელი.

**- „ვიტ ჯორჯიამ“ „ავსტრიასთან“ წააგო და ამაზე ლაპარაკი რამდენად სერიოზულია?**

- თამაშის დროს ვიგრძენი, რომ მოგება შეგვეძლო. სამწუხაროდ, ომის გამო, გზები გადაიკეტა, მცხეთაში ჩასვლას ზოგჯერ ვერ ვახერხებდით და მომზადება ჩავაგდეთ. საერთოდ, მეტოქის წინაშე თუ შეგეშინდება, ვერ მოიგებ. თუმცა ბრძოლა ყველასთან შეიძლება.

**- შენი აზრით, ეროვნულ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად რა უნდა დახვეწო?**

- ევროპულ დონეზე თამაშისთვის მეტი კლასი და საგოლე მომენტების უკეთ რეალიზაციაა საჭირო. სიმართლე გითხრათ, ფიზიკურად ჩამორჩენა არ მიგრძნია. „ვიტ ჯორჯიის“ მწვრთნელმა რამაზ მუმლაძემ ისე მოგვამზადა, ნაკრებში 90 წუთი არ გაგვჭირვებია. სხვათა შორის, მე და ლექსო კვახაძეს ხშირად გვიმეორებდა, - ბევრი ივარჯიშეთ, ადრე თუ გვიან, ნაკრებში მაინც მიგიწვევენო და ასეც ვიქცეოდით. პროფესიონალია და ეტყობა, გრძნობდა, გარკვეული პოტენციალი რომ გვქონდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი



# BENE, BENE

## ვესტფალიური უცნაურობა




- ბოლო დღეებში ფეხბურთის სპეციალისტები ისეთ კომენტარს აკეთებდნენ გაზეთებში, რომ ნამდვილად მიკვირს...
- ვის გულისხმობ?
- სპეციალისტებს, მწვრთნელებს, ყოფილ ფეხბურთელებს... გეგუჩაძის ნათქვამზე კომენტარს ნამდვილად არ გავაკეთებ. ამას სჯობს, ჩვენთან მოვიდნენ და ფეხბურთელებს დაგველაპარაკონ, თუ გული შესტკივათ და დახმარება უნდათ... ყველას დიდი სიამოვნებით მოვუსმენთ, გაზეთებში კი ამის წერა გამართლებულად არ მიმაჩნია...

ბულგარეთთან მატჩის შემდეგ „ლელო" ლევან კობიაშვილს რომ ესაუბრა, იქიდან არის ეს ამონარიდი. ათი წელია, რაც კობიაშვილი გერმანიაში თამაშობს და მისგან ამიტომაც გაგვიკვირდა, რატომ შემოეყარა გულზე კვიპროსთან მატჩზე სპეციალისტთა კომენტარები.

საქართველოში ყოველთვის ერიდებოდნენ იმის თქმას, რასაც მართლა ფიქრობდნენ. სიტუაცია დიდად არც ახლაა შეცვლილი, მაგრამ არის გამონაკლისებიც. ხანდახან, გამოკრთება სალი აზრი, ჭკვიანური ნათქვამი, მეტაფორა და შედარება, არგუმენტირებული კრიტიკა და უნარიანი ქება, ემოცია და იუმორი, მაგრამ სიყალბეს და სიჩუმეს სულ სხვა ფასი აქვს - ამას არის შეჩვეული ჩვენი უკულმართი მილეთი, თორემ ადამიანი ყველგან ადამიანია, მათ შორის, გერმანიასა და საქართველოშიც.

გამოსავალი, ალბათ, ის არის, რომ სიყალბე-სიჩუმეს შეჩვეულ ხალხს ის მიეწოდოს, რასაც აწვდიან ადამიანებს გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში... მაგრამ ეს არ გამოდის, კარგად და გემრიელად მთქმელი ცოტაა და ისინი დიდად დამსახურებულნიც არ არიან ჩვენს მილეთში.

კობიაშვილი კი დიდად დამსახურებული ფეხბურთელია ვესტფალიაშიც და სამშობლოშიც. საქართველოს ნაკრებში სულაც ვიცე-კაპიტანია და ყველაზე მეტი მატჩიც უთამაშია ეროვნულ გუნდში. კვიპროსთან თამაშზე არაერთი აზრი გამოითქვა, მაგრამ სპეციალისტის აზრი რატომღაც უფრო გულზე ხვდება მწვრთნელ-ფეხბურთელებს, ვიდრე ჟურნალისტის. აქ ალბათ ფსევდოკოლეგიალობაში უნდა იყოს საქმე - ანუ, როგორ შეიძლება, რომ მწვრთნელმა ფეხბურთელი ან ფეხბურთელმა ფეხბურთელი გააკრიტიკოს?! კოლეგიალობა ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენთან ეს, ფაქტობრივად, არ გამოდის, ჩვენთან არ არსებობს პროფკავშირები და არც კლუბები ინტერესის მიხედვით, არც სოლიდარობა და გვერდში დგომა, ოდენ ფსევდოკოლეგიალობა, პირზე კოცნა და ენის ტარტარი.

...სუსტი იყო ნახევარდაცვა, კობიაშვილს გოლი რომ არ გაეტანა, მის თამაშს დადებითად ვერ შევაფასებდი, კუპერს ამ ტაქტიკისთვის შესაფერისი ფეხბურთელები არ ჰყავს, არ იყო დაზღვევა და მოირლვა ჩვენი მარჯვენა ფლანგი... მწარე თითქმის არც არაფერი თქმულა ამ კომენტარებში, უბრალოდ, შეუჩვეველია ყური მწვრთნელებისა თუ ყოფილი ფეხბურთელებისგან კრიტიკას. კუპერი კრიტიკასა და ქებას ნაჩვევი იქნება, ოღონდაც არ იცის ჩვენი თავისებურებანი და არ გაუკვირდება, თუ რომელიმე სპეციალისტი და მწვრთნელი მწარედ გააკრიტიკებს. ალბათ, ამიტომაც სჯობს უცხოელი მწვრთნელი ჩვენებურს.

მენტალიტეტის შეცვლა გვარიანად ძნელი საქმეა.

კუპერმა გზა გაუხსნა საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელებს, რაც თავისებური გამოწვევაა ლეგიონერებისთვისაც - ზოგმა აქაურმა ზოგ იქაურს აჯობა. Bene - სანამ კითხვაზე პასუხს გასცემს, კუპერი ასე აკეთებს მოთელვას და ფიქრისთვის წამებს იგებს. „კეთილი, გასაგებია, კარგია!" - ამ მნიშვნელობით ხმარობენ იტალიელები Bene-ს და ბულგარეთთან კუპერის გუნდის თამაში, ალბათ, ასე უნდა შეფასდეს. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ შედარებითია - საქართველომ უწინდელზე უკეთ ითამაშა.

ინტერვიუ რევაზ ძოძუაშვილთან

# ბრავო! კუპერს და ნაკრებს!

## რა გვქონდა და რა დაგვაკლდა

ქართული და უცხოური კლუბების გარდა, რევაზ ძოძუაშვილი ლატვიისა და ჩვენს ეროვნულ გუნდსაც წვრთნიდა. მისი აზრი ყოველთვის საინტერესოა. როგორ აფასებს ბულგარეთთან მატჩს, რა აზრისაა ნაკრების მთავარ მწვრთნელზე და როგორ ესახება ჩვენი ეროვნული გუნდის მომავალი - ბატონ რევაზს შინ სწორედ ამ თემებზე სასაუბროდ ვეწვიეთ...

**- როგორ შეაფასებდით ბულგარეთთან მატჩს?**

- თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ კარგა ხანია ჩვენს ნაკრებს ასე არ უთამაშია და ეს ძალიან მახარებს. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მოგვეგო. 3 ქულა ამ თამაშს გვირგვინივით დაამშვენებდა. მართალია, კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასეთი გამონათებები ჩვენს გუნდს ახასიათებს ხოლმე. ახლა მთავარია, ნაკრებმა სტაბილურობას მიაღწიოს. სწორედ ამაზე უნდა იზრუნოს ექტორ კუპერმა, მაგრამ თუ ფეხბურთელებმაც არ აუბეს მხარი, ისე არაფერი გამოვა. მოთამაშეებმა უნდა გაითავისონ, რომ თამაში შეუძლიათ, ირწმუნონ საკუთარი ძალების და მომდევნო მატჩებშიც მაქსიმალურად დაიხარჯონ.

**- თურმე, შეგვძლებია თამაშია. მაინც რის ხარჯზე შეძლო ეს ჩვენმა გუნდმა?**

- რამდენიმე ფაქტორია. უმთავრესად, ესაა გუნდის განწყობილება, მოტივაცია. კუპერმა ეს შეძლო და ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ კვიპროსის მერე ფეხბურთელებიცა და გულშემატკივრებიც ფრეთი იმედგაცრუებულები ვიყავით. დიდი იყო ალბათობა, რომ ამას ნაკრებზე ნეგატიურად ემოქმედა. არგენტინელმა გუნდისთვის განწყობილების შექმნა, საბრძოლოდ მომზადება და მოტივირება უმოკლეს დროში მოახერხა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ნაკრების ყველა ფეხბურთელმა მაქსიმუმი გაიღო. თუმცა ეს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანმა ფაქტორმაც განაპირობა...

**- კერძოდ?**

- გულშემატკივარს ვგულისხმობ. დიახ, ჩვენმა გუნდმა ასე კარგად რომ ითამაშა, ამაში ქომაგების დიდი წვლილიცაა. მათმა მხარდაჭერამ, ყიჟინამ, ოვაციებმა. ჩვენს ბიჭებზე დადებითად იმოქმედა, მეტოქისთვის კი დამთრგუნველი იყო. იყო კიდევ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ საგულისხმო მომენტიც, რამაც ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი - შინ ზედიზედ ორი მატჩი გვქონდა. ბულგარეთი კი თბილისამდე იტალიას საკუთარ მოედანზე ეთამაშა და მერე აქ ჩამოვიდა. ამდენად, ჩვენმა გუნდმა ძალების აღდგენა დროულად მოასწრო. როცა მატჩებს შორის პაუზა სამი-ოთხი დღეა, ეს ფაქტორი უფრო მეტად მოქმედებს. ერთიცაა კიდევ - ნაკრებს უკვე თავისი ბაზა აქვს... გაგახსენებთ, ადრე მუდმივად ხაზს ვუსვამდი ბაზის მნიშვნელობას. მაშინ არ იყო ასეთი ფუფუნება... ახლა ხომ ნახეთ, როგორ იყო მომზადებული გუნდი ფიზიკურად? ჰოდა, დავჯაბნეთ კიდეც მეტოქე სისწრაფეში. სხვა, მნიშვნელოვან კომპონენტებზეც ვიტყოდი...

**- ბრძანეთ...**

- მატჩის პირველსავე წუთებიდან ბრძოლა გაჩაღდა. მოედანზე თამაში და ჭიდილი იყო, ამავე დროს - ფსიქოლოგიური ჭიდილიც, რაშიც ჩვენ მოვიგეთ. თავიდანვე ვაგრძნობინეთ მეტოქეს, რომ აუტსაიდერი არ ვიყავით და თავიდანვე გაჩაღდა ბრძოლა ფავორიტის როლის მოსარგებად... და სტუმრები ამაშიც აშკარად დავჯაბნეთ. დიახაც, ჩვენ უნდა გვეკარნახა თამაშის პირობები და არა მათ. ეს ფსიქოლოგიური შეტევა იყო - აქაც ვიმარჯვეთ... ჩვენი პირველი შანსიც გავიხსენოთ, რაც ფეხბურთში იშვიათად ხდება - საგოლე მომენტი მეკარე ლომაიას დარტყმას მოჰყვა. ცენტრფორვარდის ნაცვლად მეტოქის მეკარესთან მარცხენა მცველი შაშიაშვილი აღმოჩნდა პირისპირ. ბულგარელი მცველები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნას ცდილობდნენ, მაგრამ შაშიაშვილი სიღრმიდან გამოვარდა და ცოტა რომ გაგვმართლებოდა, დასაწყისშივე დავწინაურდებოდით.

**- რით ახსნით ბულგარეთის ნაკრების ესოდენ ცუდ თამაშს?**

- ავხსნი ჩვენი გუნდის დამსახურებით. ფეხბურთში აქსიომაა - თამაშობ ისე, როგორ საშუალებასაც მეტოქე გაძლევს. საქართველოს ნაკრებმა მეტოქე შებოჭა და სწორი ტაქტიკის ხარჯზე თამაში ჩაუშალა, მეტის გაკეთების საშუალება არ მისცა. ესეც ძალიან მომეწონა. და სხვათა შორის, ერთ მომენტსაც უნდა გავუსვათ ხაზი - ბულგარეთი თბილისში ცხვირაწეული ჩამოვიდა. ეტყობა, 6:2 რომ მოგვიგეს, ის თამაში ახსოვდათ და თავიდან ვერ ამოიგდეს. მოკლედ, ზემოდან გვიყურებდნენ, სათანადოდ ვერ შეგვაფასეს, ჩვენგან ასეთ ბრძოლას არ ელოდნენ... ერთი ხანობა, დაიბნენ კიდეც. მერეც, მთელ რიგ სიტუაციებში დაბნეულები ჩანდნენ... ახლა კი შევაჯამოთ: გუნდის განწყობა და მოტივირება, ფიზიკური მომზადება და სისწრაფე, ფსიქოლოგიური ბრძოლა უპირატესობის მოსაპოვებლად, სწორი ტაქტიკა, პრესინგი და აგრესია... მოწინააღმდეგე ყველა ამ კომპონენტში დავჯაბნეთ. ასე რომ, ბრავო კუპერს და ნაკრებს! თუმცა კარგი თამაშის გამო ეიფორიაში არ უნდა ჩავცვივდეთ, მომდევნო მატჩებიც ასე უნდა ჩავატაროთ.

**- მაშ, რა დაგვაკლდა მოგებისთვის?**

- ფეხბურთი მრავალფეროვნებით ფასობს. ჩვენი გუნდის მიზანი იყო, დაცვიდან გრძელი პასით რაც შეიძლება სწრაფად გადაეტანათ ბურთი მეტოქის საჯარიმოსკენ. გრძელი პასი, მაღალი ბურთის ჩაკიდება... ჩვენი შეტევები ერთფეროვანი იყო. კარგი იქნებოდა, შიგა და შიგ მოკლე, დაბალი პასებითაც გვეთამაშა და მეტი დაწოლა ყოფილიყო ბულგარელთა მარცხენა მცველ ივანოვზე, რომელიც მოწინააღმდეგე გუნდის ყველაზე სუსტი წერტილი იყო. თუმცა კუპერის ჩანაფიქრი მაინც სწორი იყო და ფეხბურთელებმაც ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს მწვრთნელის დავალება. ეგ იყო, „მეორე ტალღა" დაბალი და მოკლე პასებითაც რომ გვეთამაშა, მეტ ხიფათს შევქმნიდით მეტოქის კართან და დარწმუნებული ვარ, ერთ გოლს მაინც გავიტანდით.

**- კიდევ რა გენიშნათ ბულგარეთთან მატჩში?**

- გუნდის ნახევარზე მეტი ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელი იყო. კუპერი აქ ცხოვრობს, თამაშებს ესწრება, ფეხბურთელებს ეძებს... აგერ, ბატონო, რაზმაძე შეამჩნია, ლომაია დააბრუნა... სხვათა შორის, მეკარის შეცვლის საკითხში ყველა ფრთხილობს, რადგან აქ მეტია შეცდომის ალბათობა. თუნდაც ბოლო მაგალითი ავიღოთ - ყაზახეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა დავით ლორიას ნაცვლად კარი სხვას ანდო და შეცდა. ყაზახებმა ბოლო მატჩი 1:5 წააგეს და, ალბათ, ისევ ლორიას დააბრუნებენ. იგივე იყო ლომაიას შემთხვევაშიც, როცა ტოპმიოლერმა ის ნაკრებიდან მოკვეთა. კუპერი მას დააკვირდა და ნაკრებში დააბრუნა... პენალტიც მოიგერია და საიმედო თამაშით გუნდს თავდაჯერებულობა შემატა.

**- აშკარაა, რომ კუპერი ნაკრებში კონკურენციას ზრდის და, ალბათ, კიდევ მიიწვევს ახალ ფეხბურთელებს. ვინმეს ხომ არ ურჩევდით ეროვნული გუნდის მწვრთნელს?**

- კუპერი აუცილებლად უნდა დააკვირდეს ამისულაშვილს, გამეზარდაშვილს... ვფიქრობ, ელიავაც გაუმართლებს... ჩემი აზრით, არც აშვეთიას დავიწყება შეიძლება. ტატანაშვილი ჩეხეთშია და იქ კიდევ უფრო მოუმატებდა. არიან სხვებიც... შეიძლება, ვინმე გამომრჩეს.

**- ბევრი კუპერს ახლავე სთხოვს შედეგს, ბევრიც ამბობს, რომ უმჯობესია, ეს შესარჩევი ციკლი მომზადებისთვის, გუნდის ჩამოყალიბებისთვის გამოვიყენოთ...**


რევაზ ძოძუაშვილი

- კარგია, რომ კუპერი ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს აკვირდება. ეს მათ სტიმულს მატებს, მაგრამ ლეგიონერებიც არ უნდა დაგვავიწყდეს, მით უმეტეს ისინი, რომელთაც ნაკრებში საერთოდ არ უთამაშიათ, ან ერთიორჯერ იყვნენ გამოძახებულნი. კარგი იქნება, თუ ამ შემოდგომაზე, ზამთარში ან გაზაფხულზე კუპერი საჩვენებელ მატჩს მოაწყობს, შეკრებს ფეხბურთელებს, პირობითად დაყოფს მათ და ერთმანეთთან ათამაშებს. ანდაც, აზერბაიჯანს ან სომხეთს რომ ვთხოვოთ, ამხანაგური მატჩისთვის არ დაგვზარდებიან. ჩამოვაყალიბოთ მეორე ნაკრებიც, რომელშიც მხოლოდ ეროვნულ პირველობაზე მოთამაშე ფეხბურთელები იქნებიან. ამით, ჩემპიონატის დონეც აიწევს და ნაკრებშიც კონკურენცია გაიზრდება. ამასთან, ეს საკონტროლო მატჩები ყველა კითხვას გასცემს პასუხს და მერე აღარ იქნება მითქმა-მოთქმა - კუპერმა ესა თუ ის ფეხბურთელი რატომ არ გამოიძახაო. ვინც კარგია, ამ საჩვენებელ მატჩებშიც გამოიჩენს თავს. ჩემი აზრით, კუპერს უნდა ვაცალოთ და ეს შესარჩევი მომდევნო საკვალიფიკაციოს ეტაპისთვის მოსამზადებლად გამოვიყენოთ. არ მგონია, სხვა გზა მართებული იყოს.

დავით ცაბაძე

მოსაზრება

# რით და რატომ აჯობა ტოპმიოლერს კუპერმა?



# გერმანელს 2 წელი დასჭირდა, არგენტინელს 2 თვე!

**კლაუს ტოპმიოლერი** მაღალი დონის სპეციალისტია, მაგრამ მან დაუშვა შეცდომები და ასეთი შეცდომებისგან საქართველოში არც ერთი უცხოელი მწვრთნელი არ არის დაზღვეული. ექტორ კუპერიც მაღალი დონის სპეციალისტია, მაგრამ ის ნამდვილად არ არის ტოპმიოლერზე დიდი მწვრთნელი. ტოპიც და არგენტინელიც, საერთაშორისო შკალაზე დაახლოებით ერთ პოზიციაზე არიან. სხვა საქმეა, დაიკავებს თუ არა კუპერი საქართველოში გერმანელზე მაღალ რანგს. ძალიან გვინდა, რომ დაიკავოს. დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ დაიკავებს და, რაც მთავარია, ამაში საქართველომ უნდა შეუწყოს ხელი...

ბულგარეთთან მატჩი, თავისი არსით, მიდგომითა და მონდომების ხარისხით, ძალიან ჰგავდა საქართველო-შოტლანდიის შეხვედრას. ერთადერთი სერიოზული განსხვავება ის გახლდათ, რომ ეს თამაში ვერ მოვიგეთ, მაშინ კი, 3 ქულა გავიფორმეთ. თუმცა ამას ნამდვილად არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან 2010 წლის მუნდიალზე საქართველოს ნაკრების გასვლა ისეთივე უტოპიაა, როგორც მანამდე, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე მოხვედრა იყო. აქ მთავარი ისევ და ისევ მიდგომა და ხარისხია. ბულგარეთთან ორივე ფაქტორი უმაღლეს არა, მაგრამ საკმაოდ მაღალ დონეზე შესრულდა. ისევე, როგორც მაშინ, **კლაუს ტოპმიოლერის** დროს, შოტლანდიასთან...

...მაგრამ **ექტორ კუპერმა** უკვე აჯობა ტოპმიოლერს. ზოგადად, გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს, გაცილებით მეტს, ვიდრე ჩვენ გვგონია. შეცდომებზე სწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია. და ჩვენც ვისწავლეთ შეცდომებზე: ტოპმიოლერისგან განსხვავებით, კუპერი საქართველოში დავასახლეთ. არ ვიცი, რამდენად ეხალისება არგენტინელს ვალენსიისა და მილანის შემდეგ თბილისში ცხოვრება, მაგრამ ფაქტია, რომ მას მერე, რაც ფეხბურთის ფედერაციამ ძველი შეცდომა გაითვალისწინა და მას საქართველოში ცხოვრება კატეგორიულად მოსთხოვა, კუპერი უკვე დადგა ტოპმიოლერზე უკეთეს პოზიციაში და იმთავითვე გაუჩნდა უკეთესი შანსი, რომ ქართული კარიერა კლაუსზე უკეთესი გამოუვიდეს. არგენტინელს აქვს იმის შანსიც, რომ აქაურ ატმოსფეროს და, ზოგადად ქართულ ზნე-ჩვეულებებს, ტოპიზე გაცილებით მალე აუღოს ალღო. და გარკვეულწილად, უკვე აუღო კიდეც. ამის დასტური ოთხშაბათის მატჩი იყო.

კლაუსის ხელში საქართველოს ნაკრებმა თავისი საუკეთესო მატჩი შოტლანდიასთან (2:0) ითამაშა - გერმანელის დანიშვნიდან ძალიან გვიან, ფაქტობრივად, 2 წლის შემდეგ. კუპერის ხელში კი ეს ძალიან მალე, ფაქტობრივად, ორი თვის თავზე მოხდა. ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ არგენტინელი აქ ცხოვრობს, მეორე ვარიანტად კი, ვფიქრობ, შემდეგი მოსაზრება უნდა განვიხილოთ - კუპერი ტოპმიოლერზე მეტადაა მონდომებული და უფრო სხარტი გონებაც აქვს. შესაბამისად, მან უფრო სწრაფად შეძლო იმ ცნების „დამუღამება", რასაც საქართველო და ქართული ფეხბურთი ჰქვია. ვერ დავიჩემებთ, რომ ეს უკვე 100 პროცენტით მოახერხა, მაგრამ ბულგარეთთან პროგრესი აშკარად შეიმჩნეოდა.

ტოპმიოლერს კი ეს ძალიან დაუგვიანდა, ისევ და ისევ იმის გამო, რომ საქართველოში არ ცხოვრობდა. ბოლოს მის გარშემო სიტუაცია უკვე დუღდა. შოტლანდიასთან მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ ვითარება მხოლოდ დროებით დააშოშმინა. შოტლანდიის მერე კი იყო ლიტვა, სადაც უკვე გამოჩნდა სირთულეები, რომელთა დეტალური განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს. ის, რაც მაშინ ლიტვასთან თამაშიდან დაიწყო, ლატვია-ჩრ. ირლანდიით გაგრძელდა და ტოპმიოლერის გაგდებითა თუ გადადგომით დამთავრდა, აღარ უნდა განმეორდეს! ეს შეცდომა იყო და, მოდი, ამ შეცდომაზე მაინც ვისწავლოთ.

ბულგარეთთან ვერ მოვიგეთ, მაგრამ ბულგარეთთან ვითამაშეთ ისე, როგორც მაშინ, შოტლანდიასთან - ევროპულად, აზრიანად, თავგანწირვით. გუნდს ეტყობოდა, რომ ძალიან, ძალიან უნდოდა მოგება... და ეს ყველაფერი - განახევრებული შემადგენლობით. ეს ძალიან კარგის ნიშანია.

ძალიან კარგის ნიშანია ისიც, რომ რაკი ახლა ბულგარეთი გაცილებით ადრე იყო, ვიდრე მაშინ შოტლანდია, კუპერის ლანძღვის საბაბი არ არსებობს და, შესაბამისად, მისი ჩაძირვის შანსიც ნაკლებია. თანაც, არგენტინელი ხალხსაც ძალიან მოსწონს.

ამას წინათ, ერთი ძალიან „საინტერესო" მოსაზრება მოვისმინე. ტოპმიოლერი გალაღებული იყო, კაი ლიპიც ჰქონდა, აბა კუპერს შეხედე, როგორ ეტყობა, რომ მშრომელი კაცია, 50 კილოც კი არ იქნებაო. ძალიან უცნაურია ქართული მენტალიტეტი და ვინ იცის, იქნებ, ძაღლის თავი მართლაც აქ იყოს დამარხული: გერმანელი რომ შედარებით მძიმეწონიანია, არგენტინელი კი ძალიან გამხდარი...

ხუმრობა იქით იყოს და, როცა ტოპმიოლერი რაღაც-რაღაცებში გაერკვა და თითქმის ყველაფერს ალღო აუღო, უკვე დაგვიანებული იყო. რეალურად, ამ ეტაპზე, კუპერს ტოპმიოლერის ბედის გაზიარება ნამდვილად არ ემუქრება. ასე რომ, დღეს შეგვიძლია შედარებით მშვიდად ვიყოთ. სწორედ ამიტომ: სრული კარტ-ბლანში არგენტინელს!

...ისე, საქართველოს ნაკრებს კუპერიც იმავე ტაქტიკით (4-3-3) ათამაშებს, როგორითაც კლაუსი. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჩვენმა გუნდმა ყველაზე მარტივი სქემით, 4-4-2-ით უნდა ითამაშოს, მაგრამ ეს არც ჩემი საქმეა და არც პავლესი. კუპერმა თვითონ იცის და პასუხსაც ის აგებს. მნიშვნელობა არ აქვს, 4-3-3 იქნება თუ 8-1-1. მთავარია, იყოს ისეთივე მონდომება და მიდგომა, როგორც ახლა ბულგარეთთან და მაშინ - შოტლანდიასთან იყო. და თუ ის მესამეც (გამარჯვება) დაემატება, რაც შოტლანდიასთან იყო და არ იყო ბულგარეთთან, მაშინ სანაკრებო თამაშების შემდეგ ქომაგები სახლებში მსაჯის ან მეტოქის დედის გინებით კი არა, ჩვენი გუნდის ქებით დაბრუნდებიან...

**გოტფრიდ ლენცი**

*P.S. სტადიონზე, ვილაც ტიპი ვილაცას ტელეფონზე ელაპარაკებოდა: „მაგარი დაბოლილი ვარ შე ჩემა და მაგარს ვკაიფობ ფეხბურთზე!" მჭედლიძეს სულ არველაძე ეძახა, კუპერს „კასტილი" (?!) და ა.შ. გამიგონია, ადრე მართლა ხალხი დადიოდა სტადიონზე....*

ტრავმა

# თუ გინდათ, თვითმფრინავს გამოგიგზავნით...

## მჭედლიძე: საგანგაშო არაფერია, მხოლოდ წოლითი რეჟიმი



ბულგარეთთან მატჩში, სხვებთან ერთად, ლევან **მჭედლიძეც** საკმაოდ აქტიურობდა, მაგრამ... მხოლოდ 30 წუთი ითამაშა. ის მეტოქესთან საჰაერო ორთაბრძოლისას დაშავდა და საავადმყოფოში წასაყვანი გახდა. მატჩი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როცა მჭედლიძეს რესპუბლიკურში რენტგენი გადაუღეს და გამოკვლევაც ჩაუტარეს. დიაგნოზი ასეთია - თავის ტვინის შერყევა. „პალერმოს" 18 წლის ფორვარდი იმ საღამოსვე შინ გაწერეს და წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს.

*„მაღალი ბურთისთვის ბრძოლის დროს მეტოქის მცველს, ეტყობა, ახტომისას პირი ჰქონდა დაღებული, კბილები თავში ჩამარტყა. საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ თამაში მცირე ხანს გავაგრძელე. მაგრამ ტკივილი ნელ-ნელა აუტანელი ხდებოდა, თან გაბრუებაც მატულობდა. გვერდით ხაზთან მივედი, ნაკრების ექიმებმა შემხედეს და თამაშის გაგრძელებაზე მტკიცე უარი მითხრეს. სათადარიგოთა სკამზე დამსვეს, ჩემ გვერდით როინ კვასხვაძე და დათო ოდიკაძე ისხდნენ... ამის მეტი აღარაფერი მახსოვს. რესპუბლიკურში გამოკვლევა ჩამიტარეს. საბედნიეროდ, ტვინის შერყევა მძიმე ფორმის არაა. ერთი სიტყვით, საგანგაშო არაფერია, საშუალო სიმძიმის ტრავმაა. ექიმებმა წოლითი რეჟიმი დამინიშნეს და მითხრეს, თავი არ გადაიტვირთო, ბევრი ლაპარაკიც არ შეიძლებაო... კვირის ბოლომდე ამ რეჟიმში მომიწევს ყოფნა, მერე უკვე მწყობრში ვიქნები"* - გვითხრა გუშინ ლევანმა და მეტი არც შეგვიწუხებია.

ამასობაში, კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გავიგეთ. მჭედლიძის ტრავმაზე „პალერმოს" ხელმძღვანელობასაც შეუტყვია. გუშინ სიცილიიდან მჭედლიძეებს დაურეკეს და შესთავაზეს - თუ საჭიროა, კლუბის მცირეგაბარიტიან თვითმფრინავს გამოვგზავნით, ლევანს იტალიაში წამოვიყვანთ და აქ ვუმკურნალებთო. „პალერმოს" ექიმებმა კი რენტგენის სურათი და გამოკვლევის შედეგებიც მოითხოვეს.

*„იტალიელებს ეგონათ, რომ ლევანის მდგომარეობა საგანგაშო იყო და მზად იყვნენ, კლუბის თვითმფრინავით სამკურნალოდ იტალიაში გადაეყვანათ. როცა გამოკვლევის მონაცემებს გაეცნენ, მათაც იგივე თქვეს, რაც ჩვენმა ექიმებმა - კვირის ბოლომდე წოლითი რეჟიმი და ბევრი ლაპარაკითაც ნუ გადაღლითო. მოკლედ, გართულებებს გადავურჩით, ლევანი მალე სრულად გამოჯანმრთელდება"* - გვითხრა ლევანის ძმამ, **გიორგი მჭედლიძემ**.

**დავით ცაბაძე**

კლუბები. გაგრა

# მოგება, ფრე და ტრავმა

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „გაგრამ" სანაკრებო პაუზა ნაყოფიერად გამოიყენა. **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი ჯერ პირველლიგოსან „თბილისს" შეხვდა და 3:0 (**ჩარგეიშვილი, გაბედავა, მგელაძე**) მოუგო, 14 ოქტომბერს კი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს დაუპირისპირდა. შეხვედრა 1:1 დასრულდა. გაგრელთაგან ერთადერთი გოლი **მეტრეველმა** გაიტანა. სხვათა შორის, 19-წლამდელთა შორის „გაგრის" ოთხი მოთამაშე იყო მიწვეული და გოლიც ერთ-ერთმა მათგანმა - **ფილიამ** გაიტანა. მის გარდა, **ზაურ სვანაძის** გუნდში **ხოკერაშვილმა, ტეტუნაშვილმა** და **სეთურიძემაც** ითამაშეს.

ბოლო მატჩში „გაგრის" მცველი **ტყეშელაშვილი** დაშავდა (კოჭი ამოუტრიალდა). რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა და როდემდე ვერ დაეხმარება გუნდს, ექიმები ამას უახლოეს დღეებში დაადგენენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ჭელიძელა თამაშობს

გუშინ ყაზახურ პრემიერლიგაში 26-ე ტურის მატჩები გაიმართა. შეგახსენებთ, რომ გათამაშებიდან მოკვეთეს ძმები **ჯელაძეების** „ვოსტოკი", რომელიც თამაშის ჩაწყობაში ამხილეს. „ვოსტოკს" მხოლოდ ყაზახეთის თასზე თამაშის უფლება დაუტოვეს. **ლაშა ნოზაძის** „შახტიორი", ანალოგიური მიზეზით, 9-ქულიანი ჯარიმით დასაჯეს. ამ ტურში „შახტიორი" ყარაღანდაში „მეგასპორტს" დაუზავდა (2:2). ქართველი ნახევარმცველი არ გამოჩენილა. მეშახტეებს 27 ქულა (ჩამოკლების შემდეგ) აქვთ, თუმცა გავარდნა მაინც არ ემუქრებათ.

ქართველი მცველის, **ლაშა ჭელიძის** „კაისარი" ჩიმკენტში „ორდაბასის" ესტუმრა და 2:0 მოუგო. ლაშამ 90 წუთი ითამაშა. „კაისარი" 46 ქულით მეოთხე ადგილზეა და ჩემპიონატის დასრულებამდე მას, სავარაუდოდ, ცვლილება არ შეეხება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქეები

# Нов позор в Грузия

## პლამენი ბულგარული მედიის ცეცხლის ალში. მარკოვი შეიძლება თბილისურ ფრეს შეეწიროს

შესაძლოა, ბულგარეთის ნაკრების თბილისური ფრე **პლამენ მარკოვს** ძვირად დაუჯდეს. იქაურმა მედიამ მწვრთნელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. „7 დნი" წერს, რომ - „ბულგარეთმა საქართველოში მორიგი საშინელი მატჩი ითამაშა". გაზეთი „ნოვინარი" ამტკიცებს, რომ „ბულგარეთს ძალიან გაუმართლდა, რომ არ წააგო". მარკოვმაც (48 წლის სპეციალისტი ნაკრების თავკაცი იანვარში გახდა.) კარგად უწყის, რომ წყალი შეუდგა:

*„ვეთანხმები კრიტიკას. გუნდი ბრძოლისთვის ვერ განვაწყვე. მაგრამ ჩვენ უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ დღევანდელი ბულგარული ფეხბურთის პოტენციალი ამაზე მეტი არ არის. წარმოდგენა არ მაქვს, ვიქნები თუ არა გაზაფხულზე ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი. თბილისში ფეხბურთელებმა ისე ითამაშეს, რომ შემძლებოდა, შესვენებისას ცხრა ცვლილებას გავაკეთებდი".*

გაზეთი „დნესი" ბულგარელთა თამაშს ასე ასათაურებს: *„საბრალო ანტიფეხბურთი საქართველოში"*. და მერე წერილში ვკითხულობთ: *„ბულგარეთის ნაკრები აშკარად დაჩაგრა მასპინძელთა გუნდმა, მაგრამ საოცარმა იღბალმა და გოლკიპერ გიორგი პეტკოვის დიდებულმა თამაშმა 0:0 შეგვინარჩუნა და დამსახურებული მარცხისგან გვიხსნა".*

არც ის არის გასაკვირი, რომ განრისხებული გულშემატკივრები ბულგარეთის ნაკრებს სოფიაში კვერცხებისა და ტუალეტის ქაღალდების სროლით შეხვდნენ. ერთადერთი, ვინც მათგან ქება და ტაში დაიმსახურა, მეკარე პეტკოვი იყო. ამაზე გაზეთი „სპორტნი" წერს.

ფრაგმენტი „7 დნი სპორტში" გამოქვეყნებული სტატიიდან: *„ბულგარეთის ნაკრებმა თავის ისტორიაში სირცხვილის ახალი ფურცელი ჩაწერა. მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთხელ შევაწუხეთ მასპინძელთა მეკარე და ეს სტილიან პეტროვმა შეძლო".*

ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტი კრიტიკა კაპიტანმა **დიმიტარ ბერბატოვმა** დაიმსახურა. მას კიდევ ერთხელ „მოხვდა" **იორდან ლეჩკოვისგან.** „დნესთან" ინტერვიუში ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი **ანჯელინა ჯოლისაც** კი შეადარა. *„იტალიასთან მატჩში მან ხომ მხოლოდ 2 ათასი მეტრი გაირბინა. ასე რომ, მისი თბილისში წაყვანა უაზრობა იყო. მან აბსოლუტურად ვერაფერი გვაჩვენა".*

„სპორტ 1" ამტკიცებს, რომ ბულგარეთის ნაკრებს მალე ეყოლება ახალი თავკაცი, რომლის ვინაობაც იქვე კონკრეტდება - 100 პროცენტით ეს „ლიტექსის" მწვრთნელი **სტანიმირ სტოილოვი** იქნებაო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# ჩერნოგორიამ იტალია გააოცა

## სამი ქულა ამელიას ხარჯზე

იტალიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატებით ასპარეზობს. სკუადრა აძურამ ოთხი შეხვედრა გამართა და 10 ქულას მოუყარა თავი. შეგახსენებთ, რომ **მარჩელო ლიპის** გუნდმა კვიპროსის, საქართველოსა და ჩერნოგორიის უმთავრესი გუნდები დაამარცხა, სოფიაში კი ბულგარეთთან ფრეს დასჯერდა.

შედეგად, აძურა ჯგუფის ლიდერია და დღევანდელი გადმოსახედიდან, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს სამხრეთ აფრიკის საგზური. მიუხედავად ამისა, აპენინებზე გუნდის თამაშით ბოლომდე კმაყოფილები არ არიან და ჟურნალისტებისგან ხშირად კრიტიკაც გაისმის. აძურას თამაშში ბევრი წუნი იყო ოთხშაბათსაც, ჩერნოგორიამ არაერთი მომენტი შექმნა **მარკო ამელიას** კართან და კიპერის სიმარჯვე რომ არა, კაცმა არ იცის შეხვედრა რა ანგარიშით დასრულდებოდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია **მირკო ვუჩინიჩი**, მისი შეჩერება მცველებს ძალიან გაუჭირდათ. მირკოს კიდევ დავუბრუნდებით, იქამდე კი იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, მარჩელო ლიპის მოვუსმინოთ, ვინაც პრესას საკმაოდ ვრცელი კომენტარი მისცა: *„რთული მატჩი იყო, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა და ამან ძალიან გამახარა. ჩვენს თამაშში წუნი მართლაც იყო, მაგრამ ამას ობიექტური მიზეზები აქვს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ოთხ დღეში ორი თამაში გავმართეთ და ეს იოლი არაა. მაშინ, როცა ჩერნოგორიამ შაბათს დაისვენა და ჩვენს წინააღმდეგ სრული კონცენტრაციით და დიდი ენერგიით ითამაშა. საერთოდაც, მეტოქეზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის. ბალკანელებმა გამაკვირვეს კიდეც, ძალიან ტექნიკურები არიან და ჯგუფში კიდევ ბევრს გაამწარებენ. ყველაზე მეტად მათი ტაქტიკური განსწავლულობით გავოცდი, სწორად გადაადგილდებოდნენ მოედანზე და სივრცეებს კარგად კეტავდნენ. დაცვის თამაშმა მართლაც დატოვა უკეთესის სურვილი, უკანახაზელები რიგ ეპიზოდებში არაორგანიზებულად მოქმედებდნენ და ამის გამო კინაღამ დავისაჯეთ კიდეც. სამაგიეროდ დიდებული იყო მარკო ამელია, ჩვენ მისი იმედი მომავალშიც გვექნება. სატურნირო ცხრილს სათავეში ვუდგავართ და ეს ძალიან სასიამოვნოა. რაც ადრე გავინაღდებთ სამხრეთ აფრიკის საგზურს, მით უკეთესი. ასეთ შემთხვევაში, შევძლება კიდევ უფრო მეტი ფეხბურთელი და ტაქტიკური სქემა გამოვცადოთ. ჯერჯერობით, გეგმის მიხედვით მივდივართ და იმედი მაქვს, ასევე გავაგრძელებთ".*

იტალიური პრესა სკუადრა აძურას თამაშის გარჩევისას ცალკეულ ფეხბურთელებზე ამახვილებს ყურადღებას. ყველაზე მეტი, რა თქმა უნდა, მატჩის უდავო გმირზე, **ალბერტო აკვილანიზე** იწერება. რომაელმა დიდებულად იასპარეზა და „გაძეტა დელო სპორტისგან" ყველაზე მაღალი შეფასება, 7.5 ბალი დაიმსახურა. ალბერტო ჩერნოგორიელთა იერიშებსაც შლიდა და აძურას შეტევის სულისჩამდგმელიც გახლდათ. და რაც ყველაზე მთავარია, გატანილი ორი გოლით მის გუნდს მოაგებინა.

ახლო წარსულში იტალიის ნაკრებს ყველაზე მეტად საკადრო პრობლემა სწორედ ნახევარდაცვის რგოლში ჰქონდა, დღეს კი სულ სხვაგვარი ვითარებაა. მარჩელო ლიპის ძალიან დიდი არჩევანი აქვს და ფეხბურთელებს შორის ბალანსი უნდა იპოვოს. არ დაგავიწყდეთ, რომ დაშავებულია **ანდრეა პირლო**, ვისაც მაესტრო თვალდახუჭული ენდობა და მუდამ ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს. რაც შეეხება აკვილანის, მან ამ დუბლით სერიოზული განაცხადი გააკეთა და ამიერიდან ძირითადში მოხვედრის მეტი ამბიციაც ექნება. ალბერტოს კომენტარი თითქმის ყველა აპენინურმა გაზეთმა გამოაქვეყნა:

*„მეტოქემ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, რასაც, სიმართლე გითხრათ, არ ველოდი. თუმცა მთავარია სამი ქულა ავიღეთ და ჯგუფში მდგომარეობა გავიმყარეთ. ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა და დარწმუნებული ვარ, ამოცანას შევასრულებთ. ლიპიმ მთხოვა დე როსი დამეზღვია და თუ საშუალება მომეცემოდა, კარში დამერტყა. ვეცადე, მწვრთნელის დავალება შემესრულებინა და მგონი გამომივიდა კიდეც. ძალიან გახარებული ვარ, ჩემმა დუბლმა იტალიის ნაკრებს სამი ქულა მოუტანა, ეს განუმეორებელი გრძნობაა. ჩემთვის იტალიის ნაკრებში გამოძახება დიდი პატივია. თუ ვინ მოხვდება ძირითადში, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს. დე როსის მხარდამხარ თამაში დიდი სიამოვნებაა, იმავეს ვიტყოდი პირლოზე და ნაკრების სხვა ნახევარმცველებზე".*

იტალიის ნაკრებიდან მარკო ამელიაც უნდა გამოვარჩიოთ. რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგერია და „ლეჩეს"-სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივარს არაერთხელ გამოსტყუა ტაში. იტალიელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მარკოს თავისუფლად შეუძლია ჯიჯი ბუფონის შეცვლა. ჩერნოგორიასთან გამართული მატჩის შემდეგ „პალერმოს" კარის დარაჯი გახარებული იყო და შთაბეჭდილებები მასმედიასაც გაუზიარა:

*„ძალიან კმაყოფილი ვარ საკუთარი თამაშით. რამდენჯერმე გადავარჩინე გუნდი გაშვებულ გოლს და სამი ქულის მოპოვებაში საკუთარი წვლილი შევიტანე. იმედია ახლა მაინც გაჩუმდებიან სკეპტიკოსები და აღარ დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ იტალიის ეროვნულ ნაკრებს ბუფონის შემცვლელი არ ჰყავს. რა თქმა უნდა, მე ვერ შევედრები ჯიჯის, ის უდიდესი მეკარეა, რომელმაც ყველაფერი მოიგო, მაგრამ საჭირო მომენტში ჩემზე დაყრდნობა რისკთან ნამდვილად არაა დაკავშირებული. მადლობა ლიპის ნდობისთვის, მზად ვარ იქ გავჩნდე, სადაც „აძურას" დავჭირდები".*

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ჩერნოგორიასთან ყველაზე სუსტად დაცვითმა რგოლმა ითამაშა, ამაში ლომის წილი სტუმართა ფორვარდ მირკო ვუჩინიჩს მიუძღვის. რომაელი ბევრს მოძრაობდა, რამდენიმე დრიბლინგიც გამოუვიდა და დიდებული გოლიც გაიტანა. „გაძეტამ" მისი და **დეიან სავიჩევიჩის** კომენტარები გამოაქვეყნა, შეგახსენებთ, რომ „მილანის" ყოფილი მოთამაშე ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. თუმცა ჯერ უმჯობესია ვუჩინიჩს მოვუსმინოთ:

*„პირველ რიგში, მინდა სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივარს მადლობა გადავუხადო. მოედნიდან ტაშით გამაცილეს, რაც ძალიან სასიამოვნო იყო. რაც შეეხება თამაშს, ვფიქრობ, ცუდად არ გვიასპარეზია. სახელოვან მეტოქეს არაფერი დავუთმეთ და რიგ ეპიზოდებში ვჯობდით კიდეც. დარწმუნებული ვარ, ამ ნაკრებს მომავალი აქვს და მოვა დრო, დიდ წარმატებებსაც მივაღწევთ. ჩემს თამაშზე რა უნდა ვთქვა, რადგან ტიფოზებმა ტაშით დამაჯილდოეს, ე.ი. ურიგიდ არ გავრჯილვარ, თანაც გოლიც გავიტანე და ამან დიდად გამახარა. მიუხედავად იმისა, რომ იტალიასთან მარცხი საპატიოა, მაინც გული მწყდება, რადგან ანგარიშის გასათანაბრებლად არაერთი შანსი გვქონდა. კომპლიმენტები ამელიას, მან დიდებულად ითამაშა და თავის გუნდს სამი ქულა მოუტანა".*

უკმაყოფილო არც სავიჩევიჩი გახლდათ: *„ძალიან კარგად ვითამაშეთ და დავანახეთ მთელ ევროპას, რომ ფეხბურთის თამაში მაღალ დონეზე შეგვიძლია. ჩვენ წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონი იდგა და რა გასაკვირია, რომ ამ მარცხს განსაკუთრებული უარყოფითი ემოციების გარეშე ვხვდებით. თუმცა გულდაწყვეტის საბაბი მაინც გვაქვს, მარტო ვუჩინიჩს შეეძლო სამ-ოთხჯერ გოლის გატანა, თუმცა მხოლოდ ერთს დასჯერდა. ჩვენი მიზანი ჯგუფში რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავება: და თუ ეს ადგილი მე-2 იქნება, ჩემზე ბედნიერ კაცს, დედამიწაზე ვერ იპოვით. თუმცა მუნდიალზე მოხვედრის ამბიცია ნამდვილად არ გვაქვს, გვსურს, თამაშის ხარისხი გავაუმჯობესოთ და უახლოეს მომავალში ძლიერ ევროპულ საფეხბურთო ქვეყანად ჩამოვყალიბდეთ".*



**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კურანის გამო ლიოვს და ბირჰოფს შალკეს მენეჯერი ანდრეას მიულერი დაუპირისპირდა

გერმანიის ნაკრები

# ყველა გზა კისლინგისკენ მიდის!

## ლიოვმა კურანის შემცვლელის ძებნა დაიწყო



შტეფან კისლინგი გერმანიის ნაკრებს მიუახლოვდა

მას მერე, რაც **კევინ კურანი** გერმანიის ნაკრებიდან მოკვეთეს, საფეხბურთო გერმანიის აზრი ორად გაიყო. ერთ მხარეს „შალკეს" ფორვარდის მხარდამჭერები დგანან, მეორე მხარეს კი - კევინის მოწინააღმდეგეები, რომლებიც ამბობენ, რომ კურანი უკვე ყელში ამოუვიდათ და სულაც არ არის კატასტროფა ის, რომ შალკელი ბუნდესგუნდში აღარ ითამაშებს.

სწორედ ამ უკანასკნელთა რიგებშია მაგალითად, ფრანკფურტის „აინტრახტის" ბოსი **ჰერიბერტ ბრუხჰაგენი**, რომელმაც „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში შემდეგი განაცხადა: „არ მესმის, რატომ გამოუჩნდნენ კურანის მხარდამჭერები და რატომ წყდებათ ზოგ-ზოგიერთებს გული იმის გამო, რომ კევინი გერმანიის ნაკრებში აღარ ითამაშებს. ცხადია, ის კარგი თავდამსხმელია, მაგრამ გერმანიაში ნამდვილად არ არის საუკეთესო და მეტიც: საუკეთესოთა შორის არც არასდროს ყოფილა. ვის არ მოსწონს მისი გაგდება და რატომ? ეს არ მესმის!"

ფაქტი ერთია: ყველაზე მეტად ეს თვითონ კურანის არ მოსწონს. და ცხადია, არ მოსწონთ რეკლამის შემკვეთებსაც, რომლებსაც თავიანთ ვიდეორგოლებში კევინის, როგორც გერმანიის ნაკრების ფეხბურთელის, სახე აქვთ გამოყენებული. თუმცა ეს, ასე ვთქვათ, გვერდითი მოვლენაა და ფეხბურთთან ფაქტობრივად კავშირი არ აქვს. „ადიდასმა" და „ნუტელამ" თავიანთი პრობლემა იდარდონ, გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვს** კი სხვა საფიქრალი აქვს. ახლა მან კევინის შემცვლელი უნდა იპოვოს, რაც ნამდვილად არ გაუჭირდება. უელსთან მატჩის შემდეგ (1:0), იოგიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ალტერნატივებს გადავხედე და საკმაოდ ბევრი კარგი თავდამსხმელი გვყავსო. „ფაქტია, რომ კურანის ნაცვლად, ბუნდესგუნდში სხვა თავდამსხმელი გამოჩნდება," – განაცხადა ლიოვმა.

ფაქტი ისიც გახლავთ, რომ ლიოვს განაცხადში 5 თავდამსხმელი სჭირდება. ოთხეული ამ ეტაპზე ხელშეუხებელია: **მიროსლავ კლოზე, ლუკას პოდოლსკი, მარიო გომესი და პატრიკ ჰელმესი.** კურანი წავიდა, ვინ იქნება ახალი მეხუთე? „კიკერმა" ამ კვირაში საფეხბურთო ექსპერტები გამოკითხა და მათი აზრით, კურანის ადგილის დაკავების საუკეთესო შანსი „ლევერკუზენის" კიდევ ერთ თავდამსხმელ **შტეფან კისლინგს** აქვს. ლიოვიც ამბობს, რომ შტეფანი ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია. ფაქტია, რომ დღესდღეობით კისლინგი სხვა დანარჩენი გერმანელი ფორვარდებიდან საუკეთესო ფორმაშია.

შესაძლებელია, ბუნდესგუნდმა შევსება გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებიდანაც მიიღოს, მაგრამ დააკვირდით: ბოლო მატჩში, 21-წლამდელთა ბუნდესნაკრებში თავდასხმაში **აშკან დეჟაგამ** (ვოლფსბურგი), **მესუთ იოზილმა** (ვერდერი) და **აარონ ჰანტმა** (ვერდერი) ითამაშეს. ამ სამეულიდან არც ერთი არაა ნამდვილი ფორვარდი. **დიტერ აილტსის** გუნდშია **როუვენ ჰენინგსიც** (21 წლის, ზტ. პაული), მაგრამ ის გერმანიის ნაკრების დონისგან ჯერ ძალიან შორსაა. ამრიგად, წესით, საუკეთესო ვარიანტი მაინც კისლინგი უნდა იყოს, რომელსაც ცენტრფორვარდობის გარდა, ფლანგის თავდამსხმელის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია, ამასთან, საკმაოდ მაღალია და თავითაც იდეალურად თამაშობს. აქვს ტექნიკაც.

იმედი ალბათ აღარ უნდა ჰქონდეთ ისეთ ფორვარდებს, როგორებიც არიან შალკელი **ჯერალდ ასამოა** (30 წლის) და მიონხენგლადბახელი ვეტერანი **ოლივერ ნოივილი** (35 წლის). უშანსოდ ჩანან ჰანოვერელები **იან შლაუდრაფი** (25 წლის) და **მაიკ ჰანკეც** (24). ეს სწორედ ის ბიჭები არიან, რომლებსაც ბოლო დროს ბუნდესგუნდში ძალები მოუსინჯავთ, მაგრამ დღესდღეობით ლიოვის გუნდისგან ძალიან შორს დგანან. ასე რომ, ყველა გზა კისლინგისკენ მიდის.

### მიულერი: კურანი რომ ბაიერნის ფეხბურთელი ყოფილიყო, არ დაჩაგრავდნენ!

ამასობაში, „შალკედან" გერმანიის ნაკრებისკენ უკვე საკმაოდ მძიმე ბრალდებები გაისმის. გელზენკირხენული კლუბის გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** კურანის ამბავის შემდეგ, ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბს ღიად დაუპირისპირდა. მისი თქმით, ლიოვი ყოველთვის „ბაიერნის" ფეხბურთელებს ანიჭებს უპირატესობას.

„ეჭვი მაქვს, კურანის იმის გამო ჩაგრავდნენ, რომ ის „ბაიერნში" არ თამაშობს. კევინი რომ რეკორდმაისტერის ფეხბურთელი იყოს, ბუნდესლიგაში გოლები სულ რომ არ გაჰქონდეს, ლიოვი მაინც ათამაშებდა. ისე, როგორც ამას კლოზეს და პოდოლსკის შემთხვევაში აკეთებს," – უთხრა მიულერმა „შპორტ ბილდს" და ეს ძალიან ხმამაღალი განცხადებაა.

ბუნდესგუნდის მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი**, რომელიც უელსთან მატჩის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა, სადაც მან 2010 წლის მუნდიალისთვის გერმანიას უმაღლესი დონის სასტუმრო უნდა შეურჩიოს, მიულერის განცხადებებს აბსოლუტურ სისულელეს უწოდებს. ბირჰოფი: „სამწვრთნელო შტაბის ყველა შეკრებას ვესწრები და დამიჯერეთ, ისინი არასდროს ანიჭებენ მნიშვნელობას იმას, თუ რომელ კლუბში თამაშობს ესა თუ ის ფეხბურთელი ან რა ფერის თმა აქვს ამა თუ იმ მოთამაშის მრჩეველს."

ასეა თუ ისე, მიულერის ეჭვი უსაფუძვლო ნამდვილად არ გახლავთ. „შალკე" და გერმანიის ნაკრები - ამ ორს შორის ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა იყო. უელსთან მხოლოდ ერთმა შალკელმა, კერძოდ, **ჰაიკო ვესტერმანმა** ითამაშა, რომელიც მართლაც შესანიშნავ ფორმაშია და მასზე უარის თქმა ლიოვის მხრიდან დიდი ცოდვა იქნებოდა. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია ის, რომ „შალკეს" ფეხბურთელი რომელმაც ბუნდესგუნდში უკანასკნელად ტიტული მოიგო, **ჰელმუტ კრემერსი** გახლდათ! ეს 1974 წელს, ანუ 34 წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა. მაშინ კრემერსი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ძირითად შემადგენლობაშიც კი არ თამაშობდა.

კურანიმდე თავიანთი სანაკრებო ოცნებები ჯერალდ ასამოამ და **ფაბიან ერნსტმა** დაასამარეს. ასამოამ ბუნდესგუნდში სულ 43 მატჩი ჩაატარა და აქედან, მოედანზე 90 წუთი მხოლოდ 4 მატჩში გაატარა. „შალკეს" ფეხბურთელებს ნაკრებში თავის დამკვიდრება რატომღაც ყოველთვის უჭირდათ, თითქოს შალკელებს ბუნდესგუნდში მუდმივად ჩაგრავენ," – ამბობს ერნსტი. დააკვირდით, **კრისტიან პანდერი** მართლაც უმაღლესი დონის მარცხენა მცველია, მაგრამ მას ნაკრებში მაინც იშვიათად იძახებენ. შესაძლოა, პანდერი არ არის **ფილიპ ლამზე** უკეთესი, მაგრამ ნამდვიად სჯობია **მარსელ იანსენს**, რომელსაც, როცა ის „ბაიერნში" იყო, ნაკრებში რეგულარულად იძახებდნენ. არადა, პანდერი მინიმუმ ლამის შემცვლელის სტატუსს იმსახურებს...

**გოტფრიდ ლენცი**

იქით თუ აქეთ?

# ამაური დუნგას ზარს ელოდება

**კარვალიო ამაურის** საგა გრძელდება. „იუვენტუსის" ფორვარდს ჯერაც ვერ გაურკვევია, თუ რომელ ნაკრებში სურს ასპარეზობა. უფრო სწორად, საკითხი ასე დგას, უნდა თუ არა ამაურის „სკუადრა აძურაში" თამაში?

კარვალიომ არაერთხელ განაცხადა, რომ მისი ოცნება ბრაზილიის ეროვნულ გუნდში თამაშია და რომ დუნგას მიწვევას მოუთმენლად ელის. თუმცა პენტაკამპეონთა მწვრთნელი კარვალიოს არ იძახებს და ფეხბურთელსაც ნელ-ნელა მოთმინება ეწურება. აი, რას ამბობს ამაური: „ჩემი ოცნება ბრაზილიის ეროვნულ გუნდში თამაშია, თუმცა, რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ ამის შანსი ნაკლებად მაქვს. დუნგას არ ვახსოვარ, მას ერთხელაც არ დაურეკავს ჩემთვის და ისიც კი არ უთქვამს, რომ ჩემს თამაშს აკვირდება. ამ ფონზე დიდია შანსი, იტალიის ეროვნულ გუნდში თამაშს დავთანხმდე და მარჩელო ლიპის წინადადება მივიღო. აპენინებზე კაცად და ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი და ეს ქვეყანა ძალიან მიყვარს. ზუსტად ვერ გეტყვით, როდის მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას, ერთ კვირაში, ერთ თვეში თუ კიდევ უფრო გვიან, მაგრამ არჩევანის გაკეთება რომ მომიწევს, ეს ცხადია„.

ამაურის „სკუადრა აძურაში" თამაშის შანსი დღეს ისეთი დიდი არაა, როგორც უწინ. იყო დრო, როცა **მარჩელო ლიპი** მის გამოძახებას აპირებდა და ამაურის თანხმობის შემთხვევაში, ძირითადისთვისაც კი ამზადებდა. თუმცა ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ამას თავად მარჩელოს სიტყვებიც მოწმობს: „სიმართლე გითხრათ, ძალიან დამღალა ამაურის თემამ. მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და რაც შეიძლება სწრაფად. თუმცა დღეს ვითარება ცოტა სხვაგვარია. მე არ მჭირდება ფეხბურთელი, რომელიც იტალიის ნაკრებს მეორე პლანზე აყენებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდება ცისფერი მაისურის მორგებას, თუ ყვითლის ჩაცმის საშუალებას არ მისცემენ. მე უნდა დავინახო, რომ კარვალიოსთვის „აძურა" პრიორიტეტულია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე ის, უბრალოდ, არ მჭირდება. ამაურის კომენტარები იმაზე მიუთითებს, რომ ბოლომდე ელოდება დუნგას ზარს, თუ პენტაკამპეონეთა თავკაცი არ დაურეკავს, შემდეგ უკვე ჩემს შეთავაზებას დათანხმდება, ეს ვარიანტი ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია".

ერთი სიტყვით, ამაურიმ რაღაც უნდა შეცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია შანსი, სულაც ნაკრების გარეშე დარჩეს.

**ლაშა ნიკლაური**



რომა

# სპალეტიმ ტიფოზები დააიმედა

## ...ამასობაში, ტოტი ბრუნდება

წლევანდელი სეზონი „რომამ" ძალიან ცუდად დაიწყო, რამაც „ჯალოროსოს" გულშემატკივრები მეტად შეაშფოთა. ბევრის აზრით, კრიზისიდან გამოსვლის უპირველესი წამალი **ფრანჩესკო ტოტია**, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია. ბუნებრივია, კაპიტნის დაბრუნებას ტიფოზები მოუთმენლად ელიან. გუშინ, იტალიურ პრესასთან საუბარში „რომას" მთავარმა მწვრთნელმა სერია A-ს უახლოესი ტურის შეხვედრასა და ტოტის შესაძლო დაბრუნებაზე ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ დედაქალაქური კლუბი კვირას „ინტერს" დაუპირისპირდება. მოვუსმინოთ **ლუჩანო სპალეტის**:

„გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო იფორმაცია მაქვს. ფრანჩესკო ტოტი გაცილებით უკეთ გრძნობს თავს და არაა გამორიცხული, „ინტერნაციონეს" წინააღმდეგ ითამაშოს კიდეც. მის გარეშე ძალიან გვიჭირს და კარგი იქნება, თუ უახლოეს ტურში უკვე ჩვენს გვერდით იქნება. „ნერიაძურისთან" უმნიშვნელოვანესი პაექრობა გველის, გუნდმა საკუთარი თავის უნდა ირწმუნოს და ამისთვის სამი ქულის მოპოვებაა აუცილებელი. გვჯერა ჩვენი ქომაგების, რომლებიც რთულ მომენტში გვერდში გვიდგანან".

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა

# ათენური დუელი ჰიტცფელდის სასარგებლოდ

## და უჩვეულოდ დასუსტებული პორტუგალია...



კრისტიანო რონალდომ და პორტუგალიამ ალბანეთი ვერ დაჩაგრეს

### I ჯგუფი

| | |
|---|---|
| **მალტა-უნგრეთი** | 0:1 |
| **პორტუგალია-ალბანეთი** | 0:0 |

პორტუგალიელთა წარუმატებელი კამპანია გრძელდება. **კარლუშ კეიროშის** შეგირდებმა 10 კაცით მოთამაშე ალბანეთი ვერ დაამარცხეს. სტუმრებს **ადმირ ტელი** პირველი ტაიმის მიწურულს გაუძევეს (ორი გაფრთხილების გამო). ის მოედანზე 18 წუთის შესული იყო.

გასულ უქმეებზე პორტუგალიამ შვედეთთან კიდევ ერთი უგოლო ფრე ითამაშა, იქამდე კი დანიასთან 2:3 წააგო. პორტუგალიელებს სამ თამაშში ხუთი ქულა აქვთ და მესამე ადგილი უკავიათ. ისინი ორი ქულით ჩამორჩებიან ლიდერებს - დანიასა და უნგრეთს.

პირველ ნახევარში ყველაზე რეალური მომენტი ალბანელებს ჰქონდათ. **ერვინ ბულკუს** შეტევისას **მიგელმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ერთი მომენტი ჰქონდა **კრისტიანო რონალდოსაც**. მან საჯარიმო სახიფათოდ შეასრულა, მაგრამ მეკარე **არიან ბეკაის** ბურთის მოგერიება არ გასჭირვებია. სხვათა შორის, ტელი რონალდოსთან უხეშობისათვის გააძევეს - ალბანელმა მეტოქეს ხელი სახეში ჩასცხო.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ტემპს მოუმატეს. ისინი შეეცადნენ, რიცხვობრივი უპირატესობით ესარგებლათ. ბეკაიმ **უგო ალმეიდას** ორი იერიში მოიგერია - პირველად მის თავურს გაუმკლავდა, მეორედ კი პორტუგალიელის ძლიერ დარტყმას გადაელობა. მეკარის მიერ მოგერიებული ბურთი ძელს მოხვდა. მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე **ნანის** ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ ბეკაიმ ბურთი ფეხებით მოიგერია. თამაშის მიწურულს **ბესარტ ბერიშამ** მასპინძელთა კარს შეუტია, მაგრამ ააცილა...

უნგრეთმა მალტა მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. **შანდორ ტორგელემ** გოლი პირველსავე ტაიმში შეაგდო. უნგრელებმა ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს და გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცნენ. მათ იმდენივე ქულა აქვთ, რამდენიც დანიის ნაკრებს. ოთხშაბათს დანიელებს დასვენების დღე ჰქონდათ. ამიტომ ერთი თამაში თადარიგში აქვთ.

მალტელებს არც ქულა მოეპოვებათ და არც გატანილი გოლი. უცნაური ისაა, რომ ოთხშაბათის მატჩში მათ მეტოქეზე მეტი და უკეთესი საგოლე მომენტი ჰქონდათ. უნგრელმა მეკარე **მარტონ ფულოპმა მიხაელ მიფსუდის** დარტყმა მოიგერია, **შონ ბაჯადას** საჯარიმო ოდნავ ასცდა მიზანს.

სტუმრები 23-ე წუთზე დაწინაურდნენ. **როლანდ იუჰაზმა** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა. ტორგელემ ბურთს თავი დაჰკრა და გაიტანა. 35-ე წუთზე მალტელთა მეკარემ **ჯასტინ ჰაბერმა ჟაბოშ ჰუშტის** საჯარიმო მოიგერია.

უნგრელები მეორე ტაიმშიც აქტიურობდნენ. 66-ე წუთზე **ბალაშ ჯუჯაკმა** ძელი შეაზანზარა. მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ჰუშტიმ კიდევ ერთი მომენტი გაანიავა. მან **ზოლტან გერას** პასი მიიღო, მეკარე მოატყუა და მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში დაარტყა. ბურთი ასცდა მიზანს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. უნგრეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 3. პორტუგალია | 4 | 1 | 2 | 1 | 6-3 | 5 |
| 4. ალბანეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 5 |
| 5. შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 6. მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 0-11 | 0 |

**11 თებერვალი**

მალტა-ალბანეთი

**28 მარტი**

მალტა-დანია
პორტუგალია-შვედეთი
ალბანეთი-უნგრეთი

### II ჯგუფი

| | |
|---|---|
| **ლატვია-ისრაელი** | 1:1 |
| **ლუქსემბურგი-მოლდოვა** | 0:0 |
| **საბერძნეთი-შვეიცარია** | 1:2 |

შვეიცარიამ საბერძნეთში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა. სახელგანთქმული გერმანელი მწვრთნელების დაპირისპირება **ოტმარ ჰიტცფელდის** სასარგებლოდ დასრულდა. **ოტო რეჰაგელის** შეგირდებმა დაუგეგმავი ქულები გაანიავეს. ანგარიში შვეიცარიელთა ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა **ალექსანდერ ფრაიმ** გახსნა. პირველ ტაიმში მან ზუსტად შეასრულა 11-მეტრიანი. 68-ე წუთზე **ანგელოს ხარისტეასმა** საპასუხო გოლი გაიტანა. მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე **ბლაისე ნკუფომ** მასპინძლები მეორედ დაამწუხრა.

ოთხი დღით ადრე საბერძნეთმა მოლდოვას სამი უპასუხო გოლი გაუტანა. მასპინძლები ამჯერადაც იოლ გასეირნებას ელოდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. შვეიცარიელებმა პირველი სახიფათო მომენტი მეექვსე წუთზე შექმნეს. **ტრანკილო ბარნეტას** დარტყმისას ბურთმა ბერძნების მარცხენა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

სტუმართა მორიგი იერიშისას, მეკარე **ხალკიასმა ალექსანდერ ფრაის** დარტყმა უკუაგდო. საბერძნეთმა პირველი მომენტი 21-ე წუთზე შექმნა. შვეიცარიელთა კარიდან 30 მეტრში საჯარიმო დაინიშნა. **ანგელოს ბასინასმა** ძლიერად დაარტყა. დიეგო ბენალიო ბურთს მშვიდად დაეუფლა.

მასპინძელთაგან საუკეთესო მომენტი **გიორგიოს სამარასს** ჰქონდა. მან კარს ზემოდან გადააცილა. სტუმრები მეტოქეს პრობლემებს უქმნიდნენ. ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ანგარიში გაიხსნა. **ავრაამ პაპადოპულომ ვალონ ბეჰრამი** საჯარიმოში მოცელა. ესპანელმა მსაჯმა **ლუის მედინა კანტალეხომ** დაუყოვნებლივ 11-მეტრიანი დანიშნა. ფრაიმ ხალკიასს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმში რეჰაგელმა **თეოფანის გეკასი ნიკოლაოს ლიმპეროპულოსით** შეცვალა. შვეიცარიამ მორიგი მომენტი შექმნა. **გოხან ინლერი** ორ მცველს გასცდა, მაგრამ არაზუსტად დასცხო. სამარასი **გიორგიოს კარაგუნისმა** შეცვალა. ვეტერანი თავდამსხმელის გამოსვლა და ანგარიშის გათანაბრება ერთი იყო. "პანათინაიკოსის" ვარსკვლავმა მარცხენა ფლანგიდან შვეიცარიელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა. ბურთს ხარისტეასი დახვდა და ახლო მანძილიდან შეაგდო.

ჰიტცფელდმა ფრაის ნაცვლად **ჰაკან იაკინი** გამოიყვანა. იაკინმა ბურთთან პირველივე შეხებით ნკუფო მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ამ უკანასკნელმა ხალკიასი მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. შვეიცარიელი გულშემატკივარი სიხარულისაგან ცას ეწია...

ისრაელმა ლატვიიდან მხოლოდ ერთი ქულა წამოიღო. სტუმრები 89-ე წუთამდე იმარჯვებდნენ. ლატვიელებმა ანგარიში **ვლადიმირ კოლესნიჩენკოს** გოლით გაათანაბრეს. ისრაელი 50-ე წუთზე, ლივერპულელი **იოსი ბენაიუნის** გოლით დაწინაურდა. ის ბურთს საჯარიმოს მისადგომებთან დაეუფლა და ბოლო ოთხ დღეში მეორედ შეაგდო.

მასპინძლებს ცდა არ დაუკლიათ. **ანდრეი პერეპლოტკინსმა დუდუ ავათის** კარს ორჯერ სახიფათოდ შეუტია. საპასუხო გოლი მხოლოდ თამაშის მიწურულს გავიდა. კოლესნიჩენკომ მარცხენა ფლანგიდან გრძელი პასი მიიღო, საჯარიმოში შეიჭრა და გაათანაბრა.

ამ ჯგუფის კიდევ ერთი მატჩი ლუქსემბურგისა და მოლდოვის ნაკრებებს შორის უგოლოდ დასრულდა. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ოთხი თამაშის შემდეგ ლუქსემბურგს ოთხი ქულა აქვს და ბოლო ადგილზე არ იმყოფება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-2 | 9 |
| 2. ისრაელი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 3. შვეიცარია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 4. ლატვია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 5. ლუქსემბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 6. მოლდოვა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |

**28 მარტი**

მოლდოვა-შვეიცარია
ლუქსემბურგი-ლატვია
ისრაელი-საბერძნეთი

### III ჯგუფი

| | |
|---|---|
| **ჩეხეთი-სლოვენია** | 1:0 |
| **სლოვაკეთი-პოლონეთი** | 2:1 |
| **ჩრ. ირლანდია-სან მარინო** | 4:0 |

სლოვაკეთმა პოლონეთს ორ წუთში ორი გოლი გაუტანა და უძვირფასესი სამი ქულა მიამატა აქტივს. აღსანიშნავია, რომ ორივე გოლი **სტანისლავ შესტაკის** ანგარიშზეა. სლოვაკებმა ოთხ ტურში ცხრა ქულას მოუყარეს თავი და ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერები არიან.

არადა, პირველ ადგილზე გადასვლას პოლონელებს უწინასწარმეტყველებდნენ. თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე **ები სმოლიარეკმა** ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა შეუძლებელი შეძლეს: 85-ე წუთზე შესტაკმა მეტოქის მცველების შეცდომით ისარგებლა და კუთხური გოლით დააგვირგვინა. ერთ წუთში მან გამარჯვების გოლი შეაგდო.

დრამატული მატჩი ამით არ დასრულებულა. მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე პოლონეთს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა - **რობერტ ლევანდოვსკიმ** ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა.

სლოვაკთა თავკაცმა სან მარინოსთან მატჩის შემდეგ (3:1) ძირითად შემადგენლობაში ექვსი ფეხბურთელი შეცვალა. მან პოლონელთა წინააღმდეგ უძლიერესი გუნდი გაიყვანა და სასურველ შედეგსაც მიაღწია. მაგრამ იქამდე მასპინძელთა გულშემატკივარმა ბევრი ინერვიულა. ისინი **პაველ ბროჟეკსა** და ები სმოლიარეკს უნდა უმადლოდნენ, რომ ამ უკანასკნელთ საუცხოო მომენტები გაანიავეს.

პირველ ტაიმში სლოვაკეთმა მეტოქის კართან მხოლოდ ერთი მომენტი შექმნა. 37-ე წუთზე **რობერტ ვიტეკი** მცველებს დაუსხლტა, მაგრამ ააცილა. შესვენების შემდეგ ტემპმა საგრძნობლად მოიმატა. **ერიკ იენდრიშეკმა** და **როჟერ გერერომ** სახიფათო მომენტები გაცვალეს.

მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე სმოლიარეკმა, როგორც იქნა, მიაღწია მიზანს. თუმცა ეს მისი დამსახურება ნაკლებად იყო. პარტნიორებმა თავდამსხმელს ისეთი პასი გაუკეთეს, რომ აცილება შეუძლებელი იყო.

შესტაკის საპასუხო გოლისას პოლონელმა მეკარემ და მცველებმა გამაოგნებელი შეცდომა დაუშვეს. კუთხურისას ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ და ბურთის გამოტანა დაავიწყდათ. სლოვაკმა "ბოხუმის" თავდამსხმელმა ამით ისარგებლა და ცარიელ კარში შეაგდო. ერთ წუთში შესტაკმა მისსავე დარტყმულს დაამატა და ტრიბუნები ეიფორიაში ჩააგდო...

ჩეხებმა შინ სლოვენიას მინიმალური ანგარიშით სძლიეს. გოლი **ლიბორ სიონკომ** გაიტანა. მან **მარეკ იანკულოვსკის** პასით ისარგებლა და თავური დარტყმით შეაგდო. ჩეხების კარს სათადარიგო გოლკიპერი **დანიელ ზიტკა** იცავდა. პეტრ ჩეხმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა. "გალათასარაის" თავდამსხმელმა **მილანმა ბაროშმა** რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 2. პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 3. სლოვენია | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 4. ჩრ. ირლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-4 | 4 |
| 5. ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 6. სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

**19 ნოემბერი**

სან მარინო-ჩეხეთი

**11 თებერვალი**

სან მარინო-ჩრ. ირლანდია

**28 მარტი**

სლოვენია-ჩეხეთი
ჩრ. ირლანდია-პოლონეთი

### IV ჯგუფი

| | |
|---|---|
| **რუსეთი-ფინეთი** | 3:0 |
| **გერმანია-უელსი** | 1:0 |

უელსელებმა კინაღამ სენსაცია გამოაცხვეს. უიღბლობა რომ არა, ისინი გერმანელებთან ფრეს მიაღწევდნენ. საბოლოოდ ბუნდესნაკრებმა **პიოტრ ტროხოვსკის** გოლით გაიმარჯვა. ზუსტად ერთი წლის წინ უელსმა მრისხანე მეტოქესთან გასვლით მატჩში უგოლო ფრეს გამოჰკრა ხელი. თუმცა მაშინ გერმანელებს ევროპის ჩემპიონატის საგზური უკვე მოპოვებული ჰქონდათ.

უელსელთა საუკეთესო რგოლი დაცვის ხაზი გახლდათ. თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში პირველად ითამაშა **ჯეიმს კოლინზმა**. მას **ეშლი უილიამსი** და **კრეიგ მორგანი** უბამდნენ მხარს. გერმანელებს უფრო მეტი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ თითო-ოროლა მომენტი უელსელებსაც ჰქონდათ. **კრეიგ ბელამიმ** მთელი თამაში შეუსვენებლად ირბინა. ის სტუმართა ერთადერთი თავდამსხმელი იყო.

გერმანიამ ის შემადგენლობა გამოიყვანა, რომელმაც შაბათს რუსეთს მოუგო. საეჭვო გახლდათ კაპიტან **მიხაელ ბალაკის** თამაში, მაგრამ მან ფიზმომზადების ტესტი გაიარა და ძირითადში გაამწესეს. ბუნდესგუნდმა აქტიურად დაიწყო. კოლინზი ბალაკის, ხოლო **კარლ ფლეტჩერი თომას ჰიტცლშპერგერის** დარტყმებს გადაელობნენ.

**ბასტიან შვაინშტაიგერის** ჩაწოდებისას, უილიამსმა ბურთი უხეიროდ მოიგერია. ის **მიროსლავ კლოზეს** მიუგორდა. "ბაიერნის" თავდამსხმელმა ოდნავ ააცილა. **გარეთ ბეილიმ** საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს რამდენჯერმე იუხეშა. გერმანელები მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ.

კოლინზმა კლოზეს ბურთი არ მიაღებინა. შვაინშტაიგერმა და ჰიტცლშპერგერმა სანტიმეტრებით ააცილეს. მეკარე **ვეინ ჰენესიმ** ბალაკის დარტყმა უკუაგდო. შესვენების შემდეგ, **იოახიმ ლიოვმა** კლოზეს ნაცვლად ვერდერელი თავდამსხმელი **პატრიკ ჰელმესი** გამოიყვანა.

თამაშის სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. გერმანია უტევდა, უელსი კი კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას. 58-ე წუთზე შვაინიმ საჯარიმოში ჩააწოდა. ტროხოვსკის უხეიროდ დასცხო. ორიოდ წუთში **ფილიპ ლამმა** ბურთი ბადეს გვერდიდან გაარტყა. 65-ე წუთზე ლიოვმა მარჯვენა ფლანგი გააააქტიურა - **ანრე ფრიდრიხი კლემენს ფრიტცმა** შეცვალა.

ჰენესიმ შვაინისა და **ჰაიკო ვესტერმანის** იერიშები მოიგერია. 72-ე წუთზე გერმანიამ, როგორც იქნა, მიაღწია მიზანს. ტროხოვსკიმ ფლეტჩერი ორჯერ მოატყუა, მეტოქეს დაუსხლტა და მეკარე ჰენესის ეფექტური გოლი გაუტანა. რამდენიმე წუთში ბალაკმა ბურთი ძელს გაარტყა.

უელსელებს დაღლილობა დაეტყოთ. მათ ხომ თითოეული ბურთისათვის უხდებოდათ ბრძოლა. თამაშის მიწურულს ბელამი ფრიტცს მაინც გაექცა და საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი **კრის გუნტერს** მიუვიდა. მან სუსტად დაარტყა. მცველებმა მდგომარეობა იოლად განმუხტეს...

ჯგუფის მეორე შეხვედრაში რუსეთმა ფინეთს სამი უპასუხო გოლი შეუგდო. სამიდან ორი გოლი სტუმარმა მცველებმა საკუთარ კარში გაიტანეს - ჯერ **პეტრი პასანენმა** იყოჩაღა, შემდეგ **ველი ლამპიმ** და მატჩის გადარჩენის უკანასკნელი იმედი დაასამარა. თამაშს **ანდრეი არშავინმა** დაუსვა წერტილი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 4 | 3 | 1 | 0 | 12-4 | 10 |
| 2. რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 3. უელსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 6 |
| 4. ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| 5. აზერბაიჯანი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-2 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-8 | 1 |

**28 მარტი**

გერმანია-ლიხტენშტაინი
რუსეთი-აზერბაიჯანი
უელსი-ფინეთი

## V ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბოსნია-სომხეთი | 4:1 |
| ესტონეთი-თურქეთი | 0:0 |
| ბელგია-ესპანეთი | 1:2 |

ესპანეთმა მეოთხე თამაშიც მოიგო, მაგრამ ეს გამარჯვება დიდი შრომის ფასად დაუჯდა. **დავიდ ვილიამ** გადამწყვეტი გოლი მატჩის მიწურულს გაიტანა. მან **დანი გუისას** პასით ისარგებლა. 88-ე წუთზე ამ უკანასკნელმა შორ ძელთან ჩაჰკიდა. ვილიამ ბურთს თავი დაჰკრა და სანაკრებო კარიერაში 23-ე გოლი შეაგდო. 23 გოლი 40 მატჩში - ასეთია ვალენსიელი თავდამსხმელის მონაგარი.

ანგარიში ბელგიელებმა გახსნეს. **ვესლი სონკმა** სტუმრები მე-7 წუთზე დაამწუხრა. სონკი საუცხოო ფორმაშია. მან მიმდინარე შესარჩევი ტურნირისას მეოთხე მატჩში მეხუთე გოლი მიითვალა. ესპანელებმა პირველსავე ტაიმში გაათანაბრეს. ეს **ანდრეს ინიესტამ** გააკეთა.

სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ესპანელების წაუგებელი სერია 27 მატჩს შეადგენს. გუნდმა ბოლო 17 მატჩი მოიგო, აქედან ერთი - პენალტებით (ევროპის ჩემპიონატზე იტალიასთან).

ევროპის ჩემპიონებმა თამაში აქტიურად დაიწყეს. მეორე წუთზე **ფერნანდო ტორესმა** 35 მეტრიდან დააქუხა. ბურთი მეკარე **სტიინ სტიინენი** დაეუფლა. ბელგიელთა პირველსავე იერიშს გოლი მოჰყვა. ესპანელთა კართან კუთხური დაინიშნა. ბელგიელებმა საჯარიმოში, შორს ჩაჰკიდეს. **ვენსან კომპანიმ სერხიო რამოსს** აჯობა და ბურთი თავით მეკარის მოედანში ჩააგდო. უმეთვალყურეოდ დატოვებულმა სონკმა დრო აღარ დაკარგა და **იკერ კასილიასს** თავით შორ კუთხეში გაუტანა.

ეს იყო პირველი გოლი, რომელიც ესპანელებმა 717 წუთის განმავლობაში გაუშვეს. მშრალი სერია კასილიასისა და მისი დუბლიორის, **პეპე რეინას** დამსახურება იყო. 717 წუთი ესპანეთის ნაკრების ახალი რეკორდი გახლდათ. კასილიასმა და რეინამ **ანდონი სუბისარეტასა და პაკო ბუიოს** მიღწევა გააუმჯობესეს.

გოლმა ესპანელები დააბნია. **სტივენ დეფურს** მეორე გოლის გატანა შეეძლო. იქვე ესპანელებს დიდი უსიამოვნება შეემთხვათ. ფერნანდო ტორესმა თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. მან მუხლის მყესები დაზიანა და სასწრაფოდ შეცვალეს.

ესპანელები გადაჯგუფდნენ. ვილიამ მეტოქეს სახიფათოდ შეუტია. მან მეკარე სტიინენი მოატყუა და კარის გასწვრივ ჩააწოდა. ბელგიელმა მცველებმა მდგომარეობა განმუხტეს. მასპინძლებს ზეწოლა არ შეუწყვეტიათ. კასილიასმა რამდენიმე დარტყმა უკუაგდო. ამასობაში, 36-ე წუთიც დადგა.

საგოლე შეტევა ბელგიელი მცველის, **მარუან ფელაინის** უხეირო პასით დაიწყო. ბურთს ტორესის ნაცვლად გამოსული **სესკ ფაბრეგასი** დაეუფლა და ინიესტას გადააწოდა. ბარსელონელმა ნახევარმცველმა ორი მცველი ჩამოიტოვა და საჯარიმოში შეიჭრა. მერე მეკარეც მოატყუა და მაღალ კუთხეში შეაგდო. სტიინენი რომ არა, ესპანელები ტაიმს თავიანთ სასარგებლოდ დაასრულებდნენ. ბელგიელთა მეკარემ ვილიას ურთულესი დარტყმა აილო.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა სამი მომენტი ვერ გამოიყენეს. გოლების გატანა ფელაინის, **ვანდენ ბორესა და ვიტსელს** შეეძლოთ. 76-ე წუთზე ფაბრეგასმაც სახიფათოდ შეუტია. ფრე სამართლიანი შედეგი იქნებოდა, მაგრამ ვილიამ სხვაგვარად განსაჯა და თავისიანებს სამი ქულა მოუპოვა.

ჯგუფის დანარჩენ შეხვედრებში თურქეთმა ესტონეთში მოულოდნელი ორი ქულა დაკარგა, ხოლო ბოსნიამ სომხეთს მეოთხე მარცხი აგემა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-1 | 12 |
| 2. თურქეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| 3. ბელგია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 4. ბოსნია | 4 | 2 | 0 | 2 | 12-4 | 6 |
| 5. ესტონეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-13 | 1 |
| 6. სომხეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-12 | 0 |

**28 მარტი**

სომხეთი-ესტონეთი
ბელგია-ბოსნია
ესპანეთი-თურქეთი

## VI ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბელარუსი-ინგლისი | 1:3 |
| ხორვატია-ანდორა | 4:0 |

ინგლისმა მორიგი სამი ქულა მიამატა აქტივს. მიმომხილველები ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ რა სირთულეები ელოდათ **ფაბიო კაპელოს** შეგირდებს მინსკში. სინამდვილეში, სტუმრებმა დამაჯერებლად და საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს. **უეინ რუნიმ** დუბლი გამოაცხო და ბოლო სამ სანაკრებო შეხვედრაში გატანილი გოლების რაოდენობა ხუთამდე აიყვანა.

კიდევ ერთი ინფორმაცია სტატისტიკის მოყვარულთათვის. ინგლისმა ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. ეს კი ამ გუნდის ისტორიაში პირველად ხდება. აქამდე ინგლისელთა საუკეთესო შედეგი 1958, 1986 და 1998 შესარჩევი ტურნირების პირველი სამი მატჩის მოგება იყო.


ეროვნული ბიბლიოთეკა
შვეიცარია საბერძნეთში გამარჯვებით ხარობს

კაპელოს შეუძლია, მშვიდად ამოისუნთქოს. ინგლისს აპრილამდე თამაში აღარ უწევს. მისი გუნდი ცალი ფეხით უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზეა. ის უახლოეს კონკურენტ ხორვატიას ხუთი ქულით უსწრებს, თანაც **სლავენ ბილიჩის** გუნდს ზაგრებში მოუგო.

როდესაც რუნი ფორმაშია, ინგლისს მასზე უფრო სასარგებლო ფეხბურთელი არ მოეპოვება. მაგრამ ვეტერანი **ემილ ჰესკი** გუნდისათვის ლამის ისეთივე მნიშვნელოვან ფიგურად იქცეს, როგორიც უეინია. ის გუნდის ძრავაა. ის მოუღლელი ფეხბურთელია, რომელიც 90 წუთის განმავლობაში ცხენივით მუშაობს.

ბელორუსმა თამაში აქტიურად დაიწყო. **ვიტალი კუტუზოვმა** და **პაველ სიტკომ** დიდი სამუშაო გაუჩინეს უეინ ბრიჯს, რომელიც დაცვის მარცხენა ფლანგზე **ეშლი კოულის** ნაცვლად თამაშობდა. მე-11 წუთზე სტუმრებმა მეტოქეს ცივი შხაპი გადაავლეს. **სტივ ჯერარდმა** შორიდან საუცხოო გოლი შეაგდო. ეს ლივერპულელი კაპიტნის პირველი სანაკრებო გოლი იყო 19 თვის წინ, ანდორასთან გამართული მატჩის შემდეგ.

ბელორუსები შორი მანძილიდან შეეცადნენ ფონს გასვლას: სიტკომ ორჯერ და **დმიტრი მოლოშმა დევიდ ჯეიმსის** მზადყოფნა. 28-ე წუთზე სიტკომ წონასწორობა აღადგინა. მასპინძლებმა მარჯვენა ფლანგიდან შეუტიეს. **სტასევიჩმა** ბრიჯი იოლად ჩამოიშორა და საჯარიმოში ჩააწოდა. სიტკომ ახლო მაძილიდან თავით დასცხო. ჯეიმს კარის გადარჩენის შანსიც კი არ ჰქონდა..

ინგლისს მეორე ტაიმში ხუთი წუთი დასჭირდა, რათა ისევ წინ გასულიყო. ჰესკიმ მარცხენა ფლანგზე გაილაღა, რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა, საჯარიმოში შევიდა და რუნის ფეხზე დაასვა ბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა ბურთს მხოლოდ მიმართულება შეუცვალა.

თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე რუნიმ წერტილი დასვა. საგოლე პასი ჯერარდის ანგარიშზეა. ჯერარდს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მატჩის მიწურულს, მისი დარტყმა ძელმა მოიგერია.

აქვე **დევიდ ბექჰემის** შესახებაც მოგახსენებთ. კაპელომ ის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე გამოიყვანა. ბექზმა რუნი შეცვალა და ნაკრების მაისურით 107 მატჩი ჩაატარა. "ლოს ანჯელეს გალაქსის" ვარსკვლავმა ეროვნულ გუნდში ჩატარებული მატჩების რაოდენობით **სერ ბობი ჩარლტონი** უკან ჩამოიტოვა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში სენსაცია არ მომხდარა. ხორვატიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აუღელვებლად დაამარცხა ანდორა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 14-3 | 12 |
| 2. ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 8-4 | 7 |
| 3. უკრაინა | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 4. ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 5. ყაზახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-11 | 3 |
| 6. ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-12 | 0 |

**1 აპრილი**

ინგლისი-უკრაინა
ანდორა-ხორვატია
ყაზახეთი-ბელარუსი

## VII ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლიტვა-ფარერები | 1:0 |
| ავსტრია-სერბეთი | 1:3 |

სერბეთმა ავსტრიას დამაჯერებლად მოუგო. **რადომირ ანტიჩის** შეგირდებმა პირველ ტაიმში სამი უპასუხო გოლი გაიტანეს (**კრასიჩი, იოვანოვიჩი, ობრადოვიჩი**). მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ბურთი გაქვითეს. ეს "ზალცბურგის" თავდამსხმელმა **მარკ იანკომ** გააკეთა...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 9 |
| 2. ლიტვა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 3. საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 4. ავსტრია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 5. რუმინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 6. ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |

**28 მარტი**

რუმინეთი-სერბეთი
ლიტვა-საფრანგეთი

## IX ჯგუფი

| | |
|---|---|
| ნორვეგია-ჰოლანდია | 0:1 |
| ისლანდია-მაკედონია | 1:0 |

**მარკ ვან ბომელს** ერთადერთმა გოლმა ჰოლანდიას მესამე გამარჯვება მოუტანა. "ბაიერნის" კაპიტანმა 64-ე წუთზე დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და დაბალ კუთხეში გაიტანა.. ნორვეგიელებს ცუდად არ უთამაშიათ, მაგრამ უფრო ძლიერ მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს. ნორვეგიელებს ჯერ ერთი მატჩიც არ მოუგიათ...

მოულოდნელი სამი ქულა მოიპოვეს ისლანდიელებმა. მათ საკუთარ მოედანზე მაკედონია მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| 2. შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. ისლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 4. მაკედონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 5. ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |

**28 მარტი**

ჰოლანდია-შოტლანდია



მუნდიალი 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი. სამხრეთი ამერიკა

# ბრაზილიის ზედიზედ მესამე საშინაო ფრე

## ბიელსამ ბასილეზე შური იძია



**ბრაზილია-კოლუმბია 0:0**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი (67. ტიაგო სილვა), კლებერი, ჟოსუე, ჟილბერტო სილვა, ელანო (58. მანსინი), კაკა, რობინიო (64. პატო), ჟო.

**კოლუმბია:** ხულიო, სუნიგა, ლუის პერეა, იეპესი, არმერო, ტოია, ბედოია (67. აგილარი), ვარგასი, გარინი, კინტერო (72. მორენო),რენტერია (76. რამოსი)

**მაყურებელი** 120 000

**ჩილე-არგენტინა 1:0**

**ჩილე:** ბრავო, მედელი (96. ჰანს მარტინესი), ესტრადა, პონსე (88. ვიდალი), კონტრერასი, კარმონა, მატიას ფერნანდესი, მარკ გონსალესი (18. დროგე), ბოსეჟური, ორელიანა, სუასო.

**არგენტინა:** კარისო, ძანეტი, ბურდისო (17. დიასი), დემიკელისი, ჰაინცე, მასკერანო, კამბიასო (81. სანდი) ლედესმა, მესი, დიეგო მილიტო (46. ბერგესიო), აგუერო.

**გოლი:** 1:0. ორელიანა (36)

**მაყურებელი:** 60 000

**პარაგვაი-პერუ 1:0**

**პარაგვაი:** ვილიარი, ბენეტი, ხულიო კასერესი, და სილვა, კლაუდიო როდრიგესი, ბარეტო (46. ოსვალდო მარტინესი), რივეროსი, ვიქტორ კასერესი, სანტანა (67. კარდოსო), ვადესი (68. ბენიტესი), კაბანიასი.

**პერუ:** ბუტრონი, პრადო, ორლანდო კონტრერასი, ვალტერ ვილჩესი, ხუან ვარგასი, დე ლა ასა (86. ანრი კინტეროსი), რაინერ ტორესი, ხუან მარინო (71. ალვა), სოლანო, ფანო (81. ჩავესი), რენგიფო.

**გოლი:** 1:0. ბენიტესი (82).

**მაყურებელი:** 30 000

**ვენესუელა-ეკვადორი 3:1**

**ვენესუელა:** ვეგა, როსალესი, კიჩერო, რეი, ფუენმაიორი, ლუსენა, რონკონი, მორენო (77. როსადა), სესარ გონსალესი (72. ხორხე როხასი), არანგო, მალდონადო (73. არისმენდო).

**ეკვადორი:** სებალიოსი, მინა, ურტადო (36. კარლოს კასტრო), ესპინოსა, დე ხესუსი, კორტესი, მენდესი, ურუტია, აიოვი (63. ბოლანოსი), გერონი (62. ფელიქს ბორხა) საისედო.

**გოლები:** 0:1. მინა, 11:. მალდონადო (47), 2:1. მორენო (56), 3:1. არანგო (67)

**მაყურებელი:** 12 000

ბრაზილიის ნაკრებმა საკუთარ გულშემატკივარს მორიგი არასასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა. სელესაომ ზედიზედ მესამე საშინაო შეხვედრა ვერ მოიგო. არადა, "მარაკანაზე" მისული უკლებლივ ყველა ქომაგი დარწმუნებული იყო, რომ მათი სათაყვანებელი გუნდი იოლ და შთამბეჭდავ გამარჯვებას იზეიმებდა. მით უმეტეს 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო რაუნდის წინა ტურში პენტაკამპეონებმა არაჩვეულებრივად იასპარეზეს და ვენესუელა გასვლაზე გამანადგურებელი ანგარიშით, 4:0 დაამარცხეს. ტორსიდას ოპტიმიზმს კიდევ ერთი გარემოება ულრმავებდა. საქმე ის არის, რომ კოლუმბიას სერიოზული კრიზისის ხანა უდგას. რიო დე ჟანეიროში ჩასვლამდე კოლუმბიას ზედიზედ ხუთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული. გარდა ამისა, ფანები იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ სტუმრებისთვის აქამდე "მარაკანა" ავბედითი და დაწყევლილი სტადიონი იყო. კოლუმბიას „მარაკანაზე" ორჯერ ჰქონდა ნათამაშები და ორივეჯერ ექვსი გოლი გაუშვა. 1969 წელს ბრაზილიამ 6:2 მოიგო, 1977-ში კი 6:0. გულწრფელად რომ ვილაპარაკოთ, კოლუმბიას ახლაც ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს. თავად განსაჯეთ, ბრაზილიამდე გუნდმა ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო. მათი უბედურება ამითაც არ ამოიწურება, გაცილებით უფრო დამაფიქრებელი ის არის, რომ კოლუმბიას ზედიზედ 442 წუთის განმავლობაში გოლი არ გქონდა გატანილი. ბოლო ბურთი **ედუარდო როდალიეგამ** პერუს ნაკრების კარში შეაგდო. სტუმართა უგოლო ცხოვრება კიდევ 90 წუთით გაიზარდა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ლეგენდარული „მარაკანიდან" მათ ქულა წამოიღეს, მთავარ მწვრთნელს, ალბათ, არავინ უსაყვედურებს. სენიორ **ლარა** შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა. აი, **კარლოს დუნგას** კი კრიტიკის ნიაღვარი დაატყდა თავს. მასპინძელთა დამრიგებელს იმის გამო ლანძლავენ, რომ სელესაომ ბრაზილიაში ზედიზედ მესამე საშინაო შეხვედრა ვერ მოიგო. სხვათა შორის, პენტაკამპეონებმა წინა ორი მატჩი, კერძოდ არგენტინასა და ბოლივიასთან შეხვედრებიც ნულოვანი ყაიმით დაასრულეს. ბრაზილიამ თავის ქვეყანაში გოლები ბოლოს 2007 წლის მიწურულს გაიტანა, როცა ურუგვაის 2:1 მოუგო. მიმომხილველები იმაზე წუხან, რომ სელესაოს კოლუმბიასთან დაპირისპირებაში 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი ფაქტობრივად არ შეუქმნია. ყველაზე კარგი შანსი **ჟოს** ჰქონდა, მაგრამ მის მიერ დარტყმულმა ბურთმა მიზანს ვერ მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ვენესუელასთან გამარჯვების შემდეგ **კაკა** ძალიან ოპტიმისტურად იყო განწყობილი და გულშემატკივრებს შთამბეჭდავ გამარჯვებას პირდებოდა. საფინალო სასტვენის შემდეგ კი „მილანის" ვარსკვლავი სულ სხვანაირად აჭიკჭიკდა. მისთვის წარუმატებლობის მიზეზი გაუგებარი დარჩა. კაკა ფიქრობს, რომ მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი დაღლილობა გახდა. უჩვეულოდ ინერტულად გამოიყურებოდა **რობინიოც**. მან იმდენად ცუდად ითამაშა, რომ გულშემატკივრებისგან დედის გინება დაიმსახურა. „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავს ტორსიდა უგულო თამაშისთვის ლანძლავდა. დიდი შეურაცხყოფის მიუხედავად, რობინიოს გულშემატკივრების მისამართით ერთი სალანძღავი სიტყვაც არ დასცდენია: *„ყოველთვის მძიმე მოსასმენია, როცა საკუთარი ქომაგი გაგინებს, მაგრამ სამწუხაროდ, ამის მიზეზი მათ ჩვენ მივეცით. ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ამა თუ იმ მიზეზის გამო, შესაძლებლობების მეოთხედიც ვერ გამოვამჟღავნეთ. ეს ძალიან სამწუხაროა. მიუხედავად ყველაფრისა, მე ოპტიმიზმს არ ვკარგავ და იმედს გამოვთქვამ, რომ მომდევნო ტურებში გაცილებით უკეთ ვიასპარეზებთ."*

კიდევ ერთი სენსაცია სანტიაგოში დაფიქსირდა. ყველასთვის მოულოდნელად არგენტინამ **მარსელო ბიელსას** ჩილესთან წააგო. არადა, 15 ოქტომბრამდე არსებული სტატისტიკა არგენტინას უმაგრებდა ზურგს. "ალბისელესტეს" სანტიაგოში ერთი ოფიციალური შეხვედრაც არ ჰქონდა წაგებული. ჩილემ არგენტინა ბოლოს შორეულ 1973 წელს დაამარცხა. ისიც ამხანაგურ შეხვედრაში. მას შემდეგ 35 წელი გავიდა და გულშემატკივრები ავბედითი ტრადიციის დანგრევას ელოდნენ. ასეც მოხდა, მასპინძლებმა ისტორიულ წარმატებას მიაღწიეს. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევა **მარსლო ბიელსას** ფაქტორის გათვალიწინებით ორმაგად საინტერესოა. არგენტინელმა სპეციალისტმა მისი სამშობლო და ყოფილი გუნდი დაამარცხა. სხვათა შორის, **ალფიო ბასილე** და მარსელო ბიელსა მწვრთნელის რანგში მესამედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ოთხშაბათამდე ორივე დუელი ბასილეს ჰქონდა მოგებული, მაგრამ "ალბისელესტეს" ყოფილმა დამრიგებელმა კოლეგაზე შური იძია...

ბატონი მარსელო მიღწეული შედეგით უაღრესად კმაყოფილი დარჩა: *"ჩემი ქვეყნის გუნდს, ბუნებრივია, ხუთი თითივით ვიცნობ. მისი შესაძლებლობები ზედმიწევნით კარგად მქონდა შესწავლილი, მაგრამ ეს მუშაობა გამარჯვების გარანტიას არ გვაძლევდა. ყველაფერი უშუალოდ მოედანზე უნდა გამოჩენილიყო. დავინახეთ, რომ არგენტინას პრობლემები ჰქონდა. ისინი დაღლილები ჩამოვიდნენ. თანაც, რიკელმეს არყოფნა დაეტყოთ. ჩვენ მოწინააღმდეგის სისუსტეები კარგად გამოვიყენეთ და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ. იმედია, ეს წარმატება დიდი გარდატეხის წინაპირობა გახდება. ჩილეს ეროვნულ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს. მთავარია, კონკრეტული მატჩების წინ ფეხბურთელები მაქსიმალურად მოემზადონ და კომპლექსების გარეშე ითამაშონ. ჩვენს გულშემატკივრებს დიდ და ისტორიულ გამარჯვებას ვულოცავ."*

პარაგვაი საკუთარ თავს არ ღალატობს. **სერხიო მარტინოს** გუნდი კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. მისი და მისი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პარაგვაიმ მიმდინარე შესარჩევ ციკლში უკლებლივ ყველა საშინაო დაპირისპირება მოიგო. მუდმივი წარმატებებით გათამამებული ასუნსიონელი გულშემატკივარი პერუსთან მატჩით მაინც უკმაყოფილო დარჩა. მათ თამაშის ხარისხი არ მოეწონათ, თუმცა მარტინო საზოგადოებას ამშვიდებს და აცხადებს, არ შეიძლება ყოველთვის ფეერიული ფეხბურთის იმედი გქონდესო. ეს კაცი, რა თქმა უნდა, მართალია, რადგან ადამიანი რობოტი არ არის და მუდამ ერთ დონეზე ვერ ითამაშებს. პერუს კრიზისი გრძელდება. საქმე ის არის, რომ ამ გუნდს 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირზე ჯერ ერთი საგარეო გამარჯვებაც არ უზეიმია.

დასასრულს, რამდენიმე სიტყვით ვენესუელისა და ეკვადორის დაპირისპირებაზეც გეტყვით. მასპინძლები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ და ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო ციკლის დასრულებამდე საკმაო დრო დარჩა, მიმომხილველები ერთხმად აცხადებენ, რომ ეკვადორის ნაკრები მუნდიალის საგზურს ვერ მოიპოვებს. ვენესუელამ კი სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. მათ 10 ქულა აქვთ და მესამე ადგილზე მყოფ არგენტინას მხოლოდ 6 ქულით ჩამორჩებიან.



ატლეტიკო

# როხიბლანკომ უეფას ბრძოლა მოუგო

## სააპელაციო კომიტეტმა სანქცია გააუქმა

გუშინ "ატლეტიკოს" მესვეურებმა მუქარა შეასრულეს და უეფას სააპელაციო კომიტეტში სარჩელი შეიტანეს. როგორც ვიუწყებოდით, ესპანეთის მთავრობა ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ორგანოს ბრალდებით უკიდურესად უკმაყოფილო დარჩა. ბრალდება "ატლეტიკოსა" და "მარსელის" საჩემპიონთალიგო დაპირისპირებისას წესრიგის დაცვასთან არსებულ პრობლემებზე ხაზგასმას მოიცავდა. ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა **პერეს რუბალკაბამ** უეფას არაკომპეტენტური გადაწყვეტილებისთვის უსაყვედურა და ურჩია ზედაპირულ მუშაობას თავი დაანებოს. საქმეში თვით პრემიერ-მინისტრი **როდრიგეს საპატეროც** ჩაერთო. მან მისი კაბინეტის წევრებს "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა და აპელაციის მომზადება დაავალა. საერთო ძალისხმევით მიზანი მიღწეულ იქნა...

უეფამ მადრიდული კლუბის აპელაცია გულისყურით განიხილა და "ატლეტიკოსთვის" სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო. სააპელაციო კომიტეტმა სადისციპლინო კომიტეტის მიერ მიღებული სანქცია გააუქმა. ასე რომ, "როხიბლანკოს" ნება დართეს ჩემპიონთა ლიგის მორიგი საშინაო შეხვედრა ისევ "ვისენტე კალდერონზე" გამართოს. არადა, რეალური იყო იმის საფრთხე, რომ **ხავიერ აგირეს** ბიჭები "ლივერპულს" მშობლიური სტადიონიდან 300 კილომეტრის მოშორებით დაპირისპირებოდნენ.

მიმომხილველები უეფას სააპელაციო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაანალიზებას შეუდგნენ. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ **მიშელ პლატინის** უწყება ესპანეთის მთავრობის კატეგორიულმა ტონმა შეაშინა და კონფრონტაციის გაღრმავებას უკან დახევა ამჯობინეს.

ბარსელონა

# გვარდიოლა ტურეს ემშვიდობება

## კოტდივუარელს იუვენტუსი ეპატიჟება

წუხელ, კატალონიური გაზეთების ინტერნეტპორტალებზე საინტერესო ინფორმაცია გაჩნდა. გაირკვა, რომ **პეპ გვარდიოლამ იაია ტურე** აითვალწუნა და იანვარში მისი ტრანსფერზე დაყენების საკითხი დააყენა. სამწუხაროდ, დადასტურებით არავინ იცის, რა გახდა მწვრთნელისა და შეგირდის დაპირისპირების მიზეზი, თუმცა კატალონიელი მიმომხილველები აცხადებენ, რომ ტურე ამბიციური ფეხბურთელია და სისტემატურად ძირითად შემადგენლობაში თამაშს ითხოვს. გვარდიოლასთვის ასეთი ტონით საუბარი სრულიად მიუღებელია. შესაძლოა, ტურე იმიტომაც გააქტიურდა, რომ მის აგენტს "იუვენტუსიდან" დაუკავშირდნენ. ტურინული გიგანტი კოტდივუარელ ნახევარმცველს საინტერესო წინადადებას სთავაზობს. ექსპერტების თქმით, ტრანსფერის დაჩქარების საუკეთესო საშუალება დაძაბულობის შექმნაა.

გვარდიოლა კი სულაც არ ნერვიულობს და მშვიდად ამბობს: *"ტურე არაჩვეულებრივი ფეხბურთელია. თუ მას მეტი თამაში სურს, მართალი ყოფილა, მაგრამ "ბარსაში" დიდი კონკურენციაა და ძირითადში ადგილი არავის აქვს გარანტირებული. შემიძლია, მას საინტერესო წინადადებით მივმართო. იაია დაფიქრდეს და თუ მოუნდება, იანვარში სხვა კლუბში გადაბარგდეს. არჩევანი მან უნდა გააკეთოს. ჩვენ ტურეს არ ვაგდებთ. მასთან დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ, მაგრამ მე ვერავის ვერაფერს დავაძალებ. მოკლედ, ტურე ისე მოიქცეს, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ."*

წუხელ გვიან ღამით, "დიარიო ასის" ვებგვერდზე იაია ტურეს მოკლე განცხადება გამოქვეყნდა. აფრიკელი ნახევარმცველი გვარდიოლას გახსნილი ტექსტით საუბრისთვის მადლობას უხდის და ამბობს, რომ გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს. ერთი სიტყვით, იაიამ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



კატალონიელებს
იაია ტურე აღარ სჭირდებათ

კალათბურთი

ერთიანი ბიბლიოთეკა

# სუპერლიგა ოთხი დებიუტანტით


ნუგზარ კანდელაკი, ნუგზარ მარკოიშვილი
ვაჟა სიმონიშვილის ფოტო

დღეს საქართველოს მე-18 ჩემპიონატი იწყება. 2008-09 წლების სეზონი რუსთავში, "ენერჯი"-"სასოფლოს" დაპირისპირებით გაიხსნება. პირველობაში მონაწილეობის სურვილი გასულ ჩემპიონატთან შედარებით ორით მეტმა, 8 კლუბმა გამოთქვა. სწორედ მათი მწვრთნელები იყვნენ დაბარებულნი გუშინდელ პრესკონფერენციაზე – "ავიამშენის", თსუ-ს, "ენერჯის", "მაკაბის", "სასოფლოს", "დინამოს", "ნტდ-თბილისისა" და შსს-ს.

...მაგრამ მოხდა სასიამოვნო მოულოდნელობა – პრესკონფერენციამდე ნახევარი საათით ადრე კალათბურთის ფედერაციაში განაცხადი შეიტანა "ბათუმმა"! აჭარლები საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ეშელონს ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდნენ – 2004 წელს ბათუმის "ბასკომ" ფინალურ სერიაში "დინამო" დაამარცხა და ჩემპიონობის სიხარული დაშლით გამოწვეულმა მწუხარებამ გადაფარა.

გუნდი ალადგინა ექსბასკოელმა **ვანო მაისურაძემ**... თუმცა სჯობს ახლა სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვისაუბროთ, ვანოსთან ინტერვიუს კი ამავე გვერდზე პუბლიკაციაში გაეცნობით.

სუპერლიგაში ერთბაშად ოთხი დებიუტანტია: "ბათუმი", "ნტდ-თბილისი", შსს და "სასოფლო. "თბილისს" "ბასკოს" ყოფილი თავკაცი **ნუგზარ კანდელაკი** წვრთნის. მისმა გუნდმა დუდუ დადიანის მემორიალზე მეშვიდე ადგილი დაიკავა. ასეთი ცუდი შედეგი გუნდის შეუთამაშებლობით იყო განპირობებული – "თბილისი" ახლადშეკრებილი კოლექტივია. ნუგზარ კანდელაკს ვკითხეთ, ჩემპიონატისთვის თუ მოესწრო გუნდის მეტ-ნაკლებად შეკვრა...

*„ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ეს პროცესი დაახლოებით ორ თვეს გასტანს, ამიტომ სრულყოფილად ვარჯიშისთვის დარბაზი არ გვაქვს. ხან ვის ვთხოვთ არენის დათმობას და ხან – ვის. ასეთი პრობლემების მიუხედავად, საქართველოს ჩემპიონატში აუტსაიდერობას ნამდვილად არ ვაპირებთ"*, - გვითხრა ნუგზარ კანდელაკმა.

მას "ბასკოში" **მიხეილ კობეშავიძე** ეხმარებოდა. ამჟამად იგი მეორე დებიუტანტის, "სასოფლოს" მთავარი მწვრთნელია. ვიდრე კობეშავიძის კომენტარს შემოგთავაზებდეთ განვმარტავთ: "სასოფლოს" ახლა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი ჰქვია, შემოკლებით სსსსუ. გუნდის დასახელებად ხუთსიტყვიანი "ფრაზა" ნამდვილად არ გამოდგება. ოთხი სისინა ს ენის გასატეხს ემსგავსება, ამიტომ კარსმომდგარ ჩემპიონატში მიხეილ კობეშავიძის გუნდს "სასოფლოდ" მოვიხსენიებთ.

ახლა მთავარ მწვრთნელს მოვუსმინოთ: *„10 დღის შეკრებილები ვართ და ჯერ სათანადოდ შესაკვრელად დრო გვჭირდება. ახალგაზრდული გუნდი გვყავს, თუმცა არავისთვის არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. ჩვენს შესაძლებლობებში დადიანის მემორიალის მსვლელობისას დავრწმუნდით – ფინალში გავედით. ჩემპიონატში მთავარი მიზანი პლეი ოფში გასვლა იქნება. მინდა კმაყოფილება გამოვხატო "ბათუმის" დამატებასთან დაკავშირებით. ამ გუნდის დაბრუნება ჩემპიონატს დამატებით ხიბლს შესძენს. საკალათბურთო გეოგრაფიის გაფართოება მისასალმებელია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, ქუთაისს უმაღლეს ლიგაში წარმომადგენელი არ ჰყავს. იმედია, მალე ქუთათურებიც დაიბრუნებენ კალათბურთს".*

მეოთხე დებიუტანტის, შსს-ს მწვრთნელი **ზურაბ ტომარაძე** მოუცლელობის გამო პრესკონფერენციაზე ვერ გამოცხადდა. თუმცაღა მან მანამდე გვითხრა, რომ ფედერაციაში განაცხადი უკვე შეიტანა და მისი გუნდი სუპერლიგაში აუტსაიდერი ნამდვილად არ იქნება.

"ავიამშენში" შარშანდელი სეზონის შემდეგ სერიოზული ცვლილებებია. გუნდი დატოვა **კოტე ტულუშმა**, ხოლო ავიატორებს **დაემატნენ ვატო ნაცვლიშვილი, ანატოლი ბოისა, ირაკლი ბერიშვილი...**

"მაკაბი" მთლიანად გაახალგაზრდავდა, ხოლო "ენერჯიზე" ბოლო დროს ხშირად ვსაუბრობთ და მკითხველს შეხსენება არ დასჭირდება, რომ ქვემოქართლელთა შემადგენლობაში ოთხი ლეგიონერია – **პოლ მაკფერსონი** (აშშ), **ნიკოლა რადოიჩიჩი** (სერბეთი), **ბოიან ვუკადინოვიჩი** (სერბეთი) და **ჟულიეტ ტუჯანი** (კამერუნი). სხვათა შორის, ჟულიევტი სულ მალე საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს.

თსუ-ს ამბებზე მოკლედ გუნდის მეორე მწვრთნელი **ნუგზარ მარკოიშვილი** გვესაუბრა: *„მზადება 2 თვის წინ დავიწყეთ. გვყავს 6 ახალი კალათბურთელი - გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი მარკოიშვილი, გიგი ბარბაქაძე, გულივერ ახალკაცი, ლუკა შანიძე და პერსპექტიული ზვიად დეკანოიძე. ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას გვაქცევს და ჩვენც ვეცდებით, მათ იმედები არ გავუცრუოთ. როგორც ყველა მონაწილე ჩვენი მიზანიც ჩემპიონობაა, თუმცა საწყის ეტაპზე პლეი ოფის საგზურის მოპოვებაა მთავარი.*

*"დინამოს" ახალგაზრდული შემადგენლობა კი ჰყავს, მაგრამ ახლახან დასრულებულ მემორიალზე დავინახეთ, რომ **ზაზა ცაგარეიშვილის** შეგირდები არავისზე ნაკლებები არ არიან.*

"ბათუმის" შემომატებამ საქართველოს ჩემპიონატის კალენდარში სერიოზული ცვლილებები შეიტანა. ამიტომ ჯერ მხოლოდ პირველი ტურის განრიგია ცნობილი.

**17 ოქტომბერი, რუსთავი**
ენერჯი-სასოფლო

**19 ოქტომბერი, თბილისი**
სპორტის სასახლე
შსს-მაკაბი
თსუ-დინამო
ავიამშენი-თბილისი

ინტერვიუ ვანო მაისურაძესთან

# ბათუმი ისევ სუპერლიგაშია

**2006-07 წლების სეზონის შემდეგ თბილისის "დინამო" დატოვა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ვანო მაისურაძემ. მისი კალათბურთიდან წასვლა "დინამოსთვის" დანაკლისი იყო, მაგრამ როგორც შემდეგ ალმოჩნდა, ვანოს თბილისიდან ბათუმში დაბრუნება ნამდვილად ღირდა – მან ბევრი იშრომა და საბოლოოდ აჭარაში კალათბურთი დააბრუნა. მაისურაძე ახლადშექმნილი "ბათუმის" პრეზიდენტია, თან მაისურსაც მოირგებს და მოედანზე თანაგუნდელებს დაეხმარება.**

**საინტერესოა, როგორ მოხერხდა ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ბათუმში გუნდის აღდგენა.**


ვანო მაისურაძე
ვაჟა სიმონიშვილის ფოტო

- გუნდის ჩამოყალიბების საქმე ბატონი ლევან ვარშალომიძის დამსახურებაა. მან გამონახა დრო და სახსრები ბათუმში კალათბურთის დასაბრუნებლად. სწორედ მისი თაოსნობით აღდგა გუნდი "ბათუმი", რომელიც უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.

**- საშინაო მატჩებს, რა თქმა უნდა, ბათუმში გამართავთ...**

- ბათუმის დარბაზში სარემონტო სამუშაოები 5 დღეა, რაც დასრულდა. არენა განახლდა და იქ თამაში სასიამოვნო იქნება.

**- გუნდს ვინ გაწვრთნის?**

- ლაშა ოჩხიკიძე და გარი არინინი.

**- შემადგენლობაში ვინ იქნება?**

- მე, ვანო მაისურაძე, დავით იმნაძე, გიორგი დოლიძე, ლაშა კეშელავა, მამუკა ბოლქვაძე, გიორგი გვაზავა, ტატო თავართქილაძე, ვასიკო ჩხაიძე, რეზო ბერიძე, ავთო ელიაშვილი, ლაშა ჩხატარაშვილი და მოთამაშე მწვრთნელი – ლაშა ოჩხიკიძე.



ლეგიონერი.
ქართველი NBA-ში

# ენამ გვიყივლა: ზაზა სასტარტოში დაბრუნდა

გახსოვთ გუშინ რა დავარქვით „ატლანტა"-"შარლოტის" მატჩის მიმოხილვას? - „ზაზას განაცხადი სასტარტო ხუთეულზე".

ქართველი ცენტრი საგამოფენო მატჩებში იმდენად კარგად ირჯებოდა, რომ არ შეიძლებოდა მწვრთნელი გულგრილი დარჩენილიყო და იგი ხუთეულში არ ჩაესვა. გუშინ „ფინიქსთან" მატჩში ასეც მოხდა - მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ზაზა „ატლანტას" ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა. შეგახსენებთ, რომ ფაჩულიამ „ჰოქსის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი შარშან ნოემბერში დაკარგა. ამის მიზეზი ქართველის ტრავმა და ახალწვეულის **ელ ჰორფორდის** კარგი გარჯა იყო. ვუდსონმა გუშინ შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები განახორციელა: აქამდე ცენტრის პოზიციაზე მოასპარეზე ელ ჰორფორდი მძიმე ფორვარდად გადასწია, ხოლო ცენტრობა ზაზას ჩააბარა.

ამ ცვლილებას, გარდა ფაჩულიას ეფექტური თამაშისა, ერთი მიზეზიც ჰქონდა - ტრავმირებულია მძიმე ფორვარდი **მერვინ უილიამსი**, რომელიც შარშან სასტარტო შემადგენლობის წევრი იყო.

ზაზას ხუთეულში გამოჩენაზე დადებითი კუთხით ისაუბრა ფორვარდად ქცეულმა ელ ჰორფორდმა: *„ფაჩულიას ძირითად შემადგენლობაში თამაში გუნდისთვის სასარგებლოა. როცა იგი ფარქვეშაა, მე და ჯოშ სმიტი შედარებით თავისუფლად ვთამაშობთ, გვაქვს ფლანგებზე გასვლისა და პერიმეტრზე ასვლის საშუალება. შესაბამისად, ჩვენი გარჯაც უფრო ნაყოფიერი ხდება. ვფიქრობ, ჩემი და ზაზას ერთდროულად მოედანზე ყოფნა „ატლანტასთვის" დიდი პლუსია. ბურთის მოხსნა მეც მეხერხება და ზაზასაც. ასე რომ, ფარქვეშ NBA-ს გრანდებთანაც არ დავიჩაგრებით".*

სწორედ ამ შინაარსის განცხადება გააკეთა ჰორფორდმა შარშან იანვარში, მაგრამ მწვრთნელმა მას ყური არ ათხოვა...

ახლა გავარკვიოთ, გუნდისთვის რამდენად მომგებიანი იყო ფაჩულია-ჰორფორდის ერთობლივი თამაში. ფინიქსში გამართული მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებზე გაირკვა - **გრანტ ჰილის** ზუსტი ტყორცნის წყალობით „სანსმა" 102:100 გაიმარჯვა.

სასტარტოში დაბრუნება ზაზამ 10 მოხსნით აღნიშნა. მას ორმაგი დუბლის გაფორმებაც შეეძლო. ამისთვის თითო ორქულიანისა და საჯარიმოს გამოყენება იყო საჭირო, მაგრამ მან 2-დან 1 ორიანი, 6-დან 5 საჯარიმო გამოიყენა და 7 ქულას დასჯერდა. გარდა ამისა, ზაზას ანგარიშზე ერთი დაფარებაცაა.

შეტევაში მეტი თავისუფლება გამოუჩნდა ელ ჰორფორდს, რომელმაც 15 ქულას 6 მოხსნა მიამატა. მატჩის სნაიპერი კი „ატლანტას" სათადარიგო **მიურეი** გახდა - 23 ქულა ჩააგდო.

ზაზას „ჰოქსი" მორიგ მატჩს 18 ოქტომბერს, შარლოტში, ადგილობრივი „ბობქეთსის" წინააღმდეგ გამართავს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანვარჯიში

# კორიფეებთან ნაწრთობი



გალინა და რევაზ შარაბიძეები

**უფროსი თაობის ტანმოვარჯიშეებისგან არაერთხელ მსმენია, ბედის უკუღმართობა რომ არა, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში რევაზ შარაბიძე, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონიც კი ყოფილიყოო.**

**რამ შეუშალა ხელი?**

- მამაჩემი სამხედრო მოსამსახურე იყო, - იხსენებს ბატონი რეზო. - მეორე მსოფლიო ომისას ტყვედ ჩავარდა. მერე რეპრესიების შეეშინდა და შინ არ დაბრუნებულა - სიცოცხლის ბოლომდე საფრანგეთში ცხოვრობდა. სწორედ ამის გამო უცხოეთში არ მიშვებდნენ. არადა, საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად არაერთხელ ვყოფილვარ საწვრთნელ შეკრებაზე. ისინი შეჯიბრებებზე რომ მიემგზავრებოდნენ, მე შინ გულდაწყვეტილი ვბრუნდებოდი.

**- 1953 წლის ბუქარესტის საერთაშორისო სპორტულ თამაშებზე როგორ მოხვდით?**

- მაშინდელი საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლაი რომანოვმა, როგორც საკუთარი ოჯახის წევრი, ისე წამიყვანა რუმინეთში. კარგად ვიყავი მომზადებული, რადგან ქართული და საბჭოთა ტანვარჯიშის კორიფეებთან ვიწრთობოდი. იმ წელიწადს ამიერკავკასიის პირველობა მოვიგე, თამაშებზე კი მრავალჭიდში მესამე ადგილი დავიკავე...

რევაზ შარაბიძე სპორტული ტანვარჯიშის ანაბანას სკოლაში ეზიარა. ყოფილი „ლენინის დარბაზში" მიხეილ მჭედლიშვილი ამეცადინებდა, საქართველოს ნაკრებში კი გიორგი ჭილაიასა და კოკა თაყაიშვილის ხელმძღვანელობით იმაღლებდა ოსტატობას. პირველ წარმატებას 1950 წელს მიაღწია, როცა საქართველოს ჩემპიონი გახდა, მერე საკავშირო ნაკრებში უხმეს. 1952 წელს სვერდლოვსკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ორძელში მესამე იყო, სამი წლის შემდეგ სტალინგრადში მსგავს შეჯიბრებაზე ორძელსა და ბჯენით ხტომებში ვერცხლის მედლები ხვდა.

- ორივე სახეობაში ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ ასპარეზობის არბიტრმა აჯათ იბადულაევმა ქულები დამაკლო. შურიანი კაცი იყო - 1951 წელს თბილისში გამართულ საკავშირო პირველობისას ღერძზე ვარჯიში მოვუგე და ეს არ მაპატია.

**- ყველაზე მეტად რამ გაგახარათ ცხოვრებაში?**

- 1949 წელს ხარკოვში სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო პირველობაზე გავიცანი შესანიშნავი პიროვნება გალინა მინაიჩევა, რომელმაც 1952 წელს ჰელსინკიში მზია ჯუღელთან ერთად საბჭოთა ნაკრებში გუნდური ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, საგნით ჯგუფურ ვარჯიშში მეორე იყო, ბჯენით ხტომებში კი მესამე ადგილი დაიკავა. ოლიმპიადის შემდეგ დავქორწინდით და გალინაც შეჯიბრებებზე შარაბიძის გვარით გამოდიოდა, მათ შორის რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც გუნდურში ოქროს, ხოლო საგნით ჯგუფურ ვარჯიშში ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ბედნიერების დღეებს ორი შვილი და ერთი შვილიშვილი გვიხანგრძლივებენ.

**- გული თუ დაგწყვეტიათ რამეზე?**

- როგორც გითხარით, მამის ემიგრაციაში ცხოვრების გამო უცხოეთში შეჯიბრებებზე არ მიშვებდნენ, რამაც შინაურ ტურნირებზეც გული ამიცრუა და ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვავლინე.

გულდასაწყვეტია ჩვენი ტანვარჯიშის დღევანდელი სავალალო მდგომარეობაც. 1959 წელს მე და გალინამ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ჩინეთში ვიასპარეზეთ. გუნდურ პაექრობაში ორჯერ დავამარცხეთ მასპინძლები. დღეს ჩინელები ელიტაში არიან და ოლიმპიური ჩემპიონები ჰყავთ.

ორიოდე დღის წინათ ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნულმა ფედერაციამ ახალი პრეზიდენტი აირჩია. ღმერთმა ქნას, ეს ამ სახეობის აღორძინების დასაწყისი გახდეს...

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ რევაზ შარაბიძემ ერთხანს ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად იმუშავა, მერე ფიზკულტურისა და საქართველოს ტექნიკურ ინსტიტუტებში მასწავლებლობდა. ამჟამად პენსიაზეა.

ამაგდარ პედაგოგსა და ვეტერან სპორტსმენს დღეს 80 წელი უსრულდება. ვულოცავთ!

ვაჟა დანელია



რაგბი



ინტერვიუ ილია ზედგინიძესთან

# ბიზნესიდან ისევ რაგბიში

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი ილია ზედგინიძე ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ რაგბის დაუბრუნდა. ილომ მუხლის მძიმე ტრავმა შარშან სექტემბერში, მსოფლიო თასზე ასპარეზობისას მიიღო. რის გამოც რაგბიდან წასვლა გადაწყვიტა. მერე ნოემბერში ერთა თასის გათამაშებაში პორტუგალიასთან შეხვედრაში რაგბის კავშირი მის ოფიციალურად, საზეიმო გაცილებასაც აპირებდა. მაგრამ ნოემბრის ცნობილი მოვლენების გამო ის თამაში წლეულს გაზაფხულზე გაიმართა. შესაბამისად გაცილებაც არ შედგა. არც ყოფილა საჭირო.**

- ტრავმა ძალიან მძიმე იყო - გვიამბობს ილია ზედგინიძე - ამიტომ გადავწყვიტე თამაშისთვის თავი დამენებებინა. მუხლის საფუძვლიანი მკურნალობა იყო საჭირო. გულის სიღრმეში, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მჯეროდა, რომ საბოლოოდ თამაშს მაინც შევძლებდი. საბედნიეროდ, მკურნალობა, ტკივილი, უთამაშებლობით გამოწვეული კაეშანი წარსულს ჩაბარდა. ტრავმა აღარ მაწუხებს და რაგბის თამაშში ხელს აღარაფერი მიშლის. მომავალი კვირის უქმეებზე პირველ ოფიციალურ მატჩშიც ვითამაშებ.

**- დიდი ხანი არაა, რაც ხელშეკრულება ფედერალ 1-ის „ექსთან" გააფორმეთ. სადაც თქვენ აქამდეც გითამაშიათ.**

- თავად ქალაქი ექსი ძალიან მომწონს. კლიმატი ბრწყინვალეა. კლუბიც ჩემთვის ძალიან ახლობელია. „ექსის" პრეზიდენტი ჩემი მეგობარია და ხელშეკრულების გაფორმება გამიადვილდა. თან განაცხადის გაკეთება უკვე დაგვიანებული იყო. მან ყველაფერი ილონა, რომ უგუნდოდ არ დავრჩენილიყავი. არადა, ერთი წლის უთამაშებელ მორაგბესთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმება სარისკო საქმეა. ამაზე, ფაქტობრივად, არავინ მიდის. ჩემი მეგობარი კი, წავიდა.

**- "ექსთან" ერთად ელიტურ მეორე დივიზიონში ასპარეზობდით. ამჟამად გუნდი ფედერალ დივიზიონშია. არის მზად ეს გუნდი ისევ ელიტას დაუბრუნდეს?**

- დიახ, მზადაა. კლუბს მყარი ფინანსური მდგომარეობა აქვს. მიზანი აუცილებლად ელიტაში დაბრუნებაა. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. მოთამაშეთა 95 პროცენტს პროფესიული კონტრაქტები აქვთ გაფორმებული, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. ფედერალ დივიზიონის არც ერთ გუნდში პროფესიონალი მოთამაშეების ასეთი მაღალი პროცენტი არაა.

ჩემპიონატში უკვე სამი შეხვედრა გამართა „ექსმა" და ორი გამარჯვებით დაასრულა. შესაბამისად, ლიდერთა შორის ვართ. კონკურენტები „ლავორი" და დიმა პავლოვისა და ირაკლი ფაილოძის „ნიცა" არიან.

**- როგორ ფიქრობთ, ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას შეძლებთ?**

- იმედი მაქვს, რომ შევძლებ. როგორც უკვე ვთქვი, ტრავმა აღარ მაწუხებს. უფრო ზუსტი პასუხი კი რამდენიმე თამაშის შემდეგ მექნება. საბოლოოდ დავრწმუნდები, რომ სერიოზული დატვირთვების გადატანა შემეძლება. თუ ყველაფერი წესრიგში იქნება დავბრუნდები ნაკრებში აბა რა!

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნაკრების მწვრთნელ ტიმ ლეინს არ იცნობთ. არც ახალი ფორმაციის ნაკრების თამაში გინახავთ.**

- ტიმ ლეინს პირადად არ ვიცნობ. ტელეფონით ვესაუბრე რამდენჯერმე. ნაკრების თამაში კი, ერთხელ ვნახე ინტერნეტში და ჩვენების იმდენად ცუდი ხარისხი იყო, ჩათვალეთ, არ მინახავს. შესაბამისად ვერც ჩვენი გუნდის თამაშზე ვიტყვი რამეს.

**- საფრანგეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით არიან ქართველი ლეგიონერები. ალბათ, მათ თამაშს თვალყურს ადევნებთ. რომელს გამოარჩევდით ჩვენი მორაგბეებიდან?**

- მამუკა გორგოძემ დახოცა ყველა. გასულ უქმეებზე მისმა გუნდმა „მონპელიემ" ევროთასებზე ითამაშა ინგლისური „ბრისტოლის" წინააღმდეგ. მამუკა საუკეთესო იყო გუნდში. თანაც ახლა მას რვა ნომრის პოზიციაზე ათამაშებენ და არა მეორე ხაზში, როგორც ეს ნაკრებში ხდება.

კარგი გუნდია გოდერძი შველიძის „მონტობანიც". გოდერძი სულ ძირითად შემადგენლობაშია. ძალიან კარგ ფორმაშია „ბრივის" პირველხაზელი დავით ხინჩაგიშვილი. ბოლო შეხვედრებში თამაშის საშუალება მისცეს „ტულონის" შერკინების ბურჯ დავით ქუბრიაშვილსაც. ვფიქრობ, „დუდუ" ნელნელა მოუმატებს და ელიტაში ადგილს დაიმკვიდრებს.

ამათი თამაში საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. დანარჩენებზე გაზეთებიდან ვიგებ ინფორმაციას.

**- დიდი ხანია, რაც საქართველო დატოვეთ. რაგბიში დაბრუნებამდე რას საქმიანობდით?**

- ბიზნესკონტაქტების დამყარებას ვცდილობდი. ნელნელა საქმე წინ მიდის. საქმიანობის ძირითადი სფერო იმპორტ-ექსპორტი იქნება საფრანგეთსა და საქართველოს შორის. ვფიქრობ, ყველაფერი აეწყობა. ხელი ცოტა აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა შეგვიშალა. თუმცა ვითარება ამჟამად უკეთესობისკენ იცვლება.

ბესიკ ჯანგავაძე

კრივი

# მოკრივეებმა ერევანი მოიარეს

საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა თენგიზ **მესხაძის** ხელმძღვანელობით ერევანში, საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. ჩვენებმა ხუთი მედალი მოიპოვეს, 75 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ლაშა ხუჯაძემ** კი ჩემპიონობა მოიპოვა. მხოლოდ ფინალში დამარცხდა **რევაზ ქარელიშვილი** (81 კგ). ბრინჯაოს მედლები მოიგეს: **თორნიკე კოტრიკაძემ** (57 კგ), **კობა ფხაკაძემ** (60 კგ) და პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **კახა ჟვანიამ** (69 კგ).

საქართველოში დაბრუნებული ნაკრები ევროპის პირველობისთვის გლდანში ემზადება გაფართოებული შემადგენლობით, შეკრება ნოემბრის დასაწყისამდე გასტანს, შემდეგ მესხაძის გუნდი ევროპის ჩემპიონატზე ლივერპულში გაემგზავრება. ევროპის ჩემპიონატში ჩვენები 11 წონიდან 7-ში გამოვლენ, მოკრივე არ გვეყოლება 48, 51, 91 და მძიმე წონით კატეგორიებში. ევროპის ჩემპიონატი 5-15 ნოემბერს გაიმართება. 25 ოქტომბრიდან კი მექსიკურ გვადალახარაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ქართულ ქალთა ჩოგბურთს პოლიგლოტი ჩემპიონი ჰყავს



**მანანა შაფაქიძე** საქართველოს წლევანდელი ჩემპიონია და ასეთ წარმატებას ნიჭიერმა გოგონამ პირველად მიაღწია, რაც, თავისთავად, კარიერაში მნიშვნელოვანი შედეგია. ერთია მხოლოდ - წლევანდელ ჩემპიონატში ყველა უძლიერესს არ მიუღია მონაწილეობა და ამის გამო შესაძლოა სრულყოფილი განცდა არ დარჩეს... თუმცა რა უნდა ქნა - სამწუხაროდ, ჩვენში რამდენიმე სახეობაში ლამის ტრადიციად იქცა - თუკი ვინმე მცირედ წარმატებას მაინც მიაღწევს, შინაური ჩემპიონატისთვის ველარ იცლის... მიუხედავად ასეთი ტენდენციისა, ქართულ ჩოგბურთში ქვეყნის ჩემპიონატის მოგება მაინც ურთულესი და პრესტიჟული საქმეა. მანანასაც გულით მივულოცეთ გამარჯვება და ინტერვიუზეც შევითანხმეთ, მაგრამ მისი მოხელთება ერთობ გაგვიჭირდა - გარდა ჩოგბურთისა, მანანა სხვა საქმითაც არის დაკავებული, - კერძოდ, ენების შესწავლას ცდილობს და ხან ერთ მასწავლებელთან ითვისებს გრამატიკულ წესებს და ხანაც - მეორესთან. ასეთმა გულმოდგინებამ კი ის მოიტანა, რომ ჩვენი რესპონდენტი თავისუფლად ფლობს ინგლისურს, რუსულს და ესპანურს; გერმანულში კი პირველ ნაბიჯებს დგამს და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ ენასაც ჩაიწერს აქტივში, ერთ-ორსაც შეისწავლის მომავალში!.. ამას დაუმატეთ ჩოგბურთისთვის განკუთვნილი დრო და დამეთანხმებით ალბათ, რომ ჩვენთან სასაუბროდ იოლად ვერ მოიცლიდა... ბოლოს ეს შეხვედრაც შედგა და რამდენიმე კითხვაზე ამომწურავი პასუხიც მივიღეთ. ცნობისთვის: ინტერვიუ ქართულ ენაზე შედგა.

- მანანა, ჩვენი ბოლო ინტერვიუდან რამდენიმე წელიწადია გასული, - უფრო კონკრეტულად, ოთხი წელიწადი. მაშინ ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ შენ სკმაოდ კარგი მუსიკალური განათლება გქონდა მიღებული და ერთ დროს არჩევანის წინაშეც კი იდექი - ჩოგბურთი თუ მუსიკა; ჩოგბურთმა გადაწონა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ამ ოთხ წელიწადში ახალი გადატაცება გწვევია - ენების შესწავლა. მიზანმიმართულად სწავლობ ენებს?

- ჩოგბურთში უცხოელებთან ურთიერთობა ყოველთვის გვიწევს და რაც უფრო მეტი ენა იცი, მით უკეთ ურთიერთობ ადამიანებთან. მე ძალიან მომწონს, როცა უცხოელებთან - სხვადასხვა ერის წარმომადგენლებთან სხვების დაუხმარებლად ვამყარებ კონტაქტს. ასე რომ, ენის შესწავლას ჩემთვის გარკვეული მიზანი აქვს.

**- მუსიკასთან ძველებურად მეგობრობ?**

- არც ისე - თუკი გაბრაზებული ვარ, როიალს იმ შემთხვევაში მივუჯდები ხოლმე; უფრო ნაკლებად აქტიური ვარ გიტარასთან მიმართებაში. გაგიმხელთ, რომ ცოტა ზარმაცი ვარ და ამის გამო ვპასიურობ.

**- ისეთი რეჟიმით ცხოვრობ, რომ ამას სიზარმაცეს ვერ დაარქმევს კაცი...**

- საქმე ის არის, რომ თუკი რაიმეს ხელს მოკიდებ, ბოლომდე უნდა გააკეთო. მე ასეთი ხასიათი მაქვს და ამიტომ მუსიკას სერიოზულად აღარ ვუყურებ; გართობის მიზნით კი როგორც ყველა, მეც ხასიათისდა მიხედვით თუ მივუბრუნდები.

**- შენს ყველაზე ძლიერ გატაცებაზე, ჩოგბურთზე გადავერთოთ. წლეულს პირველად გახდი ქალთა შორის ჩემპიონი, თუმცა, ვფიქრობ, რომ გამარჯვება არ გაგჭირვებია...**

- განსაკუთრებულად მართლაც არ გამჭირვებია, მაგრამ იოლად არაფერი მოსულა და ბედნიერი ვარ, რომ შევძელი გამარჯვება. კარგი იქნებოდა, რომ ჩემპიონატში უძლიერეს ქართველ ჩოგბურთელებსაც ეთამაშათ, მაგრამ როგორც წესი, ჩახნაშვილი, ტატიშვილი და სხვები საქართველოს ჩემპიონატში არ მონაწილეობენ. შარშან არც მე მითამაშია, რადგანაც საერთაშორისო ტურნირებით ვიყავი დატვირთული და საქართველოს ჩემპიონატი ჩემს გეგმებში არ შედიოდა. წლეულს კი იმიტომაც გადავწყვიტე, რომ კარგა ხნის უვარჯიშებელი ვიყავი და თავის გამოცდა მოინდომა.

**- პაუზა რა მიზეზით იყო განპირობებული?**

- საქართველოში რუსული აგრესიის შემდეგ ლამის დეპრესიაში ჩავვარდი და ჩოგბურთის თამაშის არანაირი სურვილი არ მქონდა. ერთი პერიოდი ჩოგბურთისთვის თავის დანებებასაც კი ვაპირებდი, ომიანობამ კი უფრო გამიძლიერა ეს სურვილი. შემდეგ, როცა ყველაფერი დაწყნარდა, ისევ მომიბრუნდა გული.

**- საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩი?**

- შემიძლია ვთქვა, რომ კმაყოფილი ვარ. მთავარი ის არის, რომ საკუთარ თავს არ შევუქმენი პრობლემები, - ასეთი რამ მჩვევია, რაც, ცოტა არ იყოს, მერყევი ხასიათის ბრალია. ახლა უფრო თავდაჯერებული ვარ და მომავალ შეჯიბრებებში წარმატებებისთვის ვიბრძოლებ. ოქტომბერში ალბათ არ ვითამაშებ, მაგრამ ნოემბერ-დეკემბერში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი მელის და იქ ვაპირებ სარეიტინგო ქულების დაგროვებას.

**- უკვე 19 წლის ხარ. ამ ასაკში მსოფლიოში საკმაოდ დიდი წარმატებები აქვთ ჩოგბურთელებს. სიმართლე უნდა ითქვას და მანანა შაფაქიძისგან ყველა ბევრად მეტს ელოდა, ვიდრე დღეისთვის ვხედავთ. რაშია საქმე? რატომ ვერ შეძელი უკეთესი ჩოგბურთის თამაში?**

- გეთანხმებით, რომ ჩემგან ბევრს ელოდნენ და მართლაც ვერ გავამართლე იმედები. თუმცა ჯერ არც ისე დიდი ვარ და ჩემი ასაკის და ბევრად უფროსებიც ხშირად გვიან გადიან სათანადო სიმაღლეებზე და მსოფლიოს საუკეთესო ასეულში მკვიდრდებიან. ამით გულის დამშვიდებას არ ვაპირებ ვარჯიშს გავაგრძელებ. წინსვლისთვის წარსულის კარგი ანალიზია საჭირო. ყველაზე მეტად საკუთარ თავს ვადანაშაულებ: ალბათ მეტად მონდომებული უნდა ვყოფილიყავი და ნებელობა გამომემუშავებინა - ვთვლი, რომ ნებისყობა მაკლია, ამავე დროს უფრო შემტევი, აგრესიული უნდა გავხდე და მეტოქეს შანსები არ მივცე. ის რომ ვთქვა, პირობები არ მქონდა და ამის გამო ვერ გავხდი ბევრად ძლიერი - მეთქი, ჩემი მხრიდან უხერხულია...

**- ფიზიკურად კი ხარ სათანადოდ მომზადებული? ამ კომპონენტს განსაკუთრებული ყურადღება არ სჭირდება?**

- ფიზიკური სიძლიერე აუცილებელია, მაგრამ ვფიქრობ, რომ არა - გადამწყვეტი. მსოფლიოში უამრავია ისეთი ჩოგბურთელი, რომელიც ფიზიკური ძალით არ გამოირჩევა, მაგრამ წარმატებულია... ასეთი იყო ჟუსტინ ანენიც. მთავარი მაინც ფსიქოლოგიური მზადყოფნა მგონია. მე ფიზიკურადაც ვვარჯიშობ დამატებით, ამ საქმეში კოლია ორსანოვი მეხმარება. ჩოგბურთში კი მარინა და ირინა მალაციძეებთან ვიმაღლებ ოსტატობას; როცა კი დამჭირდება, ძველ მწვრთნელებთან - ალიკა ყარანგოზიშვილთან და გივი გორდაძესთანაც ვვარჯიშობ. ასე რომ წვრთნა არ მაკლია და თუკი ამას საჩოგბურთო ტურნირებში ხშირი თამაში დაემატება, სასურველ სიმაღლეზე ასვლას შევძლებ.

**- საქართველოში წვრთნა არის იმის გარანტია, რომ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებში გაერიო?**

- მგონია, რომ საქართველოში ვარჯიშით შესაძლებელია კარგი შედეგის მიღება. სოფიკო შაფათავა საქართველოში ვარჯიშობს, მაგრამ ყოველწლიურად უმატებს და საკმაოდ წარმატებულია. უცხოეთიდან კი მქონდა მოწვევები, მაგრამ ოჯახიც ვერ მთმობს იოლად - დიდი ხნით განშორება მშობლებისთვისაც მძიმეა და ჩემთვისაც. ამიტომ მირჩევნია აქ ვივარჯიშო და საზღვარგარეთ მხოლოდ ტურნირებში ვიასპარეზო.

**- ზემოთ აღნიშნე, რომ ერთ დროს ჩოგბურთზე თავის დანებებას აპირებდი, მაგრამ დაბრუნდი. გადაწყვეტილება საბოლოოა თუ კიდევ ორჭოფობ?**

- ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ გადაწყვეტილება საბოლოოა, რადგანაც საქმეში კვლავ ჩემი მერყევი ხასიათი ერთვება, თუმცა დღეისთვის კი მაქვს სურვილი, ჩოგბურთს დავუთმო უმეტესი დრო და თუ წარმატებები მოვა, ალბათ, საბოლოოდ ავირჩევ ამ გზას, თუ არადა, სხვა გადაწყვეტილებას მივიღებ...

**- წარმატებებს გისურვებ - ცხადია, პირველ რიგში, საჩოგბურთო კორტებზე.**

- დიდი მადლობა გულშემატკივრობისა და ყურადღებისთვის.

**ზვიად შათირიშვილი**




# კალაშნიკოვამ მეხიკოში ფავორიტი დაამარცხა

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (555) კარიერის საუკეთესო ჩოგბურთს აჩვენებს – მექსიკის შტატის სან ლუის პოტოსის საერთაშორისო ტურნირის მოგების შემდეგ, იგი მეხიკოს ტურნირში (25 ათასი დოლარი) ჩაერთო და პირველივე წრეში სენსაცია მოახდინა. კალაშნიკოვამ მე-3 ნომრად განთესილი ჩოგბურთელი დაამარცხა. 25 წლის არგენტინელი **ხორგელინა კრაველო** მსოფლიოს 185-ე ჩოგანია, ის ოქსანაზე ლამის 400 საფეხურით წინაა, თუმცა პირველ სეტში ჩვენებურმა მშრალად მოიგო – 6:0. კრაველო მეორე სეტში გამოფხიზლდა, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში მოიგო, მაგრამ გადამწყვეტ გათამაშებაში ოქსანამ ლათინელი ისევ უშანსოდ დატოვა – 6:0, 5:7, 6:2. ტურნირის მერვედფინალში კალაშნიკოვას მეტოქე ბოლივიელი **მარია-ფერნანდა ალვარეს-ტერანია** (324).

ოქსანას ბოლოდროინდელი წარმატებები ჰაერიდან არ მოსულა, დიდებში წყვილთა თანრიგის 6 ტურნირის მოგებაც რომ არ ჩავთვალოთ, ახალგაზრდულ ასპარეზზე ჩვენებური ბრწყინავდა. მან მსოფლიოს მე-11 ჩოგნობამდეც მიაღწია. 185 სმ სიმაღლის ცაცია ჩოგბურთელს ევროპის ახალგაზრდული პირველობა აქვს მოგებული წყვილებში და ერთეულში ფინალში აქვს ნათამაშები, ამერიკის ღია პირველობაზე მან ნახევარფინალს უწია. მოგებული აქვს ავსტრიის პირველი კატეგორიის ტურნირი და ორი შეჯიბრება ისრაელში, წყვილებში კი კალაშნიკოვა ყოველთვის წარმატებული იყო.

საქართველოს პირველმა ჩოგანმა, **ანა ტატიშვილმა** (162) კი მოულოდნელად წააგო აშშ-ის ქალაქ ლოურენსვილში 50-ათასიანი ტურნირის პირველი წრე. ანა მე-5 ნომრად იყო განთესილი, მას ამერიკელმა **აშა როლმა** (221) აჯობა – 5:7, 4:6. აღსანიშნავია, რომ ანამ ტრავმით ითამაშა. **მაკა ჩახნაშვილიც** დაემშვიდობა სან რაფაელის (საფრანგეთი) საერთაშორისო ტურნირს (50 ათასი დოლარი). წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში მან და ესპანელმა **სილვია სოლერ-ესპინოზამ რადოვანოვიჩისა** და **ვორაჩოვას** (ჩეხეთი) დუეტთან წააგეს – 7:6 (4), 6:7 (6), 6:10. სევილიის ტურნირის (10 ათასი დოლარი) მერვედფინალში სამ სეტში დამარცხდა **სოფიო ქვაცაბაია**, რომელიც მე-6 ნომრად განთესილ იტალიელ **აგნეს ზუჩინის** ხვდებოდა – 3:6, 6:1, 3:6.

ფრანგულ ლა როშში (15 ათასი დოლარი) მერვედფინალში დამარცხდა **ლადო ჩიხლაძე**, რომელმაც მასპინძელ **მატიუ როდრიგესთან** წააგო სამ სეტში – 4:6, 6:1, 3:6. სამაგიეროდ, ლადო წყვილთა თანრიგში ყოჩაღობს, სადაც ნახევარფინალშია გასული მაროკოელ **რაბი ჩაკისთან** დუეტში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# აბუ დაბიმ ტრასა გაგვაცნო




აბუ დაბიში ფორმულა 1-ის ახალი ტრასის პრეზენტაცია გაიმართა. იქაური ავტოდრომი 2009 წლის ნოემბერში პირველად უმასპინძლებს "დიდი პრიზის" ერთ-ერთ ეტაპს.

რბოლის ორგანიზატორებმა წარმოადგინეს პროექტი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ნიშანი - გადახურული ტრიბუნებია. ამ სიახლის წყალობით, მაყურებელი თავიდან აიცილებს ამინდთან დაკავშირებულ ყველანაირ „სიურპრიზს" პრეზენტაციაზე არაფერი თქმულა ღამის გრან-პრის ჩატარების თაობაზე.

ცერემონია "პოლ რიკარის" ავტოდრომის ყოფილმა ბოსმა **ფილიპ გურჯიანმა** გახსნა, რომელიც სათავეში უდგას აბუ დაბის ტრასის მშენებლობას.

*"ამ პროექტზე ნელინადზე მეტია ვმუშაობ და მოხარული ვარ, რომ დადგა მომენტი, როცა შეგვიძლია, ამ რთული ტრასის სქემა დაწვრილებით ავუხსნათ დაინტერესებულ პირებს. სასტუმრო, რომელიც, პრაქტიკულად, ტრასის მიღმა არის აშენებული, იახტებისთვის დიდი ნავსაყუდელი და მთლიანად გადახურული ტრიბუნები - ასეთ რამეს სხვაგან ვერსად ნახავთ"*, - აცხადებს ფილიპ გურჯიანი.

*"Yas Marina-ს ტრასა - წამყვან სპორტულ ინფრასტრუქტურაში გაკეთებული სერიოზული ინვესტიციაა. ეს არის ყველაზე თანამედროვე ავტოდრომი, რომელიც არნახულად გაზრდის აბუ დაბის იმიჯს"*, - ეს აბუ დაბის მთავრობის აპარატის აღმასრულებელი თავმჯდომარის **ჰალდუნ ჰალივა ალ მუბარაქის** სიტყვებია.

# აისმენი დიდ დაბრუნებას გვპირდება

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონისთვის, **კიმი რაიკონენისთვის** წლევანდელი სეზონი უიღბლო გამოდგა. ჩემპიონატის მეორე ნაწილი ფინელმა პილოტმა აშკარად ჩააგდო და ამის გამო ტიტულის შენარჩუნება ვერ მოახერხა. რაიკონენმა იტალიურ Autosprint-ს ინტერვიუ მისცა, სადაც ირწმუნება, რომ გაისად დაკარგულის ასანაზღაურებლად იბრძოლებს.

კიმი რაიკონენი: *"კარიერაში მსგავსი მომენტები ადრეც მქონია - ეს ჩვენი სამუშაოს ნაწილია. სიტუაცია რბოლიდან რბოლამდე იცვლება. შეიძლება წარმატებული უიქენდი ჩაატაროთ და ისინი, ვინც თქვენს შესაძლებლობებს ეჭვქვეშ აყენებდნენ, მაშინვე საპირისპიროდ იცვლიან მოსაზრებას. რა თქმა უნდა, უფრო მეტის მიღწევა მინდოდა, მსურდა, შეცდომები ამეცილებინა თავიდან, მაგრამ ხანდახან ეს შეუძლებელია. იმედია, ჩემს წარუმატებლობებს ამ სეზონში დავტოვებ და შემდეგ წელს სუფთა ფურცლიდან დავიწყებ. დაკარგულის ანაზღაურება მინდა.*

*კარგი შედეგის მისაღწევად ყველაფერი აუცილებელი თან უნდა გქონდეს, ხანდახან კი რაღაც გაკლია ხოლმე. გასულ წელსაც გვქონდა პრობლემები, მაგრამ ჩვენ მათ გავუმკლავდით. წელს ისევ გაგვიჭირდა. მანქანა გავაუმჯობესეთ, მაგრამ ამან არ გვიშველა და უკან დაბრუნებამ მოგვიწია. "სპაზე" ბოლიდმა მოუმატა, თუმცა იმ მომენტისთვის კარგა გვარიანად ვიყავით კონკურენტებს ჩამორჩენილნი. მანქანა კარგია, მაგრამ არა იდეალური. რაღაც მომენტებში ის მართლაც ეფექტურია, ხანდახან კი სტაბილურობის მიღწევა რთულდება.*

*ყველაფერი, რაც წელს ვისწავლეთ, მომავალ სეზონში აუცილებლად გამოგვადგება. დიახ, იცვლება რეგლამენტი, სხვა მანქანები გვეყოლება, სხვანაირ საბურავებს მოგვაწვდიან, მაგრამ ბევრი რამ უცვლელი დარჩება. დარწმუნებული ვარ, სწორ დასკვნებს გავაკეთებთ.*

*ტიტულისთვის ბრძოლა? უპირატესობა ჰემილტონს აქვს, მაგრამ ფორმულა 1-ში სიტუაცია სწრაფად იცვლება. არავინ იცის, ვინ მოხვდება ავარიაში მომდევნო კვირას. მაგალითად, შარშან, ჩემს ჩემპიონობაზე ფულს არ დავდებდი, არადა, გამარჯვებული სწორედ მე გამოვედი. კარგი იქნება, თუ ფელიპე მასა დანაკარგის ანაზღაურებას შეძლებს. ეს მისთვისაც შესანიშნავი იქნება და გუნდისთვისაც. სამწუხაროდ, მე ამ ბრძოლაში უკვე აღარ ვმონაწილეობ".*



ჰოკეი

## სლოვენიელის მეგაკონტრაქტი

"ლოს ანჯელეს კინგზის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ანჟე კოპიტარმა** კალიფორნიულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. სლოვენიელი ფორვარდი "მეფეების" რიგებში კიდევ შვიდი წელი ითამაშებს და ამის სანაცვლოდ 47.6 მილიონ დოლარს მიიღებს.

ხანგრძლივობის მიხედვით, ეს ხელშეკრულება მეორეა "კინგზის" ისტორიაში. 1988 წელს, კლუბმა 8-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ლეგენდარულ **უეინ გრეტცკისთან.** რაც შეეხება კოპიტარს, 21 წლის სლოვენიელი "ლოს ანჯელესის" ბომბარდირია - შარშანდელ სეზონში მან 82 მატჩში 77 ქულის (32 შაიბა+45 პასი) დაგროვება შეძლო.

## პეკა მსაჯის ცემისთვის დაისაჯა

"კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" წამყვანი ფორვარდი **მაიკლ პეკა** რეგულარული ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს გამოტოვებს. თავდამსხმელმა დისკვალიფიკაცია "დალას სტარზთან" მატჩის დროს, მსაჯისთვის ხელის კვრის გამო მიიღო.

*"მე, უბრალოდ, ხელი მოვკიდე მას - მინდოდა გამეჩერებინა, რათა ჩემი აზრი ბოლომდე მოესმინა. აბსოლუტური ჭორია ის, თითქოს მსაჯს ხელი გავარტყი"*, - თავს იმართლებს პეკა, თუმცა ამ განცხადებამ ჰოკეისტი დისკვალიფიკაციისგან ვერ იხსნა.

ველოსპორტი

## ტური პოპულარობას კარგავს

გერმანული ტელეკომპანია ARD-ის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 2009 წელს არ აპირებს ტურ დე ფრანსის ეტაპების პირდაპირ ტრანსლაციებს. ამის მიზეზი ის მრავალრიცხოვანი დოპინგსკანდალია, რასაც ველოსპორტში ბოლო დროს აქვს ადგილი.

ტელეკომპანიის შეფობისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა წლევანდელი ტურ დე ფრანსის მესამე პრიზიორის, ავსტრიელი **ბერნარდ კოლის** დოპინგის მიღებაში მხილება. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა უკვე აღიარა CERA-ს გამოყენება.

ფიგურული სრიალი

## ლამბიელმა კარიერა დაასრულა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **სტეფან ლამბიელმა** 23 წლის ასაკში გადაწყვიტა კარიერის დასრულება. შვეიცარიელმა სპორტსმენმა ვერ მოახერხა საზარდულის ტრავმისგან ბოლომდე განკურნება და პროფესიულ დონეზე გამოსვლა შეწყვიტა. ამ სეზონში მისი პირველი დიდი ტურნირი Skate America უნდა ყოფილიყო, ახლა კი ლამბიელს მხოლოდ კომერციულ შოუებში გამოსვლებით მოუწევს დაკმაყოფილება.

სტეფან ლამბიელს ოლიმპიურ თამაშებზე დებიუტი 16 წლის ასაკში ჰქონდა, 20 წლისამ კი ტურინის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მიიღო.

კალათბურთი

## ბოსტონმა რონდო დაიტოვა

NBA-ის მოქმედმა ჩემპიონმა "ბოსტონ სელტიქსმა" შემტევი მცველის **რაჟონ რონდოს** (შარშანდელ ჩემპიონატში - 10.6 ქულა, 5.1 პასი, 1.7 ჩაჭრა) კონტრაქტში არსებული პუნქტი გამოიყენა და კალათბურთელი 2009-10 წლების სეზონის ბოლომდე შეინარჩუნა.

მომავალ სეზონში 22 წლის რონდო 2.9 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, შემდეგ ზაფხულს კი მას მრავალწლიან სრულფასოვან კონტრაქტს შესთავაზებენ.

*"მან აქამდე გრძელი გზა გაიარა, თანდათანობით პროგრესირებდა და საბოლოოდ, ჩემპიონის გუნდის ძლიერ მცველად ჩამოყალიბდა"*, - განაცხადა "სელტიქსის" გენერალურმა მენეჯერმა **დენი ეინჯმა.**

კალათბურთი

# შაკი სპურსს დაემუქრა

"ფინიქს სანზის" ლეგენდარულ ცენტრ **შაკილ ო'ნილს** ჯერაც ვერ მოუნელებია შარშანდელი პლეი ოფის პირველ რაუნდში "სან ანტონიო სპურსთან" წაგება (1:4). ერთ-ერთი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში კალათბურთელმა "სპურსის" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** გააკრიტიკა იმის გამო, რომ ამ სპეციალისტმა კიდევ ერთხელ გამოიყენა ო'ნილის გასანეიტრალებელი ტაქტიკა სახელწოდებით - "ჩეხე შაკი". მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მეტოქე გუნდის კალათბურთელები ცენტრზე შეგნებულად ჯარიმდებიან. ამის გამო, ო'ნილს ხშირად უწევს საჯარიმოების შესრულება, რაც მის თამაშში ყველაზე სუსტ წერტილად მიიჩნევა.




*"როცა ათი ან მეტი ქულით იგებ და მაინც ამ ხერხს მიმართავ, მე ამას სიმხდალეს დავარქმევდი. გრეგ პოპოვიჩმა კარგად იცის, რომ ეს მზაკვრული საქციელია და მე ამისთვის სამაგიეროს გადავუხდი. მათ ჯინაზე საჯარიმოები ზუსტად უნდა შევასრულო და "სპურსზე" შური ვიძიო. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ასეც მოხდება"*, - ამბობს შაკილ ო'ნილი.

კალათბურთელი აცხადებს, რომ თავად ამ ილეთის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ საერთო ჯამში, მეთოდი - "ჩეხე შაკი" უარყოფითად აისახება თამაშის სანახაობრივ მხარეზე. ამ ზაფხულს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია სპეციალური შეზღუდვის შემოღებას აპირებდა, რომელიც ამგვარი ტაქტიკის გამოყენებას შეუძლებელს გახდიდა, მაგრამ ლიგის ხელმძღვანელობა კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდა.

## NBA. საჩვენებელი მატჩები

**ატლანტა-ფინიქსი 100:102**

27:31, 31:28, 19:23, 23:20

ა: მიურეი (23), ლოუ (12+6 პასი+3 ჩაჭრა), პორფორდი (15), სმიტი (11), ფაჩულია (7+10 მოხსნა).
ფ: ბელი (18), დიაო (15), სინგლტერი (15), პილი (13), ნეში (11+6 პასი), ლოპესი (9+9 მოხსნა).

**ინდიანა-დალასი 100:93**

27:21, 18:29, 30:22, 25:21

ი: გრეინჯერი (18), რაში (15), პიბერტი (15).
დ: ა. რაიტი (14), სინგლტონი (11+9 მოხსნა+4 დაფარება), ღიოპი (10+8 მოხსნა+3 დაფარება), ბასი (10).

**დენვერი-იუტა 120:119 ო**

27:25, 24:33, 32:30, 26:21, 11:10

დ: სმიტი (19), კლეიზა (19), ენტონი (16+3 ჩაჭრა), მარტინი (16+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), კარტერი (10), პატერსონი (10).
ი: დ. უილიამსი (22+8 პასი+ 5 ჩაჭრა), მაილზი (13+7 პასი), კორვერი (13), ბრიუერი (12), ელმონდი (12), კუფოსი (11+7 მოხსნა).

**საკრამენტო-კლიპერსი 112:116**

28:30, 36:21, 24:29, 24:36

ს: მარტინი (29), გარსია (15+3 ჩაჭრა), ბ. ჯექსონი (13), პოუსი (13+7 მოხსნა+ 3 დაფარება), უდრიხი (12).
კ: გორდონი (33), მ. ტეილორი (21+9 პასი+3 ჩაჭრა), მობლი (17), პ. დევისი (11+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაკოი (12).

**მემფისი-ჰიუსტონი 97:101**

27:25, 21:25, 25:21, 24:30)

მ: გეი (14), არტური (14), კონლი (12), მილიჩიჩი (12).
ჰ: ვაფერი (23), სტოუბერი (20+3 ჩაჭრა), ბრუკსი (14+9 პასი).

ველოსპორტი

# ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია?

ველომრბოლელთა საერთაშორისო კავშირის (UCI) პრეზიდენტი **პატრიკ მაკუაიდი** 2009 წლიდან დოპინგთან ბრძოლის გამკაცრებას აპირებს. ჯამ ჩინოვნიკს სურს, რომ აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის სპორტსმენი არა ორი, არამედ ოთხი წლით დაისაჯოს.

მაკუაიდმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ბოლო დროს რამდენიმე სპორტსმენს პრეპარატ ერითროპოეტინის ახალი სახეობა - CERA აღმოუჩინეს.

მაკუაიდის სიტყვებით, სპორტსმენის დასჯის საკითხი მისი გადასაწყვეტი რომ იყოს, ის კანონის დამრღვევს სამუდამოდ მოკვეთდა სპორტიდან. მაგრამ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) კოდექსის თანახმად, მსგავსი სასჯელის გამოტანა შეუძლებელია.

*"მოქმედი წესების მიხედვით, დოპინგის გამოვლენის შემთხვევაში, სპორტსმენს ორწლიანი სასჯელი ელის. მაგრამ 2009 წლის პირველი იანვრიდან კოდექსში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანენ, რაც უფრო თავისუფლად მოქმედების საშუალებას მოგვცემს. თუ რომელიმე ველომრბოლი დოპინგს შეგნებულად მიიღებს, მას ოთხწლიან სასჯელს გამოვუწერთ. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში დოპინგზე ჩავარდნილ სპორტსმენებზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ შეგნებულად გამოიყენეს აკრძალული პრეპარატი. ასე რომ, ამ ველომრბოლებს უმკაცრესი სასჯელი ელით"*, - ამბობს მაკუაიდი.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-ბაფალო 1:3**

1:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 გომესი-2 (როჟსივალი-1, კელეჰანი-1), 1:1 კოტალიკი-2 (მაკარტური-1, ნუმელინი-1), 1:2 ვანეკი-4 (დ. რუა-2, პომინვილი-3), 1:3 ვანეკი-5 (პეი-3, ლიდმანი-2)

**მონრეალი-ბოსტონი 4:3 (ბ)**

3:0, 0:1, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 კოვალიოვი-2 (პლეკანეცი-2, მარკოვი-5), 2:0 ს. კოივუ-1 (ლატენდრესი-4, ო'ბირნი-2), 3:0 ლაპიერი-1 (დანდენო-1, მარკოვი-6), 3:1 კრეისი-2, 3:2 სავარი-4 (ხარა-2, კრეისი-2), 3:3 სავარი-5 (რაიდერი-3, ვიდემანი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ტანგეი (მონრეალი).

**ჩიკაგო-ფინიქსი 4:1**

0:0, 2:1, 2:0

**გოლები:** 0:1 მიულერი-2 (ტარისი-3, ო. იოკინენი-3), 1:1 ჰავლატი-2 (კეიტი-1), 2:1 შარპი-2 (კეიტი-2, ვერსტეეგი-1), 3:1 ფრეზერი-1 (ბოლანდი-2, ვერსტეეგი-2), 4:1 ბ. კემპბელი-1 (ჰავლატი-3, ა. ჯონსონი-1).

**დალასი-ნეშვილი 6:4**

1:0, 3:3, 2:1

**გოლები:** 1:0 რობიდასი-1 (მოდანო-2, რიბეირო-3), 2:0 მოდანო-1 (კრომბინი-1, ნილი-1), 2:1 ბონკი-1 (ერატი-3, პევერლი-1), 2:2 ჰორნკვისტი-1 (მ. უებერი-1, სატერი-2), 3:2 ბრუნსტრიომი-1 (პეტერსენი-1, ბუშე-1), 3:3 რ. ჯონსი-1 (პევერლი-2, სატერი-3), 4:3 ბრუნსტრიომი-2 (ბ. რიჩარდსი-1, ეივერი-1), 4:4 ერატი-1 (რ. ჯონსი-1), 5:4 ბრუნსტრიომი-3 (ბ. რიჩარდსი-2, გროსმანი-1), 6:4 მოდანო-2 (მოროუ-2).

**ანაჰაიმი-ედმონტონი 2:3**

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ჰორკოფი-2 (გრებეშკოვი-3), 1:1 ჰასკინსი-1 (მეი-2, მარჩანტი-1), 2:1 რ. ნიდერმაიერი-2 (ს. ნიდერმაიერი-1, მოენი-2), 2:2 სურეი-1 (რ. ნილსონი-1, კოლიანო-1), 2:3 ვიშნოვსკი-1 (კოული-1, ჰემსკი-2).

**ტურის მოვლენა**

ისტორიული გამოდგა "დალას სტარზის" მარცხენა გარემარბ **ფაბიან ბრუნსტრიომისთვის** "ნეშვილთან" შეხვედრა. ახალგაზრდა მოთამაშე ლიგის ისტორიაში მესამე ჰოკეისტი გახდა, ვინც სადებიუტო მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა. ადრე, ანალოგიური შედეგი ჰქონდათ მონრეალელ **ალექს სმარტსა** (1943 წელი) და კვებეკელ **რილ კლუტიეს** (1979).

*"მინდა უბრალოდ ვითამაშო და გუნდის განუყოფელი ნაწილი გავხდე. "დალასში" ბევრი ძლიერი ჰოკეისტია შეკრებილი, ამის გამო ძირითადში მოსახვედრად მუდმივი ბრძოლაა საჭირო. ალნიშნულ მატჩს რაც შეეხება, თავიდანვე კომფორტულად ვგრძნობდი თავს. თუმცა მთავარი არა ჩემი ჰეთთრიკი, არამედ გუნდის გამარჯვებაა"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ შვედმა ჰოკეისტმა.

# კანადას აიზერმანს ჩააბარებენ



უახლოესი 10 დღის განმავლობაში, კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერის პოსტზე **სტივ აიზერმანის** კანდიდატურას წარადგენენ. სწორედ მას დაევალება 2010 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის კანადის ნაკრების შემადგენლობის დაკომპლექტება. როგორც იცით, კანადელები მომავალ ზამთრის ოლიმპიადაზე მასპინძლები იქნებიან - თამაშები ვანკუვერში გაიმართება.

წარსულში "დეტროიტის" სახელგანთქმული ფორვარდი ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდების მენეჯერთა საბჭოს შექმნას აპირებს. სწორედ კლუბში მომუშავე ჩინოვნიკები უნდა დაეხმარონ აიზერმანს კადრების სწორად შერჩევაში. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობას. კანადური პრესის ცნობით, ყველაზე რეალურ კანდიდატად "ფინიქს კოიოტზის" ამჟამინდელი დამრიგებელი, ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტი **უეინ გრეტცკი** მიიჩნევა.

შეგახსენებთ, რომ აიზერმანი 2007 და 2008 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე იყო კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერი. პირველ შემთხვევაში კანადამ ოქროს მედალი მოიპოვა, წელს კი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

## ჩოგბურთი

# ფედერერის ახალი რეკორდი



მადრიდის მასტერსში მეორე წრიდან ჩაება მსოფლიოს მეორე ჩოგანი **როჯერ ფედერერი**. შვეიცარიელის მეტოქე ჩეხი **რადეკ შტეპანეკი** იყო, რომლის დამარცხების შემდეგ, როჯერმა თავის კარიერაში კიდევ ერთი ისტორიული შედეგი დააფიქსირა.

შტეპანეკის ბარიერის გავლამ ფედერერს 32 428 დოლარი მოუტანა, რამაც კორტზე მის მიერ გამომუშავებული მთლიანი თანხა 43 300 847 დოლარამდე აიყვანა. ეს კი ახალი მსოფლიოს რეკორდია, რომელიც მანამდე ლეგენდარულ ამერიკელ **პიტ სამპრასს** ეკუთვნოდა. ამ უკანასკნელს ჰონორარის სახით პროფესიულ ტურში 43 280 489 დოლარი ჰქონდა მოგებული. ფედერერს ამ თანხის დასაგროვებლად პროფესიულ ტურში 10 წელი მოღვაწეობა დასჭირდა.

შტეპანეკთან მატჩს რაც შეეხება, ფედერერს არ დასტყობია 5-კვირიანი არდადეგები, რომელიც მან საკუთარ თავს ამერიკის ღია პირველობის მოგების შემდეგ მოუწყო. როჯერი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია და მან ჩეხი მეტოქე 90 წუთში დაამარცხა. ფედერერს მეორე პარტიაში ოდნავ გაუჭირდა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც შტეპანეკი 5:3-ს იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და როჯერმა ისე მოიგო შეხვედრა, სეტი არ დაანება მოწინააღმდეგეს - 6:3, 7:6.

# მადრიდში ფსონების მოყვარულებს ებრძვიან

ტოტალიზატორის 15 პროფესიონალი მოთამაშე არ დაუშვეს მადრიდში მიმდინარე მასტერსის ტურნირზე. ჩემპიონატის დირექტორმა **ხერარდ ცობანიანმა** მამაკაც ჩოგბურთელთა ასოციაციისგან (ATP) 15-კაციანი სია და მათი საკრედიტო ბარათების ნომრები მიიღო. მადრიდის ტურნირის ორგანიზატორებს მკაცრად აეკრძალათ ამ ადამიანების დარბაზში მატჩებზე დასასწრებად შეშვება.

ATP-მა დაადგინა, რომ ეს პროფესიონალი მოთამაშეები ფსონებს მატჩის მიმდინარეობისას აკეთებენ, ამისთვის ისინი 20-წამიან ფორას იყენებენ, რისი უფლებაც ბუკმეიკერებისგან აქვთ მიღებული.

ცობანიანმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ სიაში სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები შედიან. ზოგიერთი მათგანი ტურნირზე აკრედიტებული ჟურნალისტის საშვით აპირებდა დასწრებას. ამგვარი შენიშვნა იმისთვის არის საჭირო, რომ ახალი წესების თანახმად, საჩოგბურთო ტურნირებზე ნოუთბუქების



შეტანის უფლება აკრედიტებულ ჟურნალისტებს აქვთ ნებადართული. გარდა ამისა, ATP-მა მოთამაშეთა დასვენების ზონებსა და გასახდელში მაყურებლების შესვლაც აკრძალა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი. კონფერენსი** | |
| ფორესტ გრინი-კემბრიჯი | 2:2 |
| **მინი ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი** | |
| ბრაზილია-რუსეთი | 4:2 |
| ესპანეთი-იტალია | 1:1, დ.დ. 2:1 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-მვდ | 5:0 |
| ნეფტეხიმიკი-სპარტაკი | 6:1 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-გრაცი | 7:0 |
| **გერმანია** | |
| კასელი-ჰამბურგი | 3:3 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ფურუსეტი | 2:1 |
| კომეტი-ლორენსკოგი | 0:3 |
| სპარტა-ლილეჰამერი | 8:2 |
| ფრისკ ასკერი-სტიერნენი | 3:3 |
| სტორჰამარი-სტავანგერი | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| საიპა-კალპა | 2:2 |
| ტაპარა-კერპეტი | 2:1 |
| ტპს-პელიკანსი | 3:2 |
| ჰპკ-კიეკო | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-კლადნო | 3:3 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-აიკ | 5:1 |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 4:0 |
| ლულეა-სიოდერტალე | 6:2 |
| მოდო-ფრიოლუნდა | 3:2 |
| ჰვ71-ტიმრა | 1:1 |
| იურგორდენი-როგლე | 1:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მადრიდი** | |
| სიმონი-ჯინეპრი | 6:7, 6:4, 7:6 |
| ვავრინკა-ფ. ლოპესი | 4:6, 4:6 |
| ნალბანდიანი-დელ პოტრო | 4:6, 2:6 |
| მიურეი-ჩილიჩი | 7:5, 7:6 |
| როდიკი-მონფილსი | 4:6, 6:3, 3:6 |
| ნადალი-გასკე | 6:4, 6:2 |
| ფედერერი-ცონგა | 6:4, 6:1 |
| ჯოკოვიჩი-კარლოვიჩი | 6:7, 6:7 |
| **WTA. ციურიხი** | |
| აზარენკა-ნიკულესკუ | 6:0, 6:0 |
| იანკოვიჩი-პენეტა | 7:5, 3:6, 3:6 |
| ა. რადვანსკა-სრებოტნიკი | 6:2, 6:7, 3:6 |
| კვიტოვა-არვიდსონი | 6:2, 6:1 |
| ივანოვიჩი-ბარტოლი | 6:2, 6:4 |
| ზვონარევა-მედინა გარიგესი | 3:6, 0:6 |

## TV სპორტი

**17 ოქტომბერი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:50** სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-კოლუმბია.
**08:40** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**09:45** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**10:10** სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. იტალია-ჩერნოგორია.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**12:30** სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბელგია-ესპანეთი.
**14:25** სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. საბერძნეთი-შვეიცარია.
**17:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:35** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**17:40** საფეხბურთო კლუბი.
**18:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**18:40** სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ფინეთი.
**20:30** საფეხბურთო კლუბი.
**21:25** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ბორუსია (მ) (LIVE).
**00:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:40** საფეხბურთო კლუბი.
**01:30** სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-კოლუმბია.
**03:15** გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ბორუსია (მ).
**05:00** სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. იტალია-ჩერნოგორია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:10** სპორტდოსიე. ფეხბურთი.
**08:40** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**09:05** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**09:10** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ბაფალო.
**11:00** ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. თურქეთი-ბოსნია.
**12:45** ავტოსპორტი. A1 გრანპრი. I ეტაპი. ჰოლანდია.
**15:20** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**15:40** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**20:20** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**20:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:00** სპორტკლუბი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**01:50** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ნეშვილი (LIVE).
**05:35** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**06:00** სპორტდოსიე. ფეხბურთი.
**06:25** ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. თურქეთი-ბოსნია.

**EUROSPORT**

**09:00** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
**12:00** ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩები.
**13:00** მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. 1/2 ფინალი. ბრაზილია.
**14:15** ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩები.
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
**17:45** სნუკერი. შოტლანდიის გრანპრი. 1/4 ფინალი. გლაზგო (LIVE).
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
**22:00** სნუკერი. შოტლანდიის გრანპრი. 1/4 ფინალი. გლაზგო (LIVE).
**01:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**01:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:00** სნუკერი. შოტლანდიის გრანპრი. 1/4 ფინალი. გლაზგო.
**03:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. 1/2 ფინალი. ბრაზილია.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. პრაქტიკა.
**14:30** ახალი ამბები.
**16:00** მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. 1/2 ფინალი. ბრაზილია.
**17:15** ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-ჰოლანდია.
**18:00** ფეხბურთი. სამხრეთი აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩი. ბელგია-ესპანეთი.
**18:45** ახალი ამბები.
**19:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რაინი (გერმანია)-ვისლა (პოლონეთი).
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:00** ველოსპორტი. BMX. მსოფლიოს თასი. აშშ.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:30** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. პრაქტიკა.
**00:00** მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. 1/2 ფინალი. ბრაზილია.
**01:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რაინი (გერმანია)-ვისლა (პოლონეთი).
**02:00** ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ძველი და ახალი რომანები















გასაგებია, რომ ნებისმიერი პროფესიონალი ჩოგბურთელის ცხოვრება მხოლოდ ვარჯიშებითა და მატჩებით არ შემოიფარგლება - ბევრი რამ კორტის მიღმა ხდება. სპორტსმენთა პირადი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ე. წ. საჩოგბურთო რომანები ითვლება. დღეს სწორედ ამ თემას შევეხებით.

ორი კვირის წინ, ტოკიოს ტურნირის მსვლელობისას ყურადღებას იპყრობდა ჩეხური წყვილი - **ლუსი საფაროვა** და **ტომაშ ბერდიხი**. მათი რომანი დაახლოებით ორი წელია გრძელდება. ისინი ცდილობენ, მუდმივად მხარში ედგნენ ერთმანეთს, ამიტომაც იშვიათად ტოვებენ ერთმანეთის თამაშებს. ტოკიოში ლუსი და ტომაში განუყრელი წყვილი იყო - ყველგან ერთად ჩნდებოდნენ, იქნებოდა ეს ოფიციალური საღამო თუ სპონსორის მიერ ორგანიზებული აქცია.

ჩეხების გარდა, იაპონიის დედაქალაქში თავიდანვე მიიქცია ყურადღება საკმაოდ საინტერესო დუეტმა - ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** და არგენტინელი **ხისელა ხულკო** ყოველ საღამოს ერთად დასეირნობდნენ ტურნირის ოფიციალური სასტუმროს წინ.

**სერენა უილიამსმა** ტოკიოს ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ამის ნაცვლად, ამერიკელი ჩოგბურთელი კანადის ქალაქ ვანკუვერში ვარჯიშობდა, სადაც ერთ საღამოს რეპერ Common-ის კონცერტზე შეამჩნიეს. სერენას მომღერალთან რომანი აქვს გაჩაღებული. უილიამსი არ გამორიცხავს, რომ ერთხელ ესტრადაზეც ცდის ბედს და შეყვარებულთან დუეტს ჩაწერს.

მამაკაცთა ტურის ლიდერები - **რაფაელ ნადალი** და **როჯერ ფედერერი** ტოკიოდან შორს იმყოფებოდნენ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, პაპარაცების ინტერესის სფეროში რჩებოდნენ. ნადალი უკვე დიდი ხანია შეეჩვია ფოტოკამერის ობიექტივებს და დიდად არ ღიზიანდება მასზე დაწესებული თვალთვალის გამო. ცოტა ხნის წინ, ჟურნალმა People-მა თავი იმით გამოიჩინა, რომ ახალ ნომერში მალიორკის პლაჟზე გადაღებული რაფას ფოტო დაბეჭდა - ჩოგბურთელი იქ თავის მეგობარ **ფრანსისკა პერელოსთან** ერთად ისვენებდა.

Gulfnews.com წერს, რომ როჯერ ფედერერი და **მირკა ვავრინეცი** დუბაიში ატარებდნენ დროს, სადაც შეყვარებულებს საკუთარი სახლი აქვთ. წყვილი აქტიურად იყო დაკავებული შოპინგით და ქალაქის თითქმის ყველა საიუველირო მაღაზია მოიარა. ამბობენ, რომ როჯერმა 60-კარატიანი ბრილიანტით მორთულ ოქროს ბეჭედზე შეაჩერა არჩევანი. იქნებ, ის და მირკა ქორწილისთვის ემზადებიან?

ქორწილებს რაც შეეხება, სექტემბერში დაასრულა მარტოხელა ცხოვრება ამერიკელმა **მარდი ფიშმა**. მისი რჩეული გახდა მოდელი **სტეისი გარდნერი**. ქორწილის შემდეგ ჩოგბურთელმა ორკვირიანი პაუზა აიღო და გაგანია სეზონის დროს, თაფლობის თვე მოიწყო. ფიში კორტს მხოლოდ ამ კვირას, მადრიდის მასტერსზე დაუბრუნდა, თუმცა წარუმატებლად - ამერიკელმა პირველ წრეში ფრანგ **რიშარ გასკესთან** წააგო. სხვათა შორის, ფიშის ხელისმომკიდე ქორწილში, მისი თანაგუნდელი **ჯეიმს ბლეიკი** იყო.

სექტემბერში კიდევ ერთი ნახევრად საჩოგბურთო ოჯახი შეიქმნა. ცნობილი ესპანელი, 36 წლის **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** ცოლად გაჰყვა ბიზნესმენ **ხოსე სანტაკანს**. ქორწილი ჩოგბურთელის მშობლიურ ქალაქ ბარსელონის მახლობლად გაიმართა. ახალდაქორწინებულებს განსაკუთრებული ზეიმი არ მოუწყვიათ - დაახლოებით 100 სტუმარი დაპატიჟეს. ეს ქორწილი მეორეა "დიდი სლემის" ტურნირების ოთხგზის ჩემპიონის "კარიერაში". 2001 წელს, არანჩა სპორტულ ჟურნალისტ **ხუან ხირონს** გაეყარა.

ბოლო ორ თვეში, საჩოგბურთო სამყაროში ახალი რომანებიც ვიხილეთ. ასეთი დღეისთვის სამია. პირველ რიგში, სერბი **ანა ივანოვიჩისა** და ესპანელი **ფერნანდო ვერდასკოს** წყვილი უნდა ავღნიშნოთ. ერთად ისინი პირველად პეკინის ოლიმპიადის დროს შეამჩნიეს. ფერნანდოს ანას დედასთან ერთად ახალგაზრდა სერბის ვარჯიშებზეც კი მოჰკრეს თვალი.

მეორე სერბი, რეიტინგის მოქმედი პირველი ნომერი **ელენა იანკოვიჩი** არა მხოლოდ ზედიზედ მოგებული სამი ტურნირით, არამედ ახალი ბოიფრენდითაც იწონებს თავს. ეს გახლავთ ჩერნოგორიის წყალბურთელთა ნაკრების მოთამაშე **მლადიან იანოვიჩი**. სპორტსმენებმა ერთმანეთი პეკინის ოლიმპიადის დროს გაიცნეს. სპეციალისტები იანკოვიჩის ბოლოდროინდელ წარმატებულ თამაშს სწორედ ამ რომანს მიაწერენ.

რა თქმა უნდა, ამ თემაზე საუბრის დროს გვერდს ვერ ავუვლით საჩოგბურთო შოუბიზნესის მთავარ ვარსკვლავ **მარია შარაპოვას**. მაშასაც ახალი მეგობარი ჰყავს - NBC-ის შეფის **დიკ ებერსოლის** ვაჟი, დოკუმენტური ფილმების რეჟისორი **ჩარლი ებერსოლი**. პირველად ეს წყვილი პუბლიკის წინაშე საქველმოქმედო ღონისძიების (All Star Tennis Smash) დროს გამოჩნდა. ახალგაზრდები ერთად ისხდნენ ოფიციალური სადილის დროს და ერთ-ერთმა ფოტოგრაფმა ებერსოლი იმ დროს დააფიქსირა, როცა მარიას ეხვეოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფოტოინფო

## მარადონა არ გეგონოთ...




...ეს თურქი **აბი ათიჯია**, რომელიც პურის ფულს საფეხბურთო გენიოსის მიბაძვით შოულობს.